S. paratyphi B-ს ცალკეული სომატური ანტიგენების შესასწავლად გამოვიყენეთ O—IV და O—V მონორეცეპტორული შრატები. დაკვირვებას ვა-



წარმოებდით *S. paratyphi B*-ს, var. *odenze*-ს და *S. münchen*-ის შტამებზე. 0—IV მონორეცეპტორულმა შრატმა კომპლემენტის ფიქსაციის დადებითი რეაქცია მოგვცა *S. paratyphi B*-ს და var. *odenze*-ს შტამებთან (*S. münchen*-ი 0—IV ანტიგენს არ შეიცავს), ხოლო 0—V მონორეცეპტორულმა შრატმა—მხოლოდ *S. paratyphi B*-ს შტამებთან (var. *odenze* და *S. münchen*-ი 0—V ანტიგენს არ შეიცავს).

S. paratyphi B-ს და var. *odenze*-ს სხვადასხვაგვარად მომზადებული ანტიგენების (ცოცხალი კულტურა, ფორმალინიანი დიაგნოსტიკუმი, დუღილით მოკლული კულტურა, სპირტოვანი დიაგნოსტიკუმი) შესწავლამ კომპლემენტის ფიქსაციის რეაქციით H-ს მონორეცეპტორულ შრატთან გვიჩვენა, რომ დადებით რეაქციას იძლევიან მხოლოდ წამწამოვანი ანტიგენის შემცველი პრეპარატები (ცოცხალი კულტურა და ფორმალინიანი დიაგნოსტიკუმი).

დაკვირვების შემდგომ ობიექტს წარმოადგენდა *S. typhi*-ს, *S. enteritidis gärtneri*-ს, *S. suipestifer*-ის და *S. breslau*-ს შტამები. ცდებში გამოვიყენეთ თბილისის ვსსკ ინსტიტუტში, ლენინგრადში და ჩვენ მიერ მომზადებული სხვადასხვა სახის შრატები.

ჩამოთვლილ მიკრობთა OH, O და H ანტიგენებთან წარმოებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ კომპლემენტის ფიქსაციის რეაქცია ყველაზე მაღალ განზავებაში დადებითია OH ანტიგენტან. ანალოგიური შედეგები მოგვცა აგლუტინაციის რეაქციაშიც.

კვლევის შემდგომ მიზანს წარმოადგენდა ჩამოთვლილი მიკრობების ცალკეული ანტიგენების შესწავლა. მუცლის ტიფის მიკრობებში ესწავლობდით 0—IX, Vi და H-d ანტიგენებს, *S. enteritidis gärtneri*-ის მიკრობებში 0—IX ანტიგენს, *S. suipestifer*-ის მიკრობებში—H-c და H—1,5 ანტიგენებს, ხოლო *S. breslau*-ს მიკრობებში H—1,2 და H-i ანტიგენებს. ცდებში ვიყენებდით შესაბამის მონორეცეპტორულ შრატებს.

0—XI მონორეცეპტორული შრატით გამოვიკვლიეთ *S. typhi* 0—901, H—901, 529, 530, 3038, Ty₂ 430 და 506 შტამები, აგრეთვე *S. enteritidis gärtneri*-ს 11, 526, 501, *S. moskow*, *S. münchen*, *S. paratyphi A* 12¹/₅₂ და *S. paratyphi B* 63. კომპლემენტის ფიქსაციის დადებითი რეაქცია მივიღეთ მუცლის ტიფის, ჰერტნერის, *S. moskow*-ის შტამებთან, ხოლო *S. münchen*, *S. paratyphi A* და *S. paratyphi B*-ს შტამებმა უარყოფითი შედეგი მოგვცა (აღნიშნულ მიკრობებს 0—IX ანტიგენი არ გააჩნიათ).

Vi მონორეცეპტორული შრატით შევისწავლეთ *S. typhi* Ty₂ 430, Ty₂ 506, Ty₂ 4446 (ცოცხალი კულტურები, ფორმალინიანი, აღუღებული და სპირტოვანი დიაგნოსტიკუმები), 529, 3038 და H—901. დადებითი რეაქცია მივიღეთ მხოლოდ Vi ანტიგენის შემცველ შტამებთან.

H d მონორეცეპტორული შრატით შევისწავლეთ *S. typhi*-ს H—901, 523, 530, 3038, Ty₂ 430, Ty₂ 506, 0—901 შტამები და *S. münchen*. აგრეთვე *S. typhi* H—901-ის ფორმალინიანი, აღუღებული და სპირტოვანი დიაგნოსტიკუმები და *S. münchen*-ის აღუღებული და სპირტოვანი დიაგნოსტი-



კუმები. კომპლემენტის ფიქსაციის დადებითი რეაქცია მოგვცა მხოლოდ H-d ანტიგენის შემცველმა პრეპარატებმა.

S. suipestifer-ის მიკრობებში H-c ანტიგენის შესასწავლად გამოვიყენეთ H-c მონორეცეპტორული შრავი. ანტიგენად ვიღებდით S. suipestifer-ის ცოცხალ კულტურას, ფორმალინიან დიაგნოსტიკუმს და S. sendai-ს ცოცხალ კულტურას. H-1,5 მონორეცეპტორულ შრავთან წარმოებულ ცდებში ანტიგენებად გამოვიყენეთ S. suipestifer-ის ცოცხალი კულტურა, აღუღებული და სპორტოვანი დიაგნოსტიკუმები და S. sendai-ს ცოცხალი კულტურა.

S. breslau-ს შესწავლისას გვიანტერესებდა მისი H ანტიგენის I (i) და II (1, 2) ფაზა. წარმოებულ ცდებში გამოვიყენეთ შესაბამისი მონორეცეპტორული შრავები. ყველა შემთხვევაში, როცა ანტიგენი შეიცავდა სათანადო რეცეპტორს, ვღებულობდით კომპლემენტის ფიქსაციის დადებით რეაქციას.

ამგვარად, წარმოებულმა ცდებმა საკმაო დამაჯერებლობით გვიჩვენა, რომ კომპლემენტის ფიქსაციის რეაქცია სავსებით ვარგისია საღმონელას ჯგუფის მიკრობთა ნატიფი რეცეპტორული ანალიზისათვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 30.10.1963)

МИКРОБИОЛОГИЯ

Д. Л. ТРАПАИДЗЕ

ИСПОЛЬЗОВАНИЕ РЕАКЦИИ СВЯЗЫВАНИЯ КОМПЛЕМЕНТА ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ АНТИГЕННОЙ СТРУКТУРЫ ОСНОВНЫХ ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ МИКРОБОВ ГРУППЫ САЛМОНЕЛЛА

Резюме

Целью исследования являлось изучение возможности применения РСК для рецепторного анализа микробов группы салмонелла.

В настоящем сообщении обсуждаются результаты изучения различных антигенных систем 79 салмонеллезных штаммов (преимущественно антропопатогенных) серологических групп А, В, С и Д.

Установлено, что с помощью РСК обнаруживаются все антигенные структуры указанных микробов, а при применении мონорецепторных сывороток РСК₁ обеспечивает возможность проведения тонкого рецепторного анализа, что имеет определенное теоретическое и практическое значение (для уточнения природы этиологического фактора, особенности эпидемиологии соответствующих заболеваний, для рационального подбора производственных штаммов при изготовлении профилактических препаратов).

დამოუკვეთელი ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. С. И. Гинзбург, В. С. Калинин, Н. И. Шерешевская. Сравнительное изучение серологических методов исследования при брюшном тифе. Журнал микробиологии, эпидемиологии и иммунобиологии, в. 6. 1936.



მეტყველება

მ. ლოჟანიძე და ლ. გოცირიძე

ფიჭვის (*PINUS HAMATA* SOSN.) მერქნის ტენიანობისა და
 გულის წარმოქმნის ურთიერთკავშირი კლიმატურ
 ფაქტორებთან დაკავშირებით

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ე. გულისაშვილმა 14.5.1963)

ცოცხალი ხის ღეროში მერქნის აბსოლუტური ტენიანობის შესწავლას ახალმოჭრილ მდგომარეობაში აქვს გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მერქნის ტენიანობა განსაზღვრავს მისი ტრანსპორტირების, შრობის, დამუშავების, ანტიეპტირებისა და შენახვის წესებს. გარდა ამისა, ახალმოჭრილი მერქნის ტენიანობის ცოდნას ღეროს სხვადასხვა ნაწილში დიდი მნიშვნელობა აქვს ღეროში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლისათვის. მიუხედავად ამისა, დღემდე შეუსწავლელია კავკასიის მთიან ტყეებში გავრცელებული მერქნიანი ჯიშების მერქნის ტენიანობა ახალმოჭრილ მდგომარეობაში, საზარდ პირობებთან დაკავშირებით.

წინამდებარე შრომა მიზნად ისახავს კაუჭა ფიჭვის მერქნის ტენიანობის განსაზღვრას ახალმოჭრილ მდგომარეობაში ხის სიმაღლისა და რადიუსის მიხედვით. ზ. დ. სხვადასხვა სიმაღლეზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ ექსპოზიციებზე და ტენიანობისა და გულის წარმოქმნის ურთიერთდამოკიდებულების გაშუქებას წიწვიან ჯიშებში.

საკითხი შევისწავლეთ ბორჯომის ხეობაში, ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში, რომელიც მდებარეობს თრიალეთის ქედის დასავლეთ ნაწილში და მოიცავს მდ. მტკვრის, გუჯარეთისწყლისა და ბორჯომისწყლის ხეობებს ზ. დ. 800 — 1800 მ სიმაღლემდე.

აღნიშნულ რაიონში შევარჩიეთ ოთხი სანიმუშო ფართობი:

1. ბორჯომი, ჩრდილოეთი ექსპოზიცია, ზ. დ. 960 მ.

ტყის ტიპი — *Piceeto — pinetum festucosum*;

2. ბორჯომი, სამხრეთი ექსპოზიცია, ზ. დ. 960 მ.

ტყის ტიპი — *Pinetum cittisosum*;

3. ბაკურიანი, ჩრდილოეთი ექსპოზიცია, ზ. დ. 1800 მ.

ტყის ტიპი — *Piceetum asperulosum*;

4. ბაკურიანი, სამხრეთ ექსპოზიცია, ზ. დ. 2050 მ.


ტყის ტიპი — *Pinetum prasinorum*.

პირველი ორი სანიმუშო ფართობი თავისი კლიმატური ფაქტორებით მკვეთრად განსხვავდება III და IV სანიმუშო ფართობისაგან, რასაც აღასტურებს 1 ცხრილი.

ცხრილი 1

ობიექტი	სიმაღლე ზ. დ. მ-ით	ჰაერის საშუალო წლიური ტემპე- რატურა	ნალექების წლიური ჯამი	დანესტიანების წლიური კოეფი- ციენტი	ჰაერის ფარდო- ბითი ტენიანო- ბა, %
ბორჯომი	794	9,4	576	1,0	77,4
ბაკურიანი	1703	4,4	788	1,5	

ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების — ჰაერის საშუალო ტემპერატურის, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის, დანესტიანების კოეფიციენტისა და ნალექების წლიური მსვლელობა ხეობის ქვედა ზონისათვის (ბორჯომი) და ზედა ზონისათვის (ბაკურიანი) — მოყვანილია სურ. 2-ზე მ. კ. ო. რ. ძ. ა. ხ. ი. ა. ს. მიხედვით [1].



სურ. 1. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების წლიური მსვლელობა ბორჯომ-ბაკურიანში (მ. კორმახიას მიხედვით)

აღნიშნული საკითხის შესასწავლად 1962 წლის აგვისტოში თითოეულ ობიექტზე მოვჭერით ერთი და იგივე ხნოვანების (100—120 წელი) სამსამი საშუალო-სამოდელო ხე ოსტ — 196-ით გათვალისწინებული მეთოდის შესაბამისად [2]. ხის სიმაღლისა და რადიუსის მიხედვით მერქნის აბსოლუტური ტენიანობის დასადგენად სამოდელო ხეებიდან ამოვიღეთ 3—4 სმ სისქის ტორსული ფირფიტები 0,0; 1,3; 3,6; 5,6 მ და ა. შ. ყოველი ორი მეტრის დაცილებით. ესე იგი, ხე დავმორეთ ისე, როგორც ეს ხდება ხის რთული ტაქსაციური ანალიზის შესრულებისას.

თითოეული ტორსული ფირფიტის ჩრდილოეთისაკენ მიმართული ნაწილის გულიდან და ცილიდან სპეციალური კვადრატული ფორმის მჭრელბირიანი ხელსაწყოთი ვიღებდით ერთისა და იმავე მოცულობის 20×20×20(30) მმ



მერქნის ნიმუშებს ხის სიმაღლისა და რადიუსის მიხედვით ტენიანობის განაწილების დასადგენად.

ახალმოჭრილი ხის მერქნის აბსოლუტური ტენიანობა ჩვენ მიერ განსაზღვრულია წონითი მეთოდით. მერქნის აბსოლუტური ტენიანობა ვიანგარიშეთ ფორმულით.

$$W_a = \frac{G - G_1}{G_1} 100 \%,$$

სადაც G მერქნის ნიმუშის წონაა ახალმოჭრილ მდგომარეობაში, G₁ — მერქნის ნიმუშის წონა აბსოლუტურად მშრალ მდგომარეობაში.

საწყისი წონა — G განისაზღვრებოდა უშუალოდ ტყეში, ხის მოჭრისთანავე, 0,01 გრ. სიზუსტით⁽¹⁾. მერქნის ნიმუშის აბსოლუტურ მშრალ წონას ვადგენდით ლაბორატორიულ პირობებში გოსტ 3821-47 ვათვალისწინებულ მეთოდიკის შესაბამისად [3]. ტენის შემცველობას (w) ვანგარიშობდით პროცენტობით 1%-ის სიზუსტით.

მიღებული შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში და გრაფიკულად გამოსახულია სურ. 2-ზე.

მერქნის ტენიანობისა და გულის წარმოქმნის პროცესის ურთიერთდამოკიდებულება ცხრილი 2


ობიექტი	ექსპოზიცია	მერქნის აბსოლუტური ტენიანობა % -ით			ფიჭვის ღეროში გულისა და ცილის პროცენტული რაოდენობა	
		გული	ცილა	საშ.	ცილა, %	გული %
ბორჯომი	ჩრდილოეთი	38	125	81,5	20	80
ბორჯომი	სამხრეთი	31	94	62,5	17	83
ბაკურიანი	ჩრდილოეთი	37	134	85,5	22	78
ბაკურიანი	სამხრეთი	41	145	93	32	68

როგორც ცნობილია, და ეს მე-2 და მე-3 სურათებიდანაც ჩანს, მერქნის ტენიანობა ახალმოჭრილ მდგომარეობაში ცვალებადობს როგორც ხის რადიუსისა და სიმაღლის მიხედვით, ისე ზ. დ. სიმაღლისა და ექსპოზიციების მიხედვით. აღნიშნული ცვალებადობის კანონზომიერება შეიძლება ასე გამოვხატოთ: ფიჭვის მერქნის ტენიანობა ახალმოჭრილ მდგომარეობაში მკვეთრად იზრდება ცენტრიდან პერიფერიისკენ. მინიმალური ტენიანობა გვაქვს ღეროს ცენტრალურ ნაწილში (31 — 41%), ხოლო მაქსიმალური — ღეროს პერიფერიულ ნაწილში (94 — 145%), რაც ეთანხმება პროფ. ა. ვ ა ნ ი ის [4] მონაცემებს. ხის სიმაღლის მიხედვით მერქნის ტენიანობა შედარებით მცირედ ცვალებადობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტენიანობა ღეროს გულის ნაწილში შედარებით სტაბილურია (მერყეობს 20 — 25%-ის ფარგლებში), ცილის ნაწილში

⁽¹⁾ მოჭრის მომენტში ზეს ვაცილებდით ვარჯს პირველსავე ცოცხალ ტოტთან, რათა ვარჯს არ მოეხდინა ღეროდან ტენის ტრანსპირაცია.



კი მერყეობს ხის სიმაღლის ზრდასთან ერთად 30 — 45%-ით. ამასთანავე შესამჩნევია, რომ ტენიანობა ცილის ნაწილში ხის სიმაღლის ნახევრამდე იზრდება, შემდეგ კი უმნიშვნელოდ მცირდება ან იგივე რჩება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როგორც ცილის, ისევე გულის ნაწილში ხის სიმაღლის უკანასკნელი 2 — 4 მეტრის სიმაღლეზე ყველაზე იგრძნობა ტენიანობის გაზრდა.



სურ. 2. კაუტა ფიჭვის მერქნის ტენიანობა ახალმოჭრილ მდგომარეობაში ხის სიმაღლისა და რადიუსის მიხედვით ზ. დ. სხვადასხვა სიმაღლეზე, სამხრეთ და ჩრდილოეთ ექსპოზიციებზე: 1 — ტენის განაწილება გულის ნაწილში ჩრდილოეთ ექსპოზიციებზე (960 მ ხ. დ.), 2 — ტენის განაწილება ცილის ნაწილში, 3 — ტენის განაწილება გულის ნაწილში სამხრეთ ექსპოზიციებზე (960 მ ხ. დ.), 4 — ტენის განაწილება ცილის ნაწილში 5 — ტენის განაწილება გულის ნაწილში ჩრდილოეთ ექსპოზიციებზე (1800 მ ხ. დ.), 6 — ტენის განაწილება ცილის ნაწილში, 7 — ტენის განაწილება გულის ნაწილში სამხრეთ ექსპოზიციებზე (2050 მ ხ. დ.), 8 — ტენის განაწილება ცილის ნაწილში

ს. ვანიანი [4], გვ. 132) იმოწმებს ტოვსტოლესს და აღნიშნავს, რომ „სამხრეთ ქანობებზე ნაზარდი ლარიქსის ცილის მერქანი წყლით უფრო მდიდარია, ვიდრე ჩრდილო ქანობებზე ნაზარდისა“. სრულიად საწინააღმდეგო ფაქტს შევხვდით ბორჯომში, ზ. დ. 960 მ სიმაღლეზე (სურ. 2). გამოირკვა, რომ ჩრდილოეთ ექსპოზიციებზე ნაზარდი ფიჭვის ტენიანობა გულის ნაწილში 7%-ით მეტია, ხოლო ცილის ნაწილში 30%-ით, ვიდრე სამხრეთ ექსპოზიციებზე. საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ ბაკურიანში, სადაც სამხრეთ ექსპოზიციებზე ნაზარდი ფიჭვის გულის ნაწილში ტენიანობა უმნიშვნელოდ (4%) აღემატება ჩრდილოეთ ექსპოზიციებზე ნაზარდი ფიჭვის გულის ნაწილის ტენიანობას. ეს განსხვავება ცილის ნაწილში 10%-მდე იზრდება. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ მეოთხე სანიმუშო ფართობი (სამხრეთი ექსპოზიცია) ზ. დ. 250 მ-ით უფრო მაღლაა, ვიდრე მესამე სანიმუშო ფართობი

(ჩრდილოეთი ექსპოზიცია)⁽¹⁾, წინამდებარე შრომიდან კი ნათლად ჩანს, რომ ზ. დ. სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება რა ნალექების რაოდენობა, იზრდება აგრეთვე მერქნის ტენიანობა ახალმოჭრილ მდგომარეობაში. ამასთანავე საფიქრებელია, რომ ზ. დ. 2050 მ-ზე *Pinetum prasinusum* -ის ტყის ტიპში დაკორდებული მწვანე ბალახოვანი საფარი იცავს ნიადაგის ტენს აორთქლებისაგან და ამით იგი ხელს უწყობს ტენის რაოდენობის ზრდას მერქანში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხის ფესვის ყელიდან 1,3 მ სიმაღლემდე ტენის რაოდენობა ჩრდილოეთ ექსპოზიციებზე მკვეთრად იზრდება, მაშინ როდესაც სამხრეთ ფერდობებზე კლებულობს (სურ. 2).

დადგენილია [5, 6], რომ ტენის რაოდენობა ცოცხალი ხის ღეროში ვარკვეულ როლს თამაშობს ფოთოლმცვენი გულოვანი ჯიშების გულის წარმოქმნის პროცესში. ა. კ რ ა ს ნ ი ც კ ი [6] აღნიშნავს, რომ „იფნის ხეებში, გულის მაღალი ტენიანობით (38,8 — 50%), შესამჩნევია შენელებული გულის წარმოქმნა (24 — 28 წლიური რგოლი ცილაში), ხოლო ხეებში გულის ყველაზე დაბალი ტენიანობით (37,0%) აღინიშნება გულის წარმოქმნის მაღალი ტემპი (22 წლიური რგოლი ცილაში). ამრიგად, მერქნის მაღალი ტენიანობა ანელებს გულის წარმოქმნის პროცესს, ხოლო დაბალი, პირუკუ, აჩქარებს მას“.

იმის დასადგენად, თუ რა დამოკიდებულებაა მერქნის ტენიანობა გულის წარმოქმნის პროცესთან წიწვიან გულოვან ჯიშებში, თითოეული სამოდულო ხის ფუძესთან, ღეროს შუა ნაწილთან და ცოცხალი ვარჯის დასაწყისთან ამოკვეთით ღეროს ტორსული ფირფიტები და განვსაზღვრეთ მათზე ცილისა და გულის პროცენტი. ფიჭვის მერქნის ტენიანობისა და გულის წარმოქმნის ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა კლიმატურ პირობებში მოცემულია მე-2 ცხრილში. როგორც ჩანს, ფიჭვის ღეროში გულის პროცენტული რაოდენობა მეტია იქ, სადაც ყველაზე ნაკლებია ტენის რაოდენობა მერქანში (ბორჯომი, სამხრეთი ექსპოზიცია. *Pinetum citisusum* -ის ტყის ტიპი). მერქანში ტენის რაოდენობის ზრდასთან ერთად პროპორციულად მცირდება გულის პროცენტული რაოდენობა ღეროში და შესაბამისად იზრდება ცილის პროცენტული რაოდენობა. ამრიგად, წიწვიან ჯიშებში, ისევე როგორც ფოთლოვან ჯიშებში, მაღალი ტენიანობა მერქანში ანელებს გულის წარმოქმნის პროცესს, მაშინ როდესაც დაბალი ტენიანობა აჩქარებს მას.

საქართველოს სსრ სატყეო ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 14.5.1963)

⁽¹⁾ სანიმუშო ფართობების აღება ზ. დ. ერთსა და იმავე სიმაღლეზე ბაკურიანში არ მობერბდა აღნიშნულ ტერიტორიაზე წიწვიანი ტყეების თავისებური განლაგების გამო.

Э. Д. ЛОБЖАНИДЗЕ и Л. А. ГОЦИРИДЗЕ

 ВЗАИМОСВЯЗЬ ВЛАЖНОСТИ И ЯДРООБРАЗОВАНИЯ В
 ДРЕВЕСИНЕ СОСНЫ КРЮЧКОВАТОЙ (*PINUS HAMATA*
SOSN.) В СВЯЗИ С КЛИМАТИЧЕСКИМИ ФАКТОРАМИ

Резюме

Для определения влажности свежесрубленной древесины сосны крючковойтой по высоте и радиусу ствола деревьев в августе 1962 г. в Боржомском ущелье нами было срублено 12 модельных деревьев на четырех нижеуказанных объектах с различными климатическими условиями:

- 1) Боржоми, северная экспозиция, 960 м н. у. м.,
тип леса — *Piceeto-pinetum festucosum*;
- 2) Боржоми, южная экспозиция, 960 м н. у. м.,
тип леса — *Pinetum cirtisiosum*;
- 3) Бакуриани, северная экспозиция, 1800 м н. у. м.,
тип леса — *Piceetum asperulosum*;
- 4) Бакуриани, южная экспозиция, 2050 м н. у. м.,
тип леса — *Pinetum prasinorum*.

На каждом объекте срублено по три модельных дерева одного и того же возраста (100—120 лет). Модельные деревья выбраны по методу, предусмотренному ОСТ НКЛес-196 [2].

Влажность свежесрубленной древесины нами определена по методу ГОСТ 3821-47 [3]. Образцы древесины взяты с ядра и заболони на высоте стволов 0,0; 1,3; 3,6; 5,6 и т.д. через каждые 2 м.

Исследования показали, что изменение влажности древесины сосны в свежесрубленном состоянии зависит как от экспозиции и высоты н. у. м., так и от высоты и радиуса ствола.

На северных экспозициях влажность в ядровой части стволов на 7%, а в заболонной на 30% больше, чем в древесинах сосен, произрастающих на южных экспозициях.

С увеличением высоты н. у. м. влажность древесины увеличивается как в ядровой, так и в заболонной части стволов сосны.

По высоте ствола абсолютная влажность древесины сравнительно мало колеблется в ядровой части стволов (20—25%), в заболонной же части — в пределах 30—45%.

Наименьшая влажность (31—41%) наблюдается в центральной части ствола, в ядре, а максимальная (94—145%) — в заболони, что согласуется с данными проф. С. И. Ванниа [4].

Исследователи А. Т. Вакин и А. М. Краснитский [5,6] указывают, что у лиственных ядровых пород высокая влажность древесины



замедляет процесс ядрообразования, а низкая — ускоряет его. Какая же взаимосвязь существует между влажностью и ядрообразованием в стволах хвойных пород? Наши исследования показали, что ускорение ядрообразования происходит там, где наблюдается минимальная влажность свежесрубленной древесины сосны (62,5) — в Боржоми, на южных экспозициях, в типе леса *Pinetum citiosum*. С увеличением влажности процесс ядрообразования пропорционально замедляется.

Таким образом, высокая влажность древесины сосны замедляет процесс ядрообразования, тогда как низкая вызывает интенсивное ядрообразование.

Изучение взаимосвязи влажности древесины и ядрообразования в горных лесах Закавказья требует проведения дальнейшей исследовательской работы.

შედეგების დასკვნები — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. М. О. Кордзая, Климат Грузии. Изд. АН ГССР, Тбилиси, 1961.
2. ОСТ НКЛес 196 „Метод выбора модельных деревьев для исследования физико-механических свойств древесины насаждений“.
3. ГОСТ 3621-47 „Метод определения влажности древесины“.
4. С. И. Ванин. Древесиноведение. Гослестехиздат, Л., 1934.
5. А. Т. Вакии. Ядрообразование и ядровая гниль у лиственных пород в связи с очищением ствола от сучьев. Первая межвузовская конференция по защите леса. Тезисы докладов, т. I. Изд. Московского лесотехнического ин-та, 1958.
6. А. М. Краснитский. О влажности свежесрубленной древесины и ядрообразовании у ясеня обыкновенного (*Fraxinus excelsior* L.). Научные доклады высшей школы, биологические науки, № I, 1961.
7. В. А. Баженов и В. Е. Вихров. О влажности древесины в стволе лиственных ядровых пород. ДАН СССР, т. 63, № 3, 1948.
8. В. А. Баженов и В. Е. Вихров. О влажности древесины в свежесрубленном состоянии. Труды Ин-та леса АН СССР, т. 4, 1949.

Т. И. ЖИЖИЛАШВИЛИ

К ИЗУЧЕНИЮ ВИДОВОГО СОСТАВА МИРМЕКОФАУНЫ
(FORMICIDAE) СТЕПНОЙ ЗОНЫ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

(Представлено членом-корреспондентом Академии Л. П. Каландадзе 7.2.1963)

В результате обработки материала, собранного автором в 1960—1962 гг., и на основании литературных данных [1,2] для степной зоны Грузии приводится 71 вид и подвид муравьев. Из зарегистрированных видов¹ в настоящей работе описаны лишь 13 видов и подвидов, впервые выявленных для мирмекофауны Грузии.

Подсем. *Murmicinae*.

1. *Aphaenogaster (Attomyrma) splendida* Rog.

Шираки овраг Оле, склоны гор и холмов, 24.V.1960, под камнями.

2. *Messor rufitarsis* (s. l.)

Тбилиси, Ботанический сад, 1.XI.1960, ксерофильные места, в трещинах скал; Шираки—Зильча, 13.V.1959, холмы со степной растительностью, под камнями; Эльдарская низменность, 9.IV.1962; Гардабани, 16.III.1962 (полупустынная зона), под камнями.

3. *Messor rufitarsis melancholicus* Karaw.

Полупустынная зона: Эльдарская низменность, 28.IX.1960, 9.IV.1962, входы в гнездо с наружным отверстием; Гардабани, 13.VI.1961, 16.III.1962, склоны холмов с выгоревшей растительностью, входы с наружным отверстием; степи Шираки—Зильча, 29.IX.1960, 13.III.1960, на освоенных под пшеницу угодьях; окрестности Тбилиси—Шавнабада, 3.IV.1961, склоны скалистых гор типа шибляка, под камнями, кр. ♀♀ ♂♂ в гнезде; плато ботанического сада, 1.XI.1961, в трещинах скал и под камнями; окрестности Дигоми, 14.III.1961, холмы со скудной ксерофильной растительностью, под камнями.

В гнездах нами обнаружены семена *Deschampsia caspitosa*, *Amaranthus blitoides*, *glaucium corniculatum*, *Setaria viridis*, *Euphorbia humifusa*, *Rumex crispus*, *Polygonum convolvulus*, *Linum*, *Echinochloa crus galli*, *Amaranthus retroflexus*.

¹ Правильность определения проверена К. В. Арнольди.

4. *Cardiocondyla bogdanovi* Ruzs.

Тарибана (полупустынная зона), 13.IV.1962, едва заметное наружное отверстие в гнездах.

5. *Monomorium (Holomyrmex) dentigerum* Rog.

Эльдарская низменность, окрестности Мингечаури, 19.V.1961, 8.IV.1962, с полупустынной растительностью с преобладанием бородача, очень узкое, едва заметное отверстие в гнезде, с выброшенными вокруг отверстия измельченными частицами земли; Лекискали (аридное редколесье), 28.IX.1960, ксерофильные места, под камнями и в норах, кр. ♀♀♂♂ там же в гнезде; Тарибана с полупустынной растительностью, 12—13.IV.1962.

6. *Solenopsis orbula oculata* Karaw.

Гардабани, 16.III.1962 (полупустынная зона), под камнями; Шираки—Пиантишара, 8.IV.1962, склоны гор степного характера, под камнями, в соседстве с гнездом с *Camponotus aethiops*; Касрискали, 11.IV.1962, холмы со степным разнотравьем, под камнями.

7. *Tetramorium syriacum* Em.

Степная зона: Шираки—Касрискали, 13.IV.1959, кр. ♀♂ там же в гнезде; овраг Оле, южный склон со степным разнотравьем, 24.V.1960, 27.VII.1960, ♂♂ там же в гнезде; Зильча, 12—13.VI.1959, б. кр. ♀ там же в гнезде; Сартычала, 9.V.1961, холмы со степной растительностью, кр. ♀♀♂♂ там же в гнезде; Патара-Лило, 20.III.1961, среди степной растительности, под камнями; Кавтисхеви 15—20.IV.1960, известняковые холмы со степным разнотравьем, кр. ♀♀♂♂ там же в гнезде; Садахло, 24.IV.1961, шиблики с преобладанием степной растительности, под камнями; Самгорская степь, 7.VII.1960; окрестности оз. Лиси, южные склоны холмов, под камнями; Удабно, 24—26.IV.1961. (полупустынная зона), под камнями; Шави-мта (лиственный лес, примыкающий к степной зоне); Зильча, под камнями.

В гнезде обнаружены семена *Cuscuta* sp., *Amaranthus blitoides*, *Carsseia bursa pastoris*.

8. *Tetramorium ferox* Ruzs.

Кавтисхеви, 1.VIII.1959, кр. ♀ на свет, 20.III.1962, там же, рабочие особи в балках; Самгорская степь—Сартычала, 9.IX.1960, под камнями; Садахло, 24.III.1961, 7—9.V.1961, Шиблики, под камнями; Шираки, 5.IV.1962; Удабно, 2.IV.1961, холмы на сухих степных участках.

С трудом отличается он от других видов по рабочим особям, поэтому под сомнением относим к этому виду муравьев из Шираки, Удабно, Садахло, Самгори.

9. *Tetramorium punicum* Smith.

Тбилиси, 10.VII.1960, 24.VII.1960, там же кр. ♀♀ на свет.

10. *Strongylognathus testaceus* Schenck.

Тбилиси, 9.VII.1960, кр. ♀♂ на свет; Самгорская стена, 7.VII.1960, в гнездах.

Подсемейство *Dolichoderinae*

11. *Tapinoma tauridis trancaucasicum* Karaw.

Степная зона: Шираки—Каспискали, 2.VI.1960, там же кр. ♀♀ в гнезде, 4.V.1960, там же, под камнями; Зильча, 13.IV.1959, холмы со степным разнотравьем, под камнями; Сартичала, склоны гор, 25.IV.1960. Вазнани, 6.V.1959, под коровьим пометом; Шулавери, 13.V.1959, сухие открытые места, среди травянистых растений. Шираки—аридное редколесье (Вашлованский заповедник), 7.VI.1962, среди соляково-полимной растительности; Пантынарское ущелье, 8.IV.1962, небольшие рыхлые земляные холмики, среди травянистых растений. Садахло, 24.III.1961, гнезда в зарослях держи-дерева со степной растительностью, кр. ♀♀ там же в гнезде; Шавнабада, 3.IV.1961, склоны гор с кустарниками и ксерофильной растительностью, под камнями; Саххенгеси, 7.VII.1960, шибляки, открытые солнечные места, норы в земле; Патара-Лило, 20.III.1961, склоны с держи-деревом, под камнями. Обычный на Кавказе вид.

12. *Tapinoma simrothi karawajevi* Em.

Полупустынная зона: Эльдарская низменность, 9.IV.1962, в норах; Тарибана, 27.V.1961, среди ксерофильной растительности; окрестности оз. Кумиси, 21.IV.1961, склоны со степной растительностью, под камнями. Аридное редколесье: Лекисикали, 2.IV.1962, берег Соленой речки, открытые солнечные места, в норе; Каатанское ущелье, 22.V.1961, берег Соленой речки, степное разнотравье, в зарослях фисташника; Пителицкаро, 24.V.1961, ксерофильная растительность на известняках, среди кустарников, под камнями; Самгорская стена—Сартичала, 2.VI.1961, холмы, под камнями.

Подсемейство *Ecormicinae*

13. *Camponotus (Taenomyrmex) turkestanicus* Em.

Эльдарская низменность 19.V.1961, там же, 9.IV.1962; Пантынарское ущелье, 13.V.1961, везде найдены единично блуждающие рабочие.

Из регистрируемых нами видов муравьев к степному разнотравью приурочены *Messor rufitarsis*, *M. ruf. melancholicus*, *Solenopsis orbula oculata*, *Tetramorium syriacum*, *T. ferox*, *T. punicum* *Strongylognathus testaceus*, *Tapinoma tauridis trancaucasicum*, *T. simrothi karawajevi*; к шиблякам—

Tetramorium syriacum, *T. ferox*, *Tapinoma tauridis transcaucasicum*, *T. simrothi karawayevi*; в аридном редколесье встречаются *Monomorium dentigerum*, *Solenopsis orbula oculata*, *Tapinoma tauridis transcaucasicum*, *T. simrothi karawayevi* *Camponotus turkestanicus*; в полупустынной зоне *Cardiocondyla bogdanovi*, *Monomorium dentigerum*, *Solenopsis orbula oculata*, *Tetramorium syriacum*, *T. ferox*, *Tapinoma tauridis transcaucasicum*, *T. simrothi karawayevi*, *Camponotus turkestanicus*.

Некоторые виды эвритопны и встречаются везде в исследуемых зонах, к ним относятся *Tapinoma tauridis transcaucasicum* и *T. simrothi karawayevi*.

Некоторые же виды являются более стеногопными и приурочены лишь к полупустыне и ариднему редколесью, например, *Monomorium dentigerum* и *Camponotus turkestanicus*; некоторые виды рода *Messor* и *Tetramorium* относятся к зерноядным и одновременно являются расселителями семян как сорных, так и полезных растений.

Академия наук Грузинской ССР

Институт зоологии

Тбилиси

(Поступило в редакцию 7.2.1963)

ენტომოლოგია

თ. შიშილაშვილი

მასალები აღმოსავლეთ საქართველოს ველის ზონის მირმეკოფაუნის (FORMICIDAE) სახეობრივი შემსავლისათვის

რეზუმე

1960—62 წლებში მოპოვებული მასალისა და ლიტერატურული მონაცემების [1,2] თანახმად, საქართველოს ველის ზონაში ჩვენ მოგვყავს ჰიანჭველების 70 სახეობა და ქვესახეობა. რეგისტრირებული სახეობებიდან წინამდებარე შრომაში მოგვყავს 13 სახეობა და ქვესახეობა, რომლებიც საქართველოს მირმეკოფაუნისათვის პირველადაა მოყვანილი.

დამოწმებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. М. Д. Рузский. Муравьи России. ч. I и II. Труды о-ва при Казанск. ун-те, XXXVIII и XI, Казань, 1905, 1907.
2. М. А. Карawayew. Beiträge zur Ameisenfauna des Kaukasus, usw. Konowia, 5* 1926.



ზოოლოგია

ა. ჯანაშვილი, ო. ტარტაჩაშვილი

მასალები ზოგიერთი ხელფრთიანის ზაქათლის რაიონში
 ბავრცელების შესწავლისათვის

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდიაძემ 15.1.1963)

ზაქათლის რაიონის (აზერბაიჯანის სსრ) ხელფრთიანთა ფაუნის შესწავლა წარსულში ცალკე საქთხად არ ყოფილა დაყენებული. ჩვენს მიზანსაც არ შეადგენს დასახელებული რაიონის ხელფრთიანთა სრული სისტემატიკური შემადგენლობის გადმოცემა. ჩვენ ვკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი ცნობის მოწოდებით.

ამასთან აღვნიშნავთ, რომ ზაქათლის რაიონის ხელფრთიანთა შესახებ ლიტერატურული მასალებიც მეტად უმნიშვნელოა და ისიც მეტწილად მოსახლურ რაიონებს ეხება.

წარმოდგენილი შრომისათვის გამოყენებულია ის კოლექციები, რომლებიც ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს მოპოვებულია ზაქათლის რაიონის ზოგიერთ სოფელში—კახში, ალათემურში, ალიბეგლოში, ქოთუქლოში, ლექეთში. მასალები ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრაზე.

დიდი ცხვირნალა—*Rhinolophus ferrum-equinum* Schreber, 1774.

კ. სატუნინი [1] აღნიშნავს, რომ დიდი ცხვირნალა „ჩვეულებრივია ამიერკავკასიაში“, რასაც შემდგომ ადასტურებს ს. ოგნიოვიც [2]. ნ. ვერეშჩაგინს [3] თავისი მონოგრაფიისათვის დართულ რუკაზე აღნიშნული ცხვირნალას გავრცელების არეალში მოქცეული აქვს ზაქათლის მიდამოებიც.

დიდი ცხვირნალა¹ 1962 წლის ზაფხულის სხვადასხვა დროს მოვიპოვეთ სოფ. ალათემურის სახლის სხვენში, სადაც ის საკმაოდ მრავლად იყო. 1957 წლის ზაფხულში დიდი ცხვირნალას მოზრდილი კოლონია ჩვენ მიერ რეგისტრირებულია სოფ. ლექეთის ძველი ტაძრების ნანგრევთა გუმბათების ქვეშ. საყურადღებოა, რომ ამ ადგილებში მომდევნო წლებში დასახელებულ ცხვირნალას მხოლოდ თითო-ორივე ეგზემპლარი ძლივს მოვიძიეთ. დიდი ცხვირნალა ხშირი ბინადარია კახის მახლობლად მდებარე ქურმუხის ეკლესიისა, სადაც იგი გუმბათის ქვეშ აფარებს თავს. არაერთხელ შეგვიჩვენა ეს ცხვირნალა ბოსლებში, გომებში და სხვა მსგავს ადგილებში.

¹ ხელფრთიანთა კოლექციების სახეობრივობა დაადგინა რ. ავალიანმა, რისთვისაც მას მადლობას მოვხსენებთ.

ჩია ლამურა — *Vespertilio pipistrellus* Schreber, 1775

კ. სატუნინის [1] თქმით, ჩია ლამურა ყველგან გვხვდება ამიერკავკასიაში. ამავე აზრს შემდგომ იმეორებს ს. ოგნიოვი [2]. ნ. ვერეშჩაგინს [3] თავის მონოგრაფიაში დართულ რუკაზე ჩია ლამურას არეალში მითითებული აქვს ზაქათლის მიდამოებიც.

ჩია ლამურას რამდენიმე ეგზემპლარი 1962 წლის ზაფხულში მოვიპოვეთ კახში სახლის სხვენში. წარსულში აღნიშნული ლამურას რამდენიმე ეგზემპლარი ჩვენ მიერ რეგისტრირებულია ამავე სოფლის სახლის კარებისა და ფანჯრების თამასებს უკან. ეს ლამურა აღნიშნულია აგრეთვე სოფ. ალათემურშიც. ჩია ლამურას ფრენას ვაკვირდებოდით როგორც დაღამების შემდეგ რამდენადღე მოგვიანებით, ისე დილით ადრე.

ჩვენი გამოკვლევათა და მასალების მიხედვით, საკვლევ უბანში (ზაქათლის რაიონში) ჩია ლამურას ქვესახეობებიდან გავრცელებულია ჩვეულებრივი ჩია ლამურა (*V. p. pipistrellus* Schreber, 1775).

ხმელთაშუაზღვისეული ლამურა — *Vespertilio külli* Kühn, 1819

ა. კუზიაკინის [5] შრომაში აზერბაიჯანის ფარგლებში ხმელთაშუაზღვისეული ლამურას გავრცელების ზაქათლის რაიონთან ყველაზე უახლოეს პუნქტად მითითებულია ბარდა და ევლახი, რომლებიც ჩვენი საკვლევი უბნიდან 110—115 კილომეტრითაა დაშორებული.

ხმელთაშუაზღვისეული ლამურა ჩვენ მიერ 1962 წლის ივლის-აგვისტოში მოპოვებულია სოფ. კახში, ალათემურში სახლის სხვენში. წარსულში ამ სახეობის ლამურა მოვიციეთ კახის ქურმუხის ეკლესიისა და კასრის საყდრის გუმბათების ქვეშ, სადაც მეტწილად თითო-ოროლა ეგზემპლარის სახით გვხვდებოდნენ. რიგ შემთხვევებში იგი თავს აფარებს კარებისა და ფანჯრების თამასებს შორის, რაც შენიშნულია სოფ. ქოთოქლოს სკოლის შენობაში.

მეგვიანე ლამურა — *Vespertilio serotinus* Schreber, 1775

კ. სატუნინის [6] გადმოცემით, ეს სახეობა ამიერკავკასიაში ყველგან ჩვეულებრივია. ამასვე შემდგომ იმეორებს ს. ოგნიოვიც [1]. ნ. ბობჩინსკისა და სხვათა [4] შრომაში დართულ რუკაზე მეგვიანე ლამურას არეალის ფარგლებში ლავოდებისა და ზაქათლის მიდამოებიცაა მითითებული. ნ. ვერეშჩაგინს [3] თავის მონოგრაფიაში მოცემულ რუკაზე მეგვიანე ლამურას არეალში მითითებული აქვს ნუხის რაიონის ზოგიერთი ადგილიც, რომლებიც ჩვენი საკვლევი უბნიდან 20—25 კილომეტრითაა დაშორებული.

მეგვიანე ლამურას რამდენიმე ეგზემპლარი ჩვენ მიერ 1962 წლის ზაფხულში მოპოვებულია სოფ. კახსა და ალათემურში სახლების სხვენში. წარსულში ამ ლამურას გუნდი რეგისტრირებული გვაქვს სოფ. ალიბეგლოს საშუალო სკოლის სხვენში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ სახეობის ლამურას ერთი ეგზემპლარი ჩვენ მოვიპოვეთ სოფ. ლეჭეთის მისადგომებთან არსებულ ტაძრის გუმბათის ქვეშ.

რ. ავალიანის [6] ცნობით, მეგვიანე ლამურა დიდი სიციხეების დროს თავს აფარებს „საკვამლე მილის ნაპრალებს“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(რედაქციას მოუვიდა 15.1.1963)



А. Г. ДЖАНАШВИЛИ, О. Ш. ТАРТАРАШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ К ИЗУЧЕНИЮ РАСПРОСТРАНЕНИЯ НЕКОТОРЫХ
РУКОКРЫЛЫХ В ЗАКАТАЛЬСКОМ РАЙОНЕ

Резюме

Авторами на основании личных исследований установлено распространение четырех видов рукокрылых в пределах Закатальского района (Азерб. ССР): большой подковонос (*Rhinolophus ferram-equinum* Schreber), нетопырь-караик (*Vespertilio pipistrellus* Schreb.), средиземноморский нетопырь (*Vespertilio kuhli* Kühl) и поздний кожан (*Vespertilio serotinus* Schreber). Материал был добыт в селах Кахи, Алатамури, Алибегло, Котукло, Лекети.

დავითიანური ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. К. А. Сатунин. Млекопитающие Кавказского края, т. 1. Тифлис, 1915.
2. С. И. Огнев. Звери Восточной Европы и Северной Азии, т. I. М.—Л., 1928.
3. Н. К. Верещагин. Млекопитающие Кавказа. М.—Л., 1959.
4. Н. А. Бобринский, Б. А. Кузнецов, А. П. Кузякин. Определитель млекопитающих СССР. М., 1944.
5. А. П. Кузякин. Летучие мыши. М., 1950.
6. რ. ავალიანი. მასალები ზოგიერთი ხელფრთიანის საქართველოში გავრცელების შესწავლისათვის. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. XXX, № 1. 1963.



პარაზიტოლოგია

ბ. შუაშვილი, ბ. კაკულია, შ. ზანიშვილი

ნაძვის დიდი ლაფანჯამიას ელიტრებისქვეშა ნამატოლები და
ხოჭო-მასკინძელს შორის ალიმენტარული ურთიერთობის
შისწავლისათვის

(წარმოდგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდაძემ 7.9.1963)

ნაძვის დიდი ლაფანჯამია (*Dendroctonus micans* Kugel.) საქართველოში პირველად 1956 წელს იქნა შენიშნული ზორჯომის სატყეო მეურნეობაში. ამჟამად იგი ფართოდაა გავრცელებული [1]. საქართველოში იგი ჩირითადად აღმოსავლურ ნაძვს — *Picea orientalis* (L.) Link. აზიანებს.


ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად (ნაძვის დიდი ლაფანჯამიას ათასზე მეტი ეგზემპლარის სრული ელმინთოლოგიური ვაკევა და ხოჭოს სასველ გზებში ნაფხვენის გამოკვლევა) ნემატოდები ნაპოვნია: ზრდასრული ხოჭოს ელიტრების ქვეშ (ლარვები), მკერდისა და მუცლის სეგმენტების ნაეცებში (როგორც ლარვები, ისე სქესმწიფე ფორმები), სხეულის ღრუში (ლარვები). ნემატოდები ნაპოვნია აგრეთვე ხოჭოს მატლებშიც როგორც სხეულის შიგნით (ლარვების ერთეული ეგზემპლარები), ისე გარეთაც და ხოჭოს სასველ გზებში მოთავსებულ ნაფხვენში, ნაღრღში (როგორც ლარვები, ისე სქესმწიფე ფორმები) (ნახ. 2).

დადგინდა, რომ ნაძვის დიდი ლაფანჯამიას ელიტრების ქვეშ პარაზიტობს ორი სახეობის ნემატოდა [2]: *Bursaphelenchus incurvus* Rühm, 1956 და *Ectaphelenchus dendroctoni* Rühm, 1956. ამთავან დომინანტურს წარმოადგენს *Bursaphelenchus incurvus* (ნახ 1) დანივაზირების მაღალი ხარისხით. თითოეული ელიტრის ქვეშ ვპოულობთ 500-ზე მეტ ნემატოდს. მაშინ როდესაც ნემატოდების ლოკალიზაციის სხვა ადგილებში მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ზოგჯერ ერთეულებით განისაზღვრება.

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს ბიოლოგიური მეთოდი. ცნობილია, რომ ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების, მტაცებელი და პარაზიტული მწერების, პარაზიტული ნემატოდებისა და სხვ. გამოყენებამ მავნე მწერებთან ბრძოლაში შესაძლებელია კარგი შედეგები მოგვეცეს, თუკი მათი (ჩამოთვლილი ფორმების) პერსპექტიული სახეობები ყოველმხრივ იქნებიან შესწავლილი.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს მწერთა პარაზიტული ნემატოდები, სახელდობრ, ტყის მავნებელი ხოჭოების პარაზიტული ნემატოდები, რომელთა პათოგენური მოქმედება მასპინძლის ორგანიზმზე შემჩნეულია მრავალი მკვლევარის მიერ [3, 4, 5, 6].

მწერების ცხოვრებაში პარაზიტული ნემატოდების მნიშვნელობის მართებულ შეფასებას მიყვავართ იმ შეხედულებამდე, რომ შესაძლებელია პარაზიტული ნემატოდების გამოყენება მავნე მწერების წინააღმდეგ.



ნახ. 1. ნაძვის დიდი ლაფანკანის ელიტრების ქვეშ მობინადრე ნემატოდის ლარვები!— *Bursaphelenchus incurvus* Rühm, 1956 (ორიგინალი)



ნახ. 2. ნემატოდების ლარვები და სქესმწიფე ფარმები (*Bursaphelenchus incurvus*) ნაძვის დიდა ლაფანკანის სასელულ გზებში, ნაუბენიდან (ორიგინალი)

უკანასკნელ ხანებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ნემატოდა — *Neoplectana glaseri* გამოყენებულია იაპონური ხოჭოს მატლების წინააღმდეგ. ნემატოდებს ამრავლებდნენ გლეხერის (Glaser) [7, 8, 9], სტოლის (Stoll) [10, 11, 12] და ჯეკსონის (Jackson) [13, 14] ლაბორატორიებში ხელოვნურ საკვებზე.

ნემატოდებს ლარვებს, გამრავლებულს ხელოვნურ პირობებში. ათავსებდნენ ბელტის ქვეშ პატარა ორმოში, ანდა წყლის სუსპენზიის სახით ასტურებდნენ ნიადაგზე ზემოდან. დაავადების პროცენტი და ხოჭოს მატლის სიკვდილი 81,5%-ს აღწევდა. ეს დამოკიდებული იყო ნიადაგის სინესტისა და ტემპერატურისაგან, მონეული ჭიების რაოდენობისა და ნიადაგში ხოჭოს მატლებს დასახლების სიმჭიდროვისაგან.

ნემატოდების კულტივირებაში პირველი დადებითი შედეგების მიღების შემდეგ გლეხერი რამდენიმე წლის განმავლობაში თანამშრომლობდა სხვა მკვლევარებთან ერთად, რომ აღმოეჩინა სწორი მეთოდი, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა დიდძალი არასტერილური ნემატოდების გაზრდა მინდორში გასავრცელებლად.

გლეხერის გარდაცვალების შემდეგ ამ მიმართულებით ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს პროფ. ნ. სტოლი და დოქტორი გ. ჯეკსონი. ადრე ფიქრობდნენ, რომ *Neoplectana glaseri*, როგორც პარაზიტი, ვრცელდებოდა მხოლოდ იაპონური ხოჭოს მატლებზე, მაგრამ, როგორც გამოირკვა, (სტოლი, ჯეკსონი), მას მასპინძლების უფრო ფართო სფერო აქვს.

ჩვენი დაკვირვების მიხედვით ნაძვის დიდი ლაფანჯამიას პარაზიტ ნემატოდიდან ჯერჯერობით არ არის გამოვლინებული ისეთი ფორმა, რომელიც იწვევდეს ლაფანჯამიას კასტრაციას ან სიკვდილს.

მაგრამ იმის გამო, რომ ნაძვის დიდი ლაფანჯამიას ელიტრების ქვეშა ნემატოდებით დაინვაზირების ხარისხი მაღალია, მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ალიმენტარული ურთიერთობა ამ ნემატოდებსა და ხოჭო-მასპინძელს შორის.

საერთოდ ცნობილია, რომ სხეულის ღრუსშიგნითა პარაზიტული ჭიები ოსმოსურად იკვებებიან. რაც შეეხება ხოჭოს ელიტრების ქვეშ მყოფ ნემატოდებს, გერმანელ მკვლევართა ფუქსისა (Fuchs) [15] და რუმის (Rühm) [16] აზრით, ეს ლარვები არ იკვებებიან, მდგრადი არიან გარემო არახელსაყრელი პირობებისაღმდეგ და ანაბიოზის მსგავს მდგომარეობაში იმყოფებიან. ზემოაღნიშნული გერმანელი მკვლევარნი ამ ფორმებს უწოდებენ „Dauerlarven“. ე. ი. ხანგრძლივად ლარვულ მდგომარეობაში მყოფ ფორმებს; საბჭოთა ენტომოპელმინთოლოგი ს. ლაზარეცკაია [17] კი უწოდებს „ლატენტურ ლარვებს“ და ისიც უთითებს, რომ ლატენტური ლარვები საერთოდ არ იკვებებიან.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მკვლევარნი თვლიან, რომ ხოჭოების ელიტრების ქვეშ მოზინადრე ნემატოდების ლარვები ანაბიოზის მსგავს მდგომარეობაში მყოფი ფორმებია, რომლებიც არ იკვებებიან.

თუ რამდენად მართებული და ზუსტია ასეთი დასკვნა, ამის შესამოწმებლად მოვიშველიეთ ნიშანდებული ატომები, რომლებსაც ამ უკანასკნელ ხანე-
43. „მოამბე“, XXXIII:3, 1964.

ბში ფართოდ იყენებენ ცოცხალი ორგანიზმების დღემდე უცნობი მრავალი ფიზიოლოგიური პროცესის საიდუმლოების გასაგებად.

ნაძვის დიდი ლაფანჭამიას ელიტრებისქვეშა ნემატოდებსა და ხოჭო-მასპინძელს შორის აღიმენტრული ურთიერთობის შესწავლისათვის გამოიყენეთ რადიოაქტიური ფოსფორი (P^{32} ორჩანაცვლებული ნატრიუმის ფოსფატი) (1).

საწყისი ხსნარიდან დამზადდა სამუშაო ხსნარი, რომლის ხვედრითი რადიოაქტიობა უდრიდა $0,25 \text{ m Cu/მლ-ს}$. ლაფანჭამიას ორგანიზმში ნიშანდებული ფოსფორის შეყვანის სამი ხერხი გამოიცილა.

1. ხსნარის ერთი მეოთხედი წვეთის შეყვანა per os. ამ ხერხმა შედეგი ვერ მოგვცა, რადგანაც ხსნარი ვერ მოხვდა ლაფანჭამიას სხეულის შიგნით და ამიტომ ის უარყოფილ იქნა.

2. რადიოაქტიური ხსნარის ინექცია ლაფანჭამიას სხეულის ღრუში ერთი მილილიტრიაში შპრიცით. მკერდის ღრუში შუა და უკანა მკერდს შორის აპკის ჩხვლევით შეყვანილ იქნა ხსნარის წვეთის ერთი მეოთხედი. ექსპერიმენტის ქვეშ იყო 75 ლაფანჭამია. ინექციის შედეგად 24 საათის შემდეგ დაიღუპა 6 ლაფანჭამია, რომლებიც გამოითიშნენ ექსპერიმენტისაგან.

ლაფანჭამიას ორგანიზმიდან ნიშანდებული ფოსფორის ამავე ლაფანჭამიას ელიტრებისქვეშა ნემატოდებში გადასვლის დასადგენად გამოყენებულ იქნა შემდეგი ექსპოზიციები: ინექციიდან 24 საათი, 48 საათი, 96 საათი და 3 დღე (ცხრ. 1).

3. ლაფანჭამიების გამოკვება ნიშანდებული ფოსფორით (P^{32}).

ექსპერიმენტისათვის აღებულ იქნა ნაწილობრივ წინასწარ გამომშრალი ნაძვის ხის ნაჭერი, გაყვანილი რადიოაქტიური ფოსფორის ხსნარით ($0,25 \text{ m Cu/მლ}$ ხვედრითი რადიოაქტიობით). გაყვანილების შემდეგ ნაძვის ხის ნაჭერი შემშრალეულ იქნა ზედმეტი ხსნარისაგან, მოთავსდა შინის დახურულ ცილინდრულ კუბრულში და იქ ჩაისვა 90 ეგზ. ნაძვის დიდი ლაფანჭამია (2).

ხოჭოების უმეტესი რაოდენობა შეძერა ნაძვის ლაფანში, გაიკეთა სასვლეელი გზები და დამზადა ნაფხენი, ე. ი. აწარმოვა კვება. ხოჭოების ორგანიზმში ნიშანდებული ფოსფორი უნდა შესულიყო საკვებთან ერთად. ლაფანჭამიას ორგანიზმიდან ნიშანდებული ფოსფორის ამავე ლაფანჭამიას ელიტრებისქვეშა ნემატოდებში გადასვლის დასადგენად გამოყენებულ იქნა შემდეგი ექსპოზიციები: 48 საათი, 72 საათი და 92 საათი (ცხრლი 2).

(1) ჩვენი ექსპერიმენტები ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერთა ფიზიოლოგიის განყოფილების რადიოაქტიური ლაბორატორიაში. ესარგებლოთ რა შემთხვევით, უდიდეს მადლობას ვუცხადებთ განყ-ბის გამგეს საქ- სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოს ლ. ჯაფარიძეს დახმარებისა და კონსულტაციისათვის.

(2) გამოყენებულ იქნა ნაძვის დიდი ლაფანჭამიები, რომლებიც 3 თვით ადრე იყო შეგროვილი ბორჯომში ნაძვებიდან და ზაფხულის კვება ჯერ არ ჰქონდათ დაწყებული. ლაფანჭამიები ლაბორატორიულ პირობებში რამდენჯერმე იყვნენ გააქტიურებული მაცივრიდან თათბის ტემპერატურაზე გამოყვანით.

ორივე ექსპერიმენტის დროს დადგენილი ექსპოზიციის ამოწურვის შემდეგ საცდელი ლაფანჯამიების ელიტრებისქვეშა ნემატოდები ბინოკულარის ქვეშ ნემსით ამოგვეყავდა ფრთხილად, რათა გარედან არ მოხვედროდა ფოსფორი და თითოეულ შემთხვევაში გამოწმებდით ნემსის გაბინძურებას რადიოაქტიური ფოსფორით.

ცხრილი 1

ნემატოდების რადიოაქტივობა ლაფანჯამიას ორგანიზმში რადიოაქტიური ფოსფორის ინექციის დროს. რადიოაქტივობა იმპ/წუთ. 10 ხოქოზე

ექსპერიმენტის ხანგრძლივობა	ნემატოდების რადიოაქტივობა	საშუალო რადიოაქტივობა ორი განმეორებიდან	შენიშვნა
24 საათი	1256	1600	
	1944		
	1696	2180	
48 საათი	2664		
	968	848	
96 საათი	728		
	1760	1904	
8 დღე	2048		

ცხრილი 2

ნემატოდების რადიოაქტივობა ნიშანდებული ფოსფორით გაელენითილი ლაფანჯამიების გამოკვების დროს. რადიოაქტივობა იმპ/წუთ. 10 ხოქოზე

ექსპერიმენტის ხანგრძლივობა	ნემატოდების რადიოაქტივობა	საშუალო რადიოაქტივობა ორი განმეორებიდან	შენიშვნა
48 საათი	3128	4152	
	5176		
72 საათი	4608	3372	
	2136		
96 საათი	4352	3536	
	2720		

თითოეულ შემთხვევაში 10 ლაფანჯამიადან ნემატოდებს ვიღებდით თითო ელიტრიდან. ნემატოდების გროვას თავისი გარსით ვათავსებდით ორგანული მინის სპეციალურ თეფშზე ონკანის წყლის წვეთში. ნემატოდების რადიოაქტივობას ვზომავდით დანადგარ B-ზე აღმრიცხველ B4.1 — 25-ის დახმარებით, 12,5%-ის ეფექტურობით. გაზომილ იქნა აგრეთვე ლაფანჯამიას საშუალო რადიოაქტივობა. გამოთვლების დროს მხედველობაში იყო მიღებული რადიოაქტიური ფოსფორის ნახევარდაშლის პერიოდი.

ლაფანჯამიების ელიტრებისქვეშა ნემატოდების რადიოაქტივობის გაზომვამ, რომელშიაც რადიოაქტიური ფოსფორი შეყვანილ იქნა ინექციით, გვიჩვენა, რომ P³² ხოქოს ორგანიზმიდან გადადის ელიტრისქვეშა ნემატოდებზე (ცხრილი 1).

სხვადასხვა ექსპოზიციები (24 საათიდან 8 დღემდე) რაიმე კანონზომიერ განსხვავებას არ ამჟღავნებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნემატოდების რადიოაქტივობა თვით ლაფანჯამიას რადიოაქტივობასთან შედარებით (420000 იმპულსი წუთში თითოეულ ხოქოზე) უმნიშვნელოა და დაახლოებით 0,04 — 0,1%-ს შეადგენს.

დიდი დამაჯერებლობით მტკიცდება ალიმენტარული ურთიერთობის არსებობა ლაფანჭამიას ელიტრებისქვეშა ნემატოდებსა და ხოჭო-მასპინძელს შორის მესამე ექსპერიმენტის დროს, როდესაც ლაფანჭამიები მათთვის ნორმალურ პირობებში იკვებებოდნენ რადიაქტიური ფოსფორით წინასწარ გაკლენთილი ლაფნით.

ნემატოდების რადიაქტიულობა ამ შემთხვევაში საგრძნობლად უფრო მაღალი იყო (ცხრილი 2), ვიდრე ფოსფორის ინექციის დროს.

ამავე დროს განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მესამე ექსპერიმენტის დროს თვით ლაფანჭამიების რადიაქტიულობა შედარებით ნაკლებია, ვიდრე ფოსფორის ხსნარის ინექციის დროს.

ამრიგად, ჩვენი ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ლაფანჭამიას ელიტრებისქვეშა ნემატოდებსა და ხოჭო-მასპინძელს შორის არსებობს უშუკველი ალიმენტარული ურთიერთობა; რომ ელიტრებისქვეშა ნემატოდები იკვებებიან და ეს კვება უთუოდ ოსმოსურად ხორციელდება. ამდენად, ზემოაღნიშნულ ავტორებს ფუქსს, რუმსა და ლაზარევსკაიას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რომ ხოჭოების ელიტრებისქვეშა ნემატოდები არ იკვებებიან.

მომავალში საჭიროა შესწავლილ იქნეს რადიაქტიური ფოსფორის ნემატოდებში განაწილება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ბიოლოგიის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვლიდა 7.9.1963)

ПАРАЗИТОЛОГИЯ

Б. Е. КУРАШВИЛИ, Г. А. КАКУЛИЯ, Ш. Ш. ЧАНИШВИЛИ

К ИЗУЧЕНИЮ АЛИМЕНТАРНОГО ВЗАИМООТНОШЕНИЯ МЕЖДУ НЕМАТОДАМИ, РАСПОЛАГАЮЩИМИСЯ ПОД ЭЛИТРАМИ БОЛЬШОГО ЕЛОВОГО ЛУБОЕДА И ЛУБОЕДА-ХОЗЯИНА

Резюме

В результате данного исследования нематоды обнаружены под элитрами половозрелого лубоеда (ярвы), в складках грудного и брюшного сегментов (ярвы и половозрелые нематоды), в полости тела (ярвы), в личинках и в трухе (буровой муке) лубоеда (ярвы и половозрелые нематоды).

Установлено, что под элитрами паразитируют два вида нематод:

Bursaphelenchus incurvus Rühm, 1956 и *Etaphelenchus dendroctoni* Rühm, 1956. Доминирует *Bursaphelenchus incurvus* с высокой степенью зараженности. Некоторые исследователи (Fuchs, 1930, Rühm, 1956, Лазаревская, 1960) считают, что нематоды, располагающиеся под элитрами жуков, не питаются и находятся в состоянии, сходном с анабиозом.

Исходя из этого положения, авторы задались целью изучить алиментарное взаимоотношение между нематодами, располагающимися под элитрами большого елового лубоеда и лубоеда-хозяина. Для этого был применен радиоактивный P^{32} в виде двухзамещенного фосфора натрия с удельной радиоактивностью 2,5м Ки/мл. Из исходного раствора был приготовлен рабочий раствор с удельной радиоактивностью 0,25м Ки/мл.

Для введения в лубоеда радиоактивного фосфора было испробовано три способа:

1. Нанесение одной четвертой части капли раствора *per os*. Ввиду того, что раствор не попал внутрь организма лубоеда, этот способ был отвергнут.

2. Радиоактивный раствор вводился в лубоеда шприцами.

3. Лубоеды подкармливались лубом, меченным P^{32} , для чего луб или пропитывался раствором радиоактивного фосфора, затем кусочки луба подсушивались для удаления избытка жидкости и на них помещались лубоеды. Таким образом, в данном случае метка вводилась в организм лубоеда вместе с нормальной пищей.

Для установления поступления радиоактивного фосфора из организма лубоедов в населяющие их нематоды (под элитрами) были применены следующие экспозиции: в случае инъекции — 24, 48, 96 часов и 9 дней; в случае подкармливания лубом, меченным P^{32} , лубоеды экспонировались в течение 48, 72 и 92 часов.

По истечении установленной экспозиции нематоды иглами извлекались из подошватных лубоедов и помещались на специальные тарелки из органического стекла в капле воды.

Радиоактивность нематод измерялась на установке Б с помощью торпового счетчика БФД-25 с эффективностью 12,5%. Измерялась также средняя радиоактивность лубоедов.

Измерение радиоактивности нематод, извлеченных из лубоедов, в которых радиоактивный фосфор вводился инъекцией, показало, что P^{32} поступает из организма лубоеда в населяющие его нематоды (под элитрами) (табл. 1).

Радиоактивность нематод по сравнению с радиоактивностью лубоеда (420 000 имп/мин на одного лубоеда) сравнительно незначительна и составляет примерно 0,04 — 0,1%.

С большей уверенностью утверждается наличие алиментарного взаимоотношения между нематодами, находящимися под элитрами большого елового лубоеда и лубоеда-хозяина, при рассмотрении данных третьего эксперимента, когда насекомые в нормальных для них условиях подкармливались лубом, пропитанным заранее радиоактивным фосфором.

Радиоактивность нематод в данном случае ощутимо выше (табл. 2), чем во втором случае, когда P^{32} инъектировался в насекомое.

Однако, что особенно важно, при подкармливании лубоедов лубом, пропитанным радиоактивным P^{32} , радиоактивность самих лубоедов сравнительно меньше, чем при инъекции в них P^{32} .

В результате данных экспериментов установлено алиментарное взаимоотношение между нематодами, располагающимися под элитрами большого елового лубоеда и лубоеда-хозяина. Эти нематоды питаются, вероятно, осмотическим путем.

Таким образом, авторы данного исследования не соглашаются с выводами вышеупомянутых исследователей (Fuchs, Rühm и Лазаревская) о том, что нематоды, располагающиеся под элитрами жуков, не питаются.

დაბმონების ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Ш. М. Супаташвили. Большой словый лубоед и борьба с ним. Гос. изд-во «Сабчота Сакарთველო», Тбилиси, 1961 (на груз. яз.).
2. Г. А. Какулия. Нематофауна большого слового лубоеда Боржомского ущелья. XIV Научная конференция аспирантов и молодых научных работников. Сокр. тексты докл. Изд. АН ГССР. Тбилиси, 1963 (на груз. яз.)
3. А. Яцентковский. Кастрация сосновых лубоедов червями *Nematodes* и влияние их на жизнедеятельность короедов (*Ipidar*). Записки Белорусского гос. с.-х. ин-та, в. 3. Минск, 1924, 278 — 290.
4. И. Н. Филиппев. Нематоды, вредные и полезные в сельском хозяйстве. М.—Л., 1934.
5. П. А. Положенцев. Черви-паразиты насекомых. Защита растений от вредителей и болезней, № 12, 1961, 34 — 36.
6. Е. С. Кирьянова. Биология паразитических червей (нематод и волосатиков), ограничивающих массовые размножения насекомых. Вторая эколог. конф. Киев, 1950, 85 — 88.
7. R. W. Glaser. Studies on *Neoapectana glaseri*, a nematode parasite of the japanese beetle. Circ. N. j. Dep. Agric. no. 211, 193 .
8. R. W. Glaser. E. E. McCoy and H. B. Girth. The biology and economic importance of a nematode parasitic in insects. J. of Parasitology, vol. 26, N. 6, 1940, 579 — 495.
9. R. W. Glaser. The bacteria — free culture of a nematode parasite. Proc. Soc. Exp. Biolog. and Med., N. G. 43, 1940, 512 — 514.
10. N. R. Stoll. Continued infectivity for japaneese beetle grubs of *Neoapectana glaseri* (*Nematoda*) after seven years axenic culture. Thapar Commemoration, vol. 1953, 259 — 268.
11. N. R. Stoll. Conditions favoring the axenic culture of *Neoapectana glaseri*, a nematode parasite of certain insect grubs. Ann. N. U. Acad. Sci., 77, 2, 1959, 126 — 136.
12. N. R. Stoll. Tavored RLE for Axenic Culture of *Neoapectana glaseri*. J. of Helminthology, R. T. Leiper Supplement, 1961, 169 — 174.
13. G. J. Jackson. The parasitic nematode, *Neoapectana glaseri*, in axenic culture. I. Effects of antibodies and anthelmintis. Experimental Parasitology, 11, 1961, 241 — 247.
14. G. J. Jackson. The parasitic nematode, *Neoapectana glaseri*, in axenic culture. II. Initial Results with Defined Media. Experimental Parasitology, 12, 1962, 25 — 32.
15. G. Fuchs. Neue an Borken und Rüsselkafer gebundene Nematoden halbpasitische und Wohnungseinmieter. Zool. jahrb. (Syst.) 59, 1930, 505—646.
16. W. Rühm. Die Nematoden der Ipiden. Parasitolog. Schriftenreihe. Jena, 1956, 1 — 434.
17. С. Лазаревская. К биологической характеристике нематод рода *Panagrolaimus* Fuchs, 1930 (*Rhabditida*, *Panagrolaimidae*). Междунар. журн. „Helminthologia“, 1960, т. 3 — 4, 169 — 176.

ბ. მთავრადი

წინამხრის დისტალური ნაწილისა და მტმვის ძვლების
ბაქვალუმის პროცესის ზომიერთი თავისებურება

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ტატიფილმა 25.6.1963)

ოსტეოგენეზის შესწავლისას გაქვალუმისა და სინოსტოზის დროულად მიმდინარეობის გარდა ორგანიზმის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს გაქვალუმის პროცესის ზოგიერთ თავისებურებას, რასაც ადგილი აქვს ორგანიზმის განვითარების სხვადასხვა სახის დარღვევისას. მეტწილად იგი გამოწვეულია ენდოქონდრალური ფაქტორების ზეგავლენით, რაც დ. როხლინის კლასიფიკაციის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: ა) გაქვალუმის ტემპის შეცვლა (შეფერხება ან აჩქარება), ბ) გაქვალუმის ასიმეტრია მარჯვენა და მარცხენა კიდურზე, გ) გაქვალუმის თანმიმდევრობის დარღვევა, დ) ფსევდოეპიფიზების წარმოშობა. ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს აგრეთვე ზემოთ მოყვანილი გაქვალუმის ანომალიების ერთდროულად არსებობას.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ინდივიდუალურმა გამოკვლევებმა დინამიკაში, ე. ი. ერთისა და იმავე ბავშვების წლების მანძილზე შესწავლამ, საშუალება მოგვცა გამოვევლინებინა გაქვალუმის პროცესის აღნიშნულ თავისებურებათა მიმდინარეობის ზოგიერთი მხარე, მიგვეცა მათთვის შესაფერო მნიშვნელობა, დაგვედგინა ასეთი შემთხვევების ნორმალიზაციის ვადები და დაგვეპირისპირებინა იგი სხვა მკვლევართა მონაცემებთან. ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ 3-დან 18 წლის ასაკამდე 764 ბავშვისა და მოზარდის წინამხრის დისტალური ნაწილი და მტმვის ძვლები (168 ბავშვი, 3-დან 7 წლამდე შესწავლილია დინამიკაში და 596 ბავშვი (8-დან 18 წლამდე) გამოკვლეულია ერთჯერადად).

ნორმიდან ყოველგვარი გადახრის გარეშე გაქვალუმის პროცესი მიმდინარეობდა შემთხვევათა 73,7%-ში, დანარჩენი 26,3% კი ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის გადახრებს: გაქვალუმის ასიმეტრიას, თანმიმდევრობის დარღვევას, ფსევდოეპიფიზების წარმოშობას. ორ შემთხვევაში თანმიმდევრობის დარღვევასთან ერთად აღინიშნებოდა ფსევდოეპიფიზის არსებობა. 8 შემთხვევაში ასიმეტრიულად მიმდინარე გაქვალუმასთან ერთდროულად გამოხატული იყო ფსევდოეპიფიზების არსებობა, 4 შემთხვევაში თანმიმდევრობის დარღვევასთან ერთდროულად—ასიმეტრიული გაქვალუმა და 3 შემთხვევაში ასიმეტრიულ გაქვალუმასთან ერთად ადგილი ჰქონდა თანმიმდევრობის დარღვევასა და ფსევდოეპიფიზების არსებობას.

ჩვენს მასალაზე გაქვალუმის ტემპის საგრძნობ ჩამორჩენას (3-დან 13 წლის ასაკამდე) ადგილი ჰქონდა 18 შემთხვევაში (764 შემთხვევიდან), ე. ი. 2,4%-ში) მათ შორის 3 წლის ასაკისა იყო 8 ბავშვი — 2 ქალი, 6 ვაჟი, რომ-

ლებიც შევისწავლეთ დინამიკაში 3 — 7 წლის ასაკამდე; 8 წლის ასაკისა 2 ვაჟი, 15 წლის ასაკის 2 ვაჟი, 16 წლის ასაკის 1 ქალიშვილი და 17 წლის ასაკის 5 ქალიშვილი.

დინამიკაში შესწავლილი 3 წლის ასაკის 8 ბავშვის ძვლოვანი სისტემის დიფერენციაცია შეჩერებული იყო ფრჩხილის ფალანგების ეპიფიზების გაძვლებამდე და 7 წლის ასაკამდე არც ერთი ძვალი არ გაძვლებულა. 6 ბავშვი საშუალო ფიზიკური განვითარებისა იყო, 2 კი (3 წლისა) — ჩამორჩებოდა ასაკს, შემდგომ წლებში (4 — 5 — 6 — 7 წ.) მათი ფიზიკური განვითარება გამოსწორდა. 3 ბავშვს სხვადასხვა დროს გადატანილი აქვს სხვადასხვა ინფექციური დაავადებები, მათ შორის 2 ბავშვს ჰქონდა გამოხატული რაქიტის ნარჩენი მოვლენები.

უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნულ 8 შემთხვევაში გაძვლების პროცესის შეფერხება გამოწვეული იყო 3 შემთხვევაში გადატანილი ინფექციური დაავადებების და 2 შემთხვევაში რაქიტის შედეგად. (უკანასკნელი როგორც მიუღი ორგანიზმის დაავადება მოქმედებს გაძვლების პროცესის მიმდინარეობაზე და იწვევს ოსტეოგენეზის მხოლოდ შეფერხებას), დანარჩენ 3 შემთხვევაში კი (ვიზიდან ამ ბავშვებს ორგანიზმის სხვა რაიმე თვალსაჩინო პათოლოგია არ აღენიშნებოდათ) გაძვლების პროცესის შეფერხება დაკავშირებული უნდა იყოს ენდოკრინული სისტემის დისჰარმონიასთან, კერძოდ ჰიპოფიზის ჰიპოფუნქციასთან.

გაძვლების პროცესის ჩამორჩენა აღენიშნებოდა აგრეთვე 8 წლის ასაკის ორ ვაჟს. რომელთა ფიზიკური განვითარება ჩამორჩებოდა ასაკს. ორივე ბავშვს გადატანილი ჰქონდა კუჭ-ნაწლავის დაავადებები: ერთს — კოლიტი, მეორეს — დიზენტერია, ორივე ეს დაავადება, როგორც ვიცით, ძლიერ გავლენას ახდენს ბავშვის ზრდა-განვითარებაზე. ვფიქრობთ, რომ ამან გამოიწვია მათ ზრდაში ასეთი საგრძნობი ჩამორჩენა.

ცნობილია, რომ ძვლოვანი სისტემის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს სასქესო ჯირკვლები. ნაადრევი სქესობრივი მომწიფება იწვევს გაძვლების ნაადრევ პროცესს და, პირიქით, თუ სასქესო ჯირკვლები არ არის ჩართული ენდოკრინულ სისტემაში, ძვლოვანი სისტემის დიფერენციაცია ზოგჯერ ათეული წლების განმავლობაში შეფერხებულია. ამ უკანასკნელს ჩვენ მასალაზე აღვიღი ჰქონდა 8 შემთხვევაში (2 ვაჟი 6 ქალი); გაძვლების პროცესის აჩქარებას კი — მხოლოდ 0,3%-ში, რაც განპირობებული უნდა იყოს სასქესო ჯირკვლების ნაადრევი ჩართვით ენდოკრინულ სისტემაში. ამის გამო გაძვლების პროცესი ასაკთან შეფარდებით 3 — 4 წლით ადრე მიმდინარეობდა.

ამგვარად, გაძვლების პროცესის ტემპის შეცვლა (როგორც შეფერხება წლების მანძილზე, ისე აჩქარება), ძირითადად დაკავშირებული უნდა იყოს ენდოკრინული სისტემის დისჰარმონიასთან. აგრეთვე გადატანილ დაავადებებთან.

3 — 7 წლის ასაკის ბავშვთა წინამხარის დისტალური ნაწილისა და მტევნის ძვლების გაძვლების პროცესის დინამიკაში შესწავლამ დაგვანახვა, რომ 168 ბავშვიდან გაძვლების პროცესი მარჯვენა და მარცხენა კიდურზე ასიმე-

ტრულდ მიმდინარეობდა 54 ბავშვში (32,1). მათ შორის ქალებში უფრო ხშირად ჰქონდა ადგილი ასიმეტრიულ გაძვლებას (31 შემთხვევა), ვიდრე ვალებში (23 შემთხვევა); გაძვლების პროცესის ასიმეტრიული მიმდინარეობის შემთხვევაში უპირატესობა ეკუთვნოდა მარცხენა კიდურს (მარცხენა კიდური — 34, მარჯვენა — 20). ამასთან აღსანიშნავია, რომ არც ერთი ძვლის გაძვლების ცენტრის წარმოშობა მარჯვენა და მარცხენა კიდურისათვის არაა დაკანონებული: იმ შემთხვევაში, თუ მარჯვენა კიდური უსწრებდა მარცხენას, ან პირიქით, ეს როდი ეხებოდა ერთსა და იმავე ძვალს.

ჩვენს მასალაზე ასიმეტრიულად მიმდინარე გაძვლების პროცესი გამოსწორდა 3-დან 6 თვის განმავლობაში 54 შემთხვევიდან 40 შემთხვევაში (74,1%), ერთი წლის განმავლობაში — 10 შემთხვევაში (18,5%) და 1 წლისა და 4 თვის განმავლობაში — 4 შემთხვევაში (7,4%). ეს იმაზე მიგვიითებს, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში ასიმეტრიულად მიმდინარე გაძვლების პროცესი გამოსწორდა 3—6 თვის განმავლობაში.

გაძვლების პროცესის ასიმეტრიულად მიმდინარეობის შემთხვევაში ორგანიზმის რაიმე პათოლოგიურ მოვლენას არ ჰქონდა ადგილი. 54 ბავშვიდან 9 ბავშვი ჩვენი გამოკვლევის პერიოდში არ ყოფილა ავად არცერთი დაავადებით. მათი ფიზიკური განვითარება ეფარდებოდა ასაკს, მაგრამ მათ აღენიშნებოდათ ასიმეტრია და 4 ბავშვს (2 ვაჟი და 2 ქალი) — თანმიმდევრობის დარღვევა.

54 შემთხვევიდან 39 შემთხვევაში, როცა გაძვლება მიმდინარეობდა ასიმეტრიულად, ავად იყო სხვადასხვა დაავადებებით ამა თუ იმ ძვლის სიმეტრიულად გაძვლებამდე ან მის შემდეგ, ხოლო 6-მა ბავშვმა ასიმეტრიულად მიმდინარე გაძვლების პერიოდში გადაიტანა ბავშვთა ინფექციური დაავადებები [წითელა (2 ბავშვი), ყვიანახველა (2 ბავშვი)]. ერთ ბავშვს ჰქონდა ქუნთრუშა, რასაც დავრთო ყვიანახველა და ერთ ბავშვს — ყბაყურა და ყვიანახველა ერთდროულად. მათ შორის მხოლოდ ორს აღენიშნებოდა ასიმეტრიულად მიმდინარე გაძვლების პროცესის გახანგრძლივება 1 წელზე მეტ ხანს (ერთმა ქუნთრუშასთან ერთად გადაიტანა ყვიანახველა, მეორემ კი ყბაყურა და ყვიანახველა ერთდროულად) ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევებში ასიმეტრიულად მიმდინარე გაძვლება გამოწვეული უნდა იყოს ორგანიზმის ხანგრძლივი ინტოქსიკაციით, რამაც როგორც ეგზოგენურმა ფაქტორმა იმოქმედა ოსტეოგენეზზე.

ამგვარად, ასიმეტრიულად მიმდინარე გაძვლების პროცესი უმრავლეს შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს სრულიად ნორმალური ზრდა-განვითარების წესზე ბავშვს, როცა ადგილი არ ჰქონდა ორგანიზმის პათოლოგიასა და ინდივიდუალური განვითარების პროცესის დარღვევას. არაა აუცილებელი, რომ ასიმეტრიულად მიმდინარე გაძვლების პროცესი ყოველთვის იყოს დაკავშირებული ენდოკრინული სისტემის დისჰარმონიასთან. ამიტომ ჩვენ ვერ დავთანხმებით იმ მკვლევრებს, რომლებიც ასიმეტრიის გახანგრძლივებას 3 თვეზე მეტ ხანს თვლიან პათოლოგიად. საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბავშვების დინამიკაში შესწავლამ ჩვენ საშუალება მოგვცა უფრო ზუსტად დაგ-

ვედგინა ასიმეტრიის გამოსწორების ვადები. ამიტომ ასიმეტრიის 6 თვემდე გახანგრძლივებას ჩვენ არ ვთვლით პათოლოგიად (რადგან შემთხვევათა 74,1%-ში აღნიშნული ასიმეტრია გამოსწორდა 3-დან 6 თვემდე), არამედ მას მივიჩნევთ ამა თუ იმ ძვლის გაძვლების დაწყების ვადად, როგორც ორგანიზმის ინდივიდუალური ბიოლოგიური თავისებურებას.

რაც შეეხება გაძვლების პროცესის თანმიმდევრობას, ის ჩვენს მასალაზე ისეთივე თანმიმდევრობით მიმდინარეობდა, როგორც ეს აღნიშნული აქვს მრავალ მკვლევარს.

ჩვენს მასალაზე აღნიშნული თანმიმდევრობის დარღვევას ადგილი ჰქონდა 13 შემთხვევაში (7,7%), განსაკუთრებით 3 — 7 წლის ასაკში. ეს იმდენად მცირე პროცენტია, რომ მას არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა ძვლოვანი სისტემის დიფერენციაციაციაზე.

თანმიმდევრობის დარღვევა 3-დან 6 თვის განმავლობაში გამოსწორდა 8 შემთხვევაში (61,5%), 1 წლის განმავლობაში 3 შემთხვევაში (23,1%). სულ არ განიცადა გაძვლება 2 შემთხვევაში (15,4%), ეს იმაზე მიუთითებს, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში თანმიმდევრობის დარღვევა სწორდება 3 — 6 თვის განმავლობაში; იმ 2 შემთხვევიდან, როცა თანმიმდევრობის დარღვევა ჩვენი გამოკვლევის პერიოდში არ გამოსწორდა, ერთ შემთხვევაში შედეგი იყო ორგანიზმის ხანგრძლივი ინტოქსიკაციით გამოწვეული ინფექციური დაავადებით, მეორე შემთხვევაში კი მიზეზი ვერ ავხსენით.

რაც შეეხება ეპიფიზალური ხრტილების სინოსტოზს, ის ჩვენს მასალაზე ისეთივე თანმიმდევრობით მიმდინარეობდა, როგორც ეს ლიტერატურულ წყაროებშია. სინოსტოზის განვითარების დროს თანმიმდევრობის დარღვევას ადგილი ჰქონდა შემთხვევათა 4,8%-ში.

ჩვენ მიერ შესწავლილი სხვადასხვა ასაკის (3 — 18 წ.) ბავშვთა და მოზარდთა წინამხარის დისტალური ნაწილისა და მტევნის ძვლების რენტგენოგრაფების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ არათანმიმდევრობითი გაძვლება და სინოსტოზი ასაკობრივად ჩონჩხის დიფერენცირების განსაზღვრულ ასაკებს. ჩონჩხის დიფერენცირების ზოგიერთი ფაზა გამოირჩევა გაძვლების პროცესის თანმიმდევრობისადმი განსაკუთრებული მდგრადობით, ზოგიერთი კი, პირიქით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ 3 წლამდე ასაკს, სადაც დ. როზლინის მონაცემებით, გაძვლების პროცესის თანმიმდევრობა არაა ზუსტად დაცული, მაშინ არათანმიმდევრობითი გაძვლება უფრო ხშირად მქვადნდება 3 — 7 წლის ასაკში. ზოგჯერ მთვარისებრი ძვალი უფრო ადრე განიცდის გაძვლებას, ვიდრე სამწახნაგოვანი; დიდი და მცირე მრავალკუთხა და ნავისებრი ძვლები უფრო ადრე ძვალდებიან, ვიდრე მთვარისებრი ძვალი; ზოგჯერ იდაყვის ძვლის დისტალური ეპიფიზი უფრო ადრე ძვალდება, ვიდრე დიდი და მცირე მრავალკუთხა და ნავისებრი ძვლები.

ასევე იშვიათად ვხვდებით ლულოვანი ძვლების სინოსტოზის თანმიმდევრობის დარღვევას, რასაც ადგილი აქვს ჩონჩხის ლულოვანი ძვლების დიპიფიზალური ხრტილების სინოსტოზის დასაწყის პერიოდში; ზოგჯერ ფრჩხილის ფალანგები სინოსტოზს განიცდიან უფრო ადრე, ვიდრე 1 მეტა-

კარპალური ძვალი. ეს უკანასკნელი უნდა აიხსნას ენდოკრინული სისტემის დისპარმონიით, რაც შედარდება ორგანიზმის იმ კრიტიკულ ფაზაში, როდესაც სასქესო ჯირკვლები ჩაერთვება ენდოკრინულ აპარატში.

ძვლოვანი სისტემის დიფერენციის სხვადასხვა ეტაპის შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო სიცოცხლის ის პერიოდი, როდესაც ჩონჩხის ხრტილოვანი ნაწილის გაქვავების პროცესის თანმიმდევრობა არაა მკაცრად დაცული. ასეთს ეკუთვნის მთელი პრედპუბერტატული პერიოდი (1 ნებფალანგის სახსარში სესამოიდური ძვალი ყოველთვის ძვალდება ცერცვისებრი ძვლის გაქვავებამდე). მეორე ასეთ პერიოდს ეკუთვნის ძირითადი ფალანგების სინოსტოზის შემდგომი მიმდინარე სინოსტოზის ფაზები.

როგორც ჩატარებული გამოკვლევებიდან ირკვევა, თბილისის მკვიდრთა შორის წინამხარის დისტალური ნაწილისა და მტევნის ძვლების გაქვავებისა და სინოსტოზის თანმიმდევრობა შეეფარდება საყოველთაოდ აღნიშნულ კანონზომიერებას. გამოჩაყლის წარმოადგენს შემთხვევათა 12,5%, როცა აღინიშნებოდა გაქვავებისა და სინოსტოზის კანონზომიერი თანმიმდევრობიდან გადახრა სხვადასხვა ასაკში. უმრავლეს შემთხვევაში ეს სწორდება 3 — 6 თვის განმავლობაში.

გამოკვლეულთა აღნიშნულ კონტიგენტში პათოლოგიის არარსებობა და ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესის ნორმალური მიმდინარეობა უფლებას გვაძლევს, გამოვთქვათ აზრი იმის შესახებ, რომ წინამხარის დისტალური ნაწილისა და მტევნის ძვლების გაქვავების პროცესისა და სინოსტოზის კანონზომიერი თანმიმდევრობიდან გადახრა, ისევე როგორც ასიმეტრია 3-დან 6 თვის ფარგლებში, არ წარმოადგენს პათოლოგიას, არამედ ეს არის ორგანიზმის სხვა ინდივიდუალური ბიოლოგიურ თავისებურებათა ერთ-ერთი გამოვლინება.

ცნობილია, რომ ადამიანის ჩონჩხის ნორმალური განვითარების დროს ჩანასახოვანი ბირთვის სახით მოკლე ლულოვანი ძვლების მხოლოდ ერთი ეპიფიზი განიცდის გაქვავებას. ყველა ფალანგის და I მეტაკარპალური ძვლის დამოუკიდებელი (მეორეული) გაქვავების ცენტრის სახით ძვალდება პროქსიმალური ეპიფიზი, II — III — IV — V მეტაკარპალური ძვლებისა კი — დისტალური ეპიფიზი. ეს კანონზომიერება ზოგჯერ ირღვევა ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამატებითი გაქვავების ბირთვის სახით გაქვავებას განიცდის ძირითადი, შუა და პირველი მეტაკარპალური ძვლის დისტალური ეპიფიზი, რომლებიც ფსევდოეპიფიზებად არიან ცნობილნი.

დამატებითი ეპიფიზები, ანუ ფსევდოეპიფიზები განვითარების სხვადასხვა ფაზაში, სხვადასხვა ძვალზე შეგვხვდა 764 შემთხვევიდან 197 შემთხვევაში; ე. ი. 25,8%-ში, რომელთა შორის ნაწილი (73) შესწავლილ იქნა დინამიკაში რამდენიმე წლის განმავლობაში და რომელსაც ვაყებში უფრო ხშირად ვხვდებით, ვიდრე ქალებში.

ფსევდოეპიფიზების განვითარების მხრივ პირველი ადგილი უჭირავს I მეტაკარპალურ ძვალს, შემდეგ II-ეს, შემდეგ V-ს. 8 შემთხვევაში ფსევდოეპიფიზი ერთდროულად იყო განვითარებული I და II მეტაკარპალურ ძვალზე,

9 შემთხვევაში — II და V მეტაკარბალურ ძვალზე და 3 შემთხვევაში — I — II — V მეტაკარბალურ ძვლებზე.

დამატებითი გაძვლების ცენტრები — ფსევდოეპიფიზები დასაწყისში სრულიად დამოუკიდებელი არიან დიაფიზისაგან. დიაფიზებისა და ფსევდოეპიფიზების დამოუკიდებლობის პერიოდი. როგორც დ. როზინინი აღნიშნავს, ნორმალური ზრდა-განვითარების ბავშვებში ხანმოკლეა და ძლიერ სწრაფად ხდება მათი შეერთება ძვალგვანი ხიდაკის სახით.

ჩვენ მასალაზე დამოკიდებული ფსევდოეპიფიზი იშვიათად შეგვხვდა — 197 შემთხვევიდან მხოლოდ 4 შემთხვევაში (ორი — I მეტაკარბალურ ძვალზე, ერთი — II მეტაკარბალურ ძვალზე და ერთი — V მეტაკარბალურ ძვალზე). დანარჩენ 193 შემთხვევაში აღინიშნებოდა ფსევდოეპიფიზების სხვადასხვა ფორმა, რომლებიც ძირითადად დამოკიდებულია ფსევდოეპიფიზების დიაფიზთან შეზრდის ფაზაზე.

18 შემთხვევაში ფსევდოეპიფიზი მკვეთრად იყო გამოხატული ძვლის ორივე მხარეს ტლანქი კუთხეების სახით. 157 შემთხვევაში — ფსევდოეპიფიზი ნაზი კუთხეების სახით იყო დარჩენილი, ე. ი. როგორც ჩანს, ფსევდოეპიფიზების შეზრდა უმრავლეს შემთხვევაში ხდება სწრაფად, უფრო ადრე, ვიდრე ჩვეულებრივ ეპიფიზების სინოსტოზი და რომელსაც, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ორგანიზმის ნორმალური ზრდა-განვითარების დროსაც. განსაკუთრებით ეს ეხება I მეტაკარბალურ ძვალს, რომელზედაც ყველაზე ხშირად ვითარდება ფსევდოეპიფიზი.

ფსევდოეპიფიზების არსებობის შემთხვევაში გაძვლების პროცესის ჩამორჩენა აღინიშნებოდა მხოლოდ 197 შემთხვევიდან 8 შემთხვევაში (4,1%). ეს იმაზე მიგვიჩვენებს, რომ ფსევდოეპიფიზების არსებობა გარკვეულ ასაკში, კერძოდ ვაყებში 14 წლამდე და ქალებში 12 წლამდე არ იძლევა ოსტეოგენეზზე რაიმე გავლენას, თუ ეს არ გაგრძელდა წლების მანძილზე, ხანგრძლივად არ დარჩა შეუზრდელი ფსევდოეპიფიზი, ან მას თან არ ახლავს ენდოკრინული სისტემის დისპარმონიაც.

8 შემთხვევიდან 4 შემთხვევაში აღინიშნებოდა დამოუკიდებელი ფსევდოეპიფიზი, რაც ძლიერ წვრილი ხიდაკით იყო შეერთებული დიაფიზთან; 4 შემთხვევაში კი ფსევდოეპიფიზი ტლანქი კუთხეების სახით იყო წარმოდგენილი. ვფიქრობთ, რომ გაძვლების პროცესის ჩამორჩენა არ უნდა იყოს გამოწვეული მხოლოდ ფსევდოეპიფიზის არსებობით, არამედ ადგილი უნდა ჰქონდეს აგრეთვე ენდოკრინული სისტემის დისპარმონიასაც.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ფსევდოეპიფიზების არსებობის შემთხვევაში ორგანიზმის ფიზიკური განვითარების მხრივ ასაკთან შეფარდებით ჩამორჩენას ადგილი ჰქონდა მხოლოდ შემთხვევათა 3,9%-ში, რაც აგრეთვე იმაზე მიუთითებს, რომ მხოლოდ ფსევდოეპიფიზების არსებობა არ იწვევს ჩამორჩენას ორგანიზმის ზრდა-განვითარებაში, თუ მას თან არ ახლავს სხვა რაიმე პათოლოგია.

ამგვარად, ფსევდოეპიფიზი ყოველთვის როდი გამოხატავს გაძვლების შეფერხებას ენდოკრინული სისტემის ფუნქციის დარღვევის შედეგად, არა-



მედ იგი წარმოადგენს გაქვალეების ვარიანტს, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაქვალეების ნორმალური პროცესის მიმდინარეობის დროსაც.

ცნობილია, რომ გაქვალეების პროცესზე გავლენას ახდენენ ევზოგენური და ენდოგენური ფაქტორები; ამიტომ ბავშვთა ორგანიზმის ზრდა-განვითარების შესწავლის დროს მნიშვნელობა აქვს გადატანილი დაავადებების გავლენას მოზარდი ორგანიზმის როგორც ფიზიკურ განვითარებაზე, ისე ოსტეოგენეზზე.

ჩვენ მიერ 3—7 წლის ასაკში დინამიკაში შესწავლილ 168 ბავშვს სხვადასხვა დროს გადატანილი აქვთ ბავშვთა სხვადასხვა ინფექციური დაავადებები (წითელა, წითურა, ყბაყურა, ხუნაგი, ქუნთორუმა, ყვიანახველა, ჩუტყვა-ვილა). ზოგიერთი ბავშვი ავად იყო ფილტვების ანთებით, ღიზენტერიით, ღისპეფსიით, კოლიტით, რაქიტით.

168 ბავშვიდან საბავშვო ბაღში შესვლამდე ბავშვთა ინფექციური დაავადებები გადატანილი ჰქონდა 56 ბავშვს; ჩვენი გამოკვლევის პერიოდში გადაიტანა 68 ბავშვმა; 44-მა ბავშვმა კი გადაიტანა სხვადასხვა დაავადებები როგორც საბავშვო ბაღში შესვლამდე, ისე საბავშვო ბაღში ყოფნის დროს, ე. ი. ჩვენი გამოკვლევის პერიოდში, რომელთა შორის ოსტეოგენეზის მთლიანი შეჩერება 3-დან 7 წლის ასაკში აღენიშნა 5 ბავშვს, დროებითი შეფერხება — 13 ბავშვს, რაც გამოსწორდა ერთი-ერთნახევარი წლის განმავლობაში. ასიმეტრიული გაქვალეება და თანმიმდევრობის დარღვევა აღენიშნებოდა 8 ბავშვს, ე. ი. გადატანილმა დაავადებებმა გაქვალეების პროცესზე გავლენა მოახდინა 26 შემთხვევაში (15,5%), რაც ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოსწორდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ იმ ბავშვებს, რომელთა ოსტეოგენეზზე გავლენა მოახდინა გადატანილმა დაავადებებმა, ფიზიკური განვითარების მხრივ ასაკთან შედარებით ჩამორჩენა აღენიშნათ ასეთივე სისწორით, რომელსაც თანდათან გამოსწორდა.

ამგვარად, ბავშვთა ასაკში გადატანილი დაავადებები (როგორც ორგანიზმის ხანმოკლე ინტოქსიკაცია) არ ახდენს გავლენას ძვლოვან სისტემაზე, თუ არ დაერთო სხვა რაიმე გართულება, ან ხანმოკლე დროის განმავლობაში არ გახდა ავად რამდენჯერმე. ასეთ შემთხვევაში როგორც ჩანს, ევზოგენური ფაქტორი, კერძოდ გადატანილი დაავადებები, გარკვეულ გავლენას ახდენენ ენდოკრინულ სისტემაზე, რაც მოქმედებს ოსტეოგენეზზე და იწვევს ამ უკანასკნელის დროებით პათოლოგიას.

გადატანილი ინფექციური ან სხვა დაავადებები მაშინ შეიძლება გახდეს გაქვალეების პროცესის დარღვევის მიზეზი, თუ აღნიშნულ დაავადებათა მიმდინარეობაში დაირღვა ენდოკრინული სისტემის ოსტეოგენეზური ფუნქცია.

რესპუბლიკის ცენტრალური
კლინიკური საავადმყოფო
თბილისი

В. А. МТВАРАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ПРОЦЕССА ОКОСТЕНЕНИЯ
КОСТЕЙ КИСТИ И ДИСТАЛЬНОГО ОТДЕЛА ПРЕДПЛЕЧЬЯ

Резюме

Динамическое исследование особенности процесса окостенения у 168 детей в возрасте от 3 до 7 лет и 596 детей от 8 до 18 лет показало, что в 73,7% случаев названный процесс протекает без отклонений от нормы, в остальных же 26,3% случаев имеются различные нарушения процесса окостенения. В 2,4% случаев отмечается некоторое отставание в темпе процесса окостенения, в 0,3% случаев—ускорение его.

У детей в возрасте 3—7 лет, чаще у девочек, в 32,1% случаев наблюдается асимметрия процесса окостенения, имеющая преходящий характер, ликвидирующаяся в 74,1% случаев в продолжение 3—6 месяцев и являющаяся не патологией, а результатом индивидуальных биологических особенностей организма.

В 25,8% случаев изученного материала, чаще у мальчиков, обнаруживаются добавочные и ложные эпифизы. По частоте возникновения псевдоэпифизов первое, второе и третье места занимают соответственно I, II и V метакарпальные кости. Нередко псевдоэпифизы наблюдаются одновременно в нескольких метакарпальных костях.

Редкое совпадение явлений отставания процесса окостенения (4,1% случаев) и физического развития детей (3,9% случаев) с наличием псевдоэпифизов указывает на то, что псевдоэпифизы без соупутствия какой-либо патологии в организме не всегда выражают нарушение процесса окостенения, а являются одним из вариантов его в условиях нормы.

На основе анализа проведенных исследований следует высказать предположение, что инфекционное или другие виды заболеваний детского возраста, завершившиеся исцелением организма, не могут иметь отрицательного влияния на процессы окостенения.

Патология детского возраста обуславливает нарушение процесса окостенения лишь в случаях затягивания, рецидивов или осложнений, вызывающих поражение нейроэндокринных функций, регулирующих процессы окостенения.

Иначе говоря, инфекционная, а также неинфекционная патология детского возраста лишь в том случае может стать причиной нарушения процесса окостенения, если она своим тяжелым течением обусловит нарушение остеогенетической функции эндокринной системы.



გ. ნატრიაშვილი

შეკავებული სათესლე ჯირკვლის მორფოლოგიურ-ფუნქციურ
 თავისებურებათა შესწავლისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ტატიშვილმა 8.12.1963)

შეკავებული სათესლე ჯირკვალი თავისი ზომითა და კონსისტენციით უმრავლეს შემთხვევაში განსხვავდება სათესლე პარკში ნორმალურად მდებარე ჯირკვლისაგან. მასში ვითარდება მთელი რიგი მაკრო და მიკრომორფოლოგიური ცვლილებები.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, შეკავებული სათესლე ჯირკვალი, როგორც წესი, ატროფიულია. იგი შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი.

5. ბ ლ უ მ ე ნ ტ ა ლ ი [1] და სხვები თავიანთი კლინიკური დაკვირვების საფუძველზე თვლიან, რომ თანდაყოლილი ატროფია გამოწვეულია შეკავებულ სათესლე ჯირკვალში სისხლის ძარღვების არასაკმარისი განვითარებითა და ჯირკვლის კვების მოშლით. თანდაყოლილი ატროფიებისათვის დამახასიათებელია, რომ ორქიდოპექსის შემდეგ ატროფიული სათესლე ჯირკვალი უცვლელად რჩება და მასში რეგენერაციული პროცესები არ ვითარდება.

შეძენილი ატროფიების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს შეკავებულ სათესლე ჯირკვალზე სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებას (სათესლე ჯირკვალზე ნაწლავთა მარუყუქების ან სხვა ორგანოს ზეწოლა და სხვა).

მორფოლოგიური ცვლილებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სათესლე ჯირკვლის შეკავების ადგილსა და ხანგრძლივობაზე.

გ. ტ ე პ ლ ი ც კ ი [2] და სხვები თვლიან, რომ შეკავებული სათესლე ჯირკვლის ატროფია ვითარდება მისი პარენქიმის ხარჯზე (სათესლე მილაკების რაოდენობის შემცირება, ეპითელის დისტროფია). საკუთარი გარსი განიცდის გასქელებასა და ჰიალინიზაციას. რაც შეეხება სტრომის ცვლილებებს, იგი არ არის ტიპობრივი. ბ. ე ზ დ ა ნ ი ა ნ ი ს [3] მონაცემებით, შეკავებული სათესლე ჯირკვლის სტრომა ზომიერად მატულობს.

კრიბტორქიზმის დროს ცვლილებებს განიცდის აგრეთვე ლეიდიგის უჯრედებიც, თუმცა ლიტერატურაში ამ უჯრედების ცვლილებების შესახებ ერთნაირი აზრი არ არსებობს.

ვ. ხ ე ს ი ნ ი ს [4] მონაცემებით შეკავებულ სათესლე ჯირკვალში ლეიდიგის უჯრედები ცვლილებებს არ განიცდის. ლეიდიგის უჯრედების მომატებას კრიბტორქიზმის დროს აღნიშნავს ი. ბ რ უ ს კ ი ნ ი [5]; ბ. კ უ რ ი ა შ ო ვ ი ს ა და ს. ი ვ ა ნ ო ვ ა ს [6] აზრით კი შეკავებულ სათესლე ჯირკვალში ლეიდიგის უჯრედების რაოდენობა მნიშვნელოვნად კლებულობს.

შეკავებულ სათესლე ჯირკვალში დისტროფიული ცვლილებების განვითარების ვადები სხვადასხვა მკვლევარის მიერ სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი.

ახალშობილის შეკავებული სათესლე ჯირკვალი პისტოლოგიურად არ განსხვავდება ნორმალურისაგან. მოზრდილებში აღინიშნება სპერმატოგენული ეპითელიუმის დისტროფია და შემეარტქსოვილოვანი ელემენტების მომატება.

მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ შეკავებული სათესლე ჯირკვალი 5 წლამდე უახლოვდება ნორმალურს; 5—6 წლიდან კი იგი თავისი განვითარებით უკვე ჩამორჩება ნორმალურს. მასში ირღვევა სპერმატოგენეზი, ხოლო სქესობრივი მომწიფების მომენტისათვის ჩანასახოვანი ეპითელიუმი მკვეთრად გამოხატულ ცვლილებებს განიცდის.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ვ. ზივ ზივ აძე [7]. იგი თვლის, რომ შეკავებული სათესლე ჯირკვალი სქესობრივ მომწიფებამდე სუსტად, მაგრამ მაინც ვითარდება; სქესობრივი მომწიფების პერიოდის დამთავრების შემდეგ კი მასში იწყება ატროფია, რაც ძლიერ ჩქარი ტემპით ვითარდება. ნაღვურდება ფუნქციური ელემენტები და სათესლე ჯირკვალი უმოქმედო მდგომარეობამდე მიდის.

სათესლე ჯირკვლის ატროფიის ხარისხის შესწავლის მიზნით ჩვენ დაკვირვება ჩავატარეთ 160 ავადმყოფზე, რომლებიც კლინიკაში გატარდნენ 1961—1963 წლებში. ატროფიის ხარისხს ვადგენდით სათესლე ჯირკვლის ზომებისა და კონსისტენციის მიხედვით. გამოკვლევებს ვატარებდით როგორც ოპერაციამდე, ისე ოპერაციის დროს. შეკავებულ სათესლე ჯირკვალს ვაღარებდით იმავე ავადმყოფის სათესლე პარკში ნორმალურად მდებარე ჯირკვალთან, აგრეთვე სხვა ჯანმრთელი ბავშვების სათესლე ჯირკვალთან (ასაკის შესაბამისად). კრიტორქიზმის ორმხრივი ფორმების შემთხვევაში სათესლე ჯირკვლის ატროფიის ხარისხის დადგენა ხდებოდა მხოლოდ ჯანმრთელი ბავშვების სათესლე ჯირკვალთან შედარებით (ამ შემთხვევაშიც ასაკის მიხედვით).

თუ შეკავებული სათესლე ჯირკვალი თავისი ზომით ნორმალურად განვითარებული სათესლე ჯირკვლის ნახევარზე ნაკლები იყო, მაშინ ატროფიის ხარისხს მივიჩნევდით მკვეთრად გამოხატულად; ხოლო, თუ შეკავებული სათესლე ჯირკვალი თავისი ზომით უახლოვდებოდა ნორმალურად განვითარებულ სათესლე ჯირკვალს, მაშინ ატროფიის ხარისხს ზომიერად ვთვლიდით. იმ შემთხვევაში, როცა შეკავებული სათესლე ჯირკვალი ზომით აღწევდა ნორმალურად განვითარებულ ჯირკვლის 3/4-სა და მეტს, მაშინ ასეთ ატროფიას ჩვენ ვუწოდებდით სუსტად გამოხატულს.

კრიტორქიზმის ყველა იმ ფორმის დროს, როდესაც სათესლე ჯირკვალი მდებარეობდა საზარდულის არხის გარეთა რგოლთან და ამავე დროს აღინიშნებოდა მექანიკური დაბრკოლება ფიბროზული ძვიდის სახით (მას ჩვენ ვუწოდებთ „ბლოკის“ სიმპტომი), სათესლე ჯირკვალი თავისი კონსისტენციითა და ზომით თითქმის უახლოვდებოდა ნორმალურად განვითარებულ სათესლე ჯირკვალს, ან უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა ნორმალურისაგან. ასეთ შემ-



თხევებს ჩვენ მიერ შესწავლილ ინგვინალური კრიპტორქიზმით დაავადებულ 147 ავადმყოფიდან ადგილი ჰქონდა 94 შემთხვევაში (64%).

ჩვენი მასალის მიხედვით, შეკავებული სათესლე ჭირკვლის ატროფიის ხარისხი უფრო მკვეთრად იყო გამოხატული 8 წლის ასაკის შემთხვევაში, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ აღნიშნულ ასაკამდე (როგორც ლიტერატურული მონაცემებით, ისე ჩვენი მასალის მიხედვითაც) შეკავებული სათესლე ჭირკვალი, როგორც მაკრო- ისე მიკრომორფოლოგიურად ნაკლებად განსხვავდება ნორმალურად მდებარე სათესლე ჭირკვლისაგან. შედეგები მოყვანილია 1 ცხრილში.

ცხრილი 1

შეკავებული სათესლე ჭირკვლის ატროფიის ხარისხი კრიპტორქიზმის ინგვინალური და აბდომინალური ფორმების დროს (ასაკის მიხედვით)

ავადმყოფთა ასაკი	ატროფიის ხარისხი			სულ
	მკვეთრი	ზომიერი	სუსტი	
1-3	2	4	6	12
4-7	3	7	21	31
8-11	8	14	34	56
12-15	9	19	33	61
სულ	22 (13,8%)	44 (27,5%)	94 (58,8%)	160

ჩვენ მიერ წარმოდგენილ კლინიკურ მასალაზე მხოლოდ ორ შემთხვევაში აღინიშნებოდა შეკავებული სათესლე ჭირკვლის ძლიერად გამოხატული ატროფია, რის გამოც იძულებული ვაგხდით ორივე შემთხვევაში გვეწარმოებინა ჰემიკასტრაცია.

შეკავებული სათესლე ჭირკვალი ორივე შემთხვევაში იყო ძალზე ატროფიული, ზომით 0,2×0,3 სმ, რბილი კონსისტენციისა, ბაგირაკის სისხლის ძარღვები განუვითარებელი იყო, ყოველივე ეს ნათელს ხდიდა იმ გარემოებას, რომ ასეთი, შეკავებული, სათესლე ჭირკვლები ვერ შეასრულებდნენ ვერც სეკრეტორულ და ვერც ინკრეტორულ ფუნქციებს. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში მეორე სათესლე ჭირკვალი პარკის ძირზე მდებარეობდა და იყო სრულიად ნორმალური განვითარებისა. მეორადი სასქესო ნიშნები ორივე ავადმყოფს კარგად ჰქონდა გამოხატული, რაც ნათლად ადასტურებდა, რომ ორივე შემთხვევაში დარჩენილი ნორმალური სათესლე ჭირკვალი თავისუფლად ვასწევდა ორგანიზმისათვის საჭირო როგორც სეკრეტორულ, ისე ინკრეტორულ ფუნქციებს. ყოველივე ამის გამო მიზანშეწონილად ვცანიით ორივე ავადმყოფისათვის გავეყვითებინა ჰემიკასტრაცია.

ამოკვეთილი სათესლე ჭირკვლები შევისწავლეთ მიკრომორფოლოგიურად. საკონტროლოდ ავიღეთ შემთხვევითი ტრავმით დაღუპულ პირთა გვამების სათესლე პარკში ჩამოსული, ნორმალურად განვითარებული ორი სათესლე ჭირკვალი (ზემოაღნიშნული ავადმყოფების ასაკის შესაბამისად).

ანათლები შევღებეთ ჰემატოქსილინ-ეოზინითა და პიკროფუქსინით.

მიკრომორფოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ სათესლე ჭირკვლის შეკავების ორივე შემთხვევაში მათი წილაკოვანი შენება წაშლილია, პარენქი-

მა ზედმიწევნით შემცირებულია, საკონტროლოსთან შედარებით, სათესლე მილაკების კედელი მკვეთრად გასქელებულია მასში შემაერთქსოვილოვანი ბოჭკოების უხვად გამრავლების გამო. სინათურები შევიწროვებულია. სათესლე მილაკების გამომდენი უჯრედების მრავალშრიანობა წაშლილია. ცილინდრული უჯრედები თითქმის არ აღინიშნება. სტრომა წარმოდგენილია უხვად გამრავლებული ტლანქი, ალავ ჰიალინური შემაერთქსოვილოვანი ბოჭკოებით და შედარებით სქელკედლიანი სისხლის ძარღვებით. აღინიშნება ლეიდიგის უჯრედების შემცირება.

ამგვარად, კრიპტორქიზმის ზოგიერთ შემთხვევებში სათესლე ჯირკვალში ვითარდება ისეთი ღრმა ატროფიული ცვლილებები, რომელთა უკუგანვითარებასაც, ჩვენი აზრით, ორქიდოპექსია ვერ უზრუნველყოფს. ასეთი ჯირკვლის ამოკვეთა, თუ მეორე სათესლე ჯირკვალი ნორმალურადაა განვითარებული და ავადმყოფს არ აღნიშნება ინკრეტორული ან სეკრეტორული ფუნქციის რაიმე ნაკლოვანებანი, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს.

სტრუქტურული ცვლილებების განვითარებასთან ერთად შეაკვებულ სათესლე ჯირკვალში იცვლება მისი ფუნქციაც (ნორმალურთან შედარებით). ლიტერატურული წყაროების მიხედვით თუ ვიმოქმედებთ, თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს სპერმატოგენეზის დაქვეითებას კრიპტორქიზმის დროს, რაც სავსებით წყდება სათესლე ჯირკვლის ხანგრძლივი შეაკვების შემთხვევაში. შეაკვებულ სათესლე ჯირკვალში სპერმატოგენეზის მოშლის მთავარ მიზეზად მკვლევარები თვლიან მუცლის ღრუში და საზარდულის არხში არსებულ მაღალ ტემპერატურას სათესლე პარკთან შედარებით.

ამ მონაცემებს სავსებით შეესაბამება თ. ბეგიაშვილის [8] გამოკვლევები. მან ვირთაგვებში ექსპერიმენტულად გამოიწვია კრიპტორქიზმის აბდომინალური ფორმა და დაადგინა, რომ ორი კვირის შემდეგ სქესობრივად მომწიფებულ ვირთაგვებს სათესლე მილაკებში განუვითარდათ სუსტად გამოხატული დისტროფიული მოვლენები, რომლებიც მით უფრო ძლიერდებოდა, რაც უფრო დიდხანს რჩებოდა სათესლე ჯირკვალი მუცლის ღრუში. სათესლე ჯირკვლის უკან პარკში ჩაბრუნების შემდეგ აღნიშნულმა მკვლევარმა, მიიღო სათესლე მილაკების რეგენერაცია.

ციმეღმა, რივენზონმა და მაკრინეანუმ [9] აღნიშნეს, რომ ცალმხრივი კრიპტორქიზმის დროს სათესლე ჯირკვლის ფუნქცია იცვლება როგორც ატანილ, ისე ნორმალურად დარჩენილ სათესლე ჯირკვალში, და ეს ცვლილებები მით უფრო ხშირი, ინტენსიური და შეუქცევადია, რაც უფრო მეტ ხანს რჩება სათესლე ჯირკვალი მუცლის ღრუში.

ორმხრივი კრიპტორქიზმის დროს უმრავლეს შემთხვევაში აღინიშნება სპერმატოგენეზური ფუნქციის ძლიერი დათრგუნვა და სტერილობა.

ვ. გლადკოვი [10] თვლის, რომ სათესლე ჯირკვლის ატროფია და სპერმატოგენეზული ფუნქციის მოშლა უფრო მწვავეადაა გამოხატული კრიპტორქიზმის ინგვინალური ფორმისას, ვინაიდან ამ დროს სათესლე ჯირკვალი იმყოფება მუცლის გარეთა ირბიბ კუნთის აპონევროზის მუდმივი ზეწოლისა და ტრავმის ქვეშ, რაც თავის მხრივ იწვევს ანთებად მოვლენებს, და სისხლის



მიმოქცევის მოშლას. ყოველივე ამის გამო სათესლე ჯირკვალში ვითარდება ატროფიული პროცესები სპერმატოგენეზური ფუნქციის დაქვეითებით ან სრული შეწყვეტით.

ვოიციხოვსკი [11] თვლის, რომ სათესლე ჯირკვალი, რომელიც სქესობრივი მომწიფების პერიოდისათვის თავისით ჩამოდის პარკში, ჩამოსვლამდე უკვე განიცდის სპერმატოგენული ფუნქციის მოშლას.

გ. კრაუსის [12] და სხვების დაკვირვებებით, აღმოჩნდა, რომ როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი კრიპტორქიზმის შემთხვევებში სათესლე ჯირკვლის შინაგანი სეკრეტორული ფუნქცია მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის, რის გამოც როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი კრიპტორქიზმით დაავადებულ პირებს მეორადი სასქესო ნიშნები კარგად ან დამაკმაყოფილებლად აქვთ გამოხატული და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში არის აღნიშნული მათი განუვითარებლობა.

მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით, ცალმხრივი კრიპტორქიზმით დაავადებულ პირებში მეორადი სასქესო ნიშნები კარგად არის გამოხატული და სქესობრივი აქტივ ნორმალურად მიმდინარეობს; ორმხრივი ფორმის დროს კი, როგორც წესი, სათესლე ჯირკვლის ფუნქცია გამოთიშულია და ადგილი აქვს მთლიან აზოოსპერმიას.

გ. მავაროვას [13] მონაცემებით არამარტო ორმხრივი კრიპტორქიზმი იძლევა უნაყოფობას, არამედ ზოგჯერ სრულ სტერილობას ადგილი აქვს სათესლე ჯირკვლის ცალმხრივი შეკვების დროსაც.

ამრიგად, ზემოთწარმოდგენილი ლიტერატურული მასალა ცხადყოფს, რომ ინგენალური და აბდომინალური კრიპტორქიზმის როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი ფორმების დროს ადგილი აქვს გენიტალური ფუნქციის მეტად თუ ნაკლები ხარისხით დაქვეითებას.

ჩვენ მიერ შესწავლილი 160 ავადმყოფი ასაკის მიხედვით არ ცილდებოდა 14 — 15 წელს, ამიტომ მათში სპერმატოგენეზული ფუნქციის შესწავლა ბუნებრივი გზით არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად, ხოლო რაც შეეხება სათესლე ჯირკვლის ბიოფისიასა და პუნქციას, რომელსაც სპერმატოგენეზული ფუნქციის დადგენისათვის მიმართავდა ზოგიერთი მკვლევარი, ჩვენ მიზანშეუწონლად მიგვაჩნია და ამიტომ არ ვაწარმოებდით, რადგანაც სათესლე ჯირკვალი წარმოადგენს მეტად ნაზ ორგანოს და მისი ნორმალურად მდებარეობისა და განვითარების შემთხვევებშიაც კი მასზე ნაწარმოები ყოველგვარი მანიპულაცია (ჩვეულებრივი თიაქარკვეთა, ვილკელმანის ოპერაცია და სხვა), ავრთვე, გარედან მიყენებული სრულიად უმნიშვნელო ტრავმაც კი იწვევს მასში სისხლის ჩაქცევებს და ტრავმატულ ორქიტებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს სპერმატოგენეზული ფუნქციის მეტ-ნაკლები დაქვეითება.

შეკვებულ სათესლე ჯირკვალში ყოველთვის არის პათომორფოლოგიური ცვლილებები და მისი სპერმატოგენეზული ფუნქცია დაქვეითებულია. ისეთი მანიპულაციები, როგორცაა პუნქცია და ბიოფისია, თავის თავად კიდევ უფრო უარყოფით გავლენას მოახდენდა ისედაც განვითარებაში ჩამორჩენილ სათესლე ჯირკვალზე და მის სპერმატოგენეზულ ფუნქციაზე.

დაკვირებაში მყოფი ნაოპერაციები 160 ავადმყოფის გამოკვლევისას მხოლოდ ორ შემთხვევაში გახდა შესაძლებელი სპერმატოგენეზული ფუნქციის დადგენა, ვინაიდან ორივე ავადმყოფი ასაკით მიღწეული იყო 16 წელს. საილუსტრაციოდ მოგვყავს ამონაწერი ამ ავადმყოფთა ისტორიიდან.

ავადმყოფი ქ. ა. 15 წლის (ავად. ისტორია № 1056, № 1301, № 2442); დიაგნოზი: ორმხრივი ინგვინალური კრიპტორქიზმი, ჰიმოფიზის ჰიმოფუნქცია. ორივე მხარეს გაუქვთდა ოპერაცია გერცენ-თორეკის მეთოდით, რის შემდეგაც ავადმყოფი გაიგზავნა ქალის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, ანდროგენულ კაბინეტში სპერმატოგენეზული ფუნქციის დასადგენად. აღმოჩნდა სრული აზოოსპერმია.

ავადმყოფი მ. ვ., 16 წლისა (ავად. ისტორია № 1284); ავადმყოფს 3 წლის ასაკში გაუქვთდა ჰემიკასტრაცია მარცხენა სათესლე ჯირკვლის საზარდულის არხში ჩაქედვის გამო. მარჯვენა სათესლე ჯირკვალი არც პარკში და არც საზარდულის არხში არ ისინჯება. მეორადი სასქესო ნიშნები კარგად აქვს გამოხატული (ათლეთური აგებულება, დაბალი ბოხი ხმა, წვერ-ულვაში, სასქესო ასოს კარგი განვითარება და სხვა). გაიგზავნა ქალის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ანდროგენულ კაბინეტში. სპერმატოგენეზული ფუნქციის დადგენისას აღმოჩნდა სრული აზოოსპერმია. ავადმყოფს 1963 წლის 26 მარტს გაუქვთდა ოპერაცია მარჯვენა მხარეს კომბინირებული მეთოდით. სათესლე ჯირკვალი აღმოჩნდა მუცლის ღრუში, კარგად განვითარებული, ნორმალური ზომისა და კონსისტენციისა. სათესლე ბაგირაკი და მისი სისხლის ძარღვები იყო ნორმის ფარგლებში, რის გამოც სათესლე ჯირკვლის ჩამოტანა და ფიქსაცია სათესლე პარკში თავისუფლად მოხერხდა. ოპერაციის შემდეგ სპერმატოგენეზული ფუნქციის გამოკვლევა განმეორებით ჩატარდა 6 თვის შემდეგ. სპერმის მიკროსკოპული ანალიზით პერაპარატში გამოჩნდა 1 — 2 სუსტად გამოხატული სპერმატოზოიდი, რაც ნათელი დადასტურებაა ოპერაციული მყურნალობის შემდეგ მიღებული კარგი შედეგისა.

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიის კათედრაზე 1947 — 1961 წლამდე გატარებულია კრიპტორქიზმის გამო ნაოპერაციები 190 ავადმყოფი, რომლებზედაც ჩვენ ვაწარმოვეთ შორეული შედეგების შესწავლა. ჩვენ მიერ გამოძახებული 190 ავადმყოფიდან კლინიკაში გამოცხადდა 82. მათი სპერმატოგენეზული ფუნქციის გამოკვლევა ლაბორატორული მეთოდებით არ მოხერხდა. სპერმატოგენეზული ფუნქციის დადგენა ხდებოდა ოჯახური მდგომარეობის მიხედვით (იგულისხმება შთაპომავლობა). შემოწმებული 82 კაციდან 16 აღმოჩნდა ცოლიანი, საიდანაც 9-ს ჰყავდა ორი შვილი, 5-ს — თითო შვილი. ორ შემთხვევაში აღინიშნებოდა უშვილობა; აქედან ერთს 3 ცოლი გამოუცვლია და არცერთ მათგანთან შვილი არ ჰყოლია. ეს უკანასკნელი უჩიოდა სქესობრივი ფუნქციის დაქვეითებასაც. ავადმყოფს ჰქონდა ორმხრივი ინგვინალური კრიპტორქიზმი, რის გამოც ორივე მხარეს გაკეთებული აქვს ორქიდოპექსია მარჯვენა მხარეს 8 წლის, ხოლო მარცხენა მხარეს 15 წლის ასაკში. დანარჩენ 15 ავადმყოფს აღინიშნებოდა ცალმხრივი



ინგვინალური კრიპტორქიზმი (ნაოპერაციები). არც ერთი მათგანი არ უჩიოდა სქესობრივი ფუნქციის დაქვეითებას.

კრიპტორქიზმის ფორმები აღნიშნულ პირებში მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

სპერმატოგენეზული ფუნქცია ანამნეზური მონაცემების საფუძველზე ინგვინალური კრიპტორქიზმის დროს

კრიპტორქიზმის ფორმა	ნორმალური სპერმატოგენეზი		სტერილობა
	1 შვილით	2 შვილით	—
მარჯვენამხრივი	2	6	1
მარცხენამხრივი	3	3	1
ორმხრივი	—	—	1

ამრიგად, ჩვენ კრიპტორქებში სპერმატოგენეზული ფუნქციის გამოკვლევა ლაბორატორული მეთოდით ვაწარმოვეთ მხოლოდ ორ შემთხვევაში; ანამნეზური მონაცემებით კი — 16 ავადმყოფზე (სულ 18 ავადმყოფი). ამ ავადმყოფებიდან 3 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სათესლე ჭირკვლის ორმხრივ შეკვებას (1 აბდომინალური, 2 ინგვინალური). სამივე შემთხვევაში აღინიშნებოდა სპერმატოგენეზული ფუნქციის სრული დათრგუნვა და სტერილობა. დანარჩენი 15 ავადმყოფი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაავადებული იყო ცალმხრივი ინგვინალური კრიპტორქიზმით. მათი სპერმატოგენეზული ფუნქციის ანამნეზური საშუალებით გამოკვლევისას დადგინდა, რომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი სტერილობას, სქესობრივი ფუნქციის დაქვეითების გარეშე.

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სათესლე ჭირკვლის ცალმხრივი შეკვების შემთხვევებში სპერმატოგენეზული ფუნქცია ნორმალურია და ამასთან ერთად არც სქესობრივი ლტოლვა განიცდის დაქვეითებას. ორმხრივი კრიპტორქიზმის დროს კი (როგორც აბდომინალური, ისე ინგვინალური ფორმა) სპერმატოგენეზი დარღვეულია და სქესობრივი ფუნქციაც შესაბამისად დაქვეითებული.

ბავშვთა პირველი კლინიკური საავადმყოფო
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 8.12.1963)

АНАТОМИЯ

Д. С. НАТРИАШВИЛИ
К ВОПРОСУ ИЗУЧЕНИЯ ОСОБЕННОСТЕЙ МОРФОЛОГИЧЕСКИХ
И ФУНКЦИОНАЛЬНЫХ ИЗМЕНЕНИЙ
ЗАДЕРЖАВШЕГОСЯ ЯИЧКА

Резюме

Задержавшееся яичко отличается от нормального, находящегося в мошонке, своей величиной и консистенцией. Морфологические изменения зависят от места и длительности задержки.

На собственном материале (160 больных) резко выраженная атрофия наблюдалась нами в 22 случаях (13,8%), умеренно выраженная—в 44 случаях (27,5%), слабо выраженная—в 94 случаях (58,8%).

В двух случаях при одностороннем крипторхизме ввиду чрезмерно выраженной атрофии яичка нам пришлось прибегнуть к гемикастрации. В неспустившемся яичке структурные изменения сопровождаются также и понижением сперматогенеза.

Анализ наших наблюдений позволяет заключить, что при односторонней задержке яичка как в паховом канале, так и в брюшной полости функция сперматогенеза не нарушена и половое влечение не понижается, тогда как при двусторонней задержке (абдоминальная и ингвинальная формы) нарушается сперматогенная функция яичка и понижается половое влечение.

დაბრუნების ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. Л. Блаumentаль. К вопросу о патологии задержанных яичек. Русская клиника, т. 3, № 14, 1925, 951 — 963.
2. Г. В. Теплицкий. К вопросу об аномалиях яичка. Новый хирургический архив, 21, 2, к. 81, 1930, 261 — 270.
3. Б. А. Езданиян. Состояние семенника при крипторхизме. Известия (Академии наук Арм. ССР), „Биологические и с.-х. науки“, 11, 6, 1958, 51 — 56.
4. В. Г. Хесин. Об операции низведения в мошонку задержанного в паху яичка. Московский медицинский журнал, 3, 1921, 39 — 44.
5. Я. М. Брускин. К вопросу об операции низведения яичка в мошонку при крипторхизме. Урология, 1, 1923, 25 — 30.
6. Б. А. Кудряшов, С. А. Иванов. Продукция полового гормона при естественном крипторхизме у белых крыс. Труды по динамике развития. (Всесоюзная Академия с.-х. наук. Институт животноводства). М., 7, 1933, 55 — 65.
7. В. С. Зивзивадзе. Структурные изменения ретенционного яичка в различные возрастные периоды. Тезисы VIII Научной сессии Республиканской больницы Минздрава ГССР, 1961.
8. Т. В. Бегнашвили. Состояние сперматогенеза при некоторых поражениях семенников. Тез. докл. 2-й Отчетной научной сессии Института физиологии и патологии женщины, посвященной 40-летию установления Советской власти в Грузии. Тбилиси, 1961, 72 — 73.
9. H. Zimel, A. Rivenzon. si Ana Maerineanu Dinamica modificarilor testiculare la sobolanul eu criptorhidie experimentale unilateralia. Studii si cercetari de endocrinologie, 13, 2 1962, 225 — 235.
10. В. В. Гладков. О крипторхизме. Клинич. журнал Саратовского университета, т. III, 5, 1927, 323 — 331.
11. K. Wojciechowski. Hormonalne i operacyjne leczenie niezstapionego jadra u chlopcow. Pol. Przegl. Chir., 34, 6, 1962, 459 — 471.
12. E. J. Kraus. Zur Frage der inkretorischen Funktion der Zwischenzellen des Hodens. Klinische Wochenschr., Bd. 7, 28, 1928, 1315 — 1317.
13. Е. П. Макарова. Оперативное лечение крипторхизма. Дисс. канд. Саратов, 1946.



ФИЗИОЛОГИЯ

И. В. АНДУЛАДЗЕ

К ВОПРОСУ О ЗАМЫКАНИИ УСЛОВНЫХ РАЗДРАЖИТЕЛЕЙ
РАЗНЫХ СТОРОН НА БЕЗУСЛОВНЫЙ РАЗДРАЖИТЕЛЬ
ОДНОЙ СТОРОНЫ

(Представлено членом-корреспондентом Академии А. Н. Бакурадзе 12.11.1963)

Вопрос о функциональной взаимосвязи симметричных слуховых корковых центров является частью общей проблемы парной деятельности головного мозга.

Детальное изучение затронутого вопроса в последнее время осуществляется внедрением в экспериментальную физиологию новой методики, разработанной К. С. Абуладзе (выделение оперативным путем симметричных участков задней трети языка наружу с сохранением их иннервации и кровоснабжения).

Этим способом достигается возможность получения слюнного одностороннего безусловного рефлекса, на основе которого могут быть выработаны и односторонние условные рефлексы.

Опытами было установлено, что представительство вкусового (ротового) и кожного анализаторов в коре головного мозга состоит из двух отделов, т. е. из двух симметричных пунктов, каждый из которых может быть приведен к самостоятельной функции независимо от своей пары (К. С. Абуладзе [1—2], А. А. Травина [3], И. А. Полина [4] и др.).

На основе полученных данных нам предстояло определить, в какой степени каждый из симметричных пунктов слухового анализатора связывается со вкусовым и слюноотделительным центром в одном полушарии. Для разрешения этой задачи вместо экстирпации мозга мы воспользовались методом одностороннего изолированного раздражения органа слуха и способом выведения симметричных участков задней трети языка.

Методика

Опыты проводились на двух собаках (Дукс и Быстрая). Условное изолированное раздражение звуковоспринимающей поверхности каждой стороны как отдельно, так и одновременно на обе стороны произ-



водилось при помощи идущих от источника звука специальной установки и приспособления, вставляемого в наружный слуховой проход собаки. У подопытных собак вначале были выведены слюнные протоки обеих околоушных желез (правой и левой), а затем была произведена операция по выведению и приживлению симметричных участков задней трети языка к коже под нижней челюстью. Безусловный рефлекс получался от раздельного раздражения выведенных участков поверхности языка (правой и левой) химическими веществами (раствор соляной кислоты, поваренной соли и т. д.).

Постановка опытов заключалась в следующем.

После выработки одностороннего (правостороннего или левостороннего) условного слюнного рефлекса на одновременное звуковое изолированное раздражение с каждой звуковоспринимающей поверхности на почве безусловного рефлекса одной стороны производилось попеременное выключение применяемого звука. Выключение каждого звукового раздражителя чередовалось через равные промежутки времени при одинаковых условиях для обеих сторон (5, 7, 10 и 15 минут) после начального применения комплекса.

У первой собаки (Дукс) были выработаны правосторонние условные рефлексы на звуковой комплекс с сочетанием его действия с безусловным раздражением правого участка языка.

На второй собаке (Быстрая) звуковой комплекс сочетался с раздражением участка языка левой стороны и, таким образом, был выработан левосторонний условный рефлекс.

Регистрация величины условного слюноотделения производилась в течение 20—30 секунд. Безусловная секреция регистрировалась всегда в течение одной минуты. Действие одного из компонентов, после выключения противоположного, не подкреплялось безусловным рефлексом.

Результаты опытов и обсуждение

Попеременное выключение изолированных условных сигналов (правого и левого) показало, что каждый из компонентов, влияющих на звуковоспринимающие поверхности, связывается с безусловным звуковым центром не в одинаковой степени. Как видно из опытов на обеих собаках, выключение подкрепляемого компонента вызвало сильное уменьшение односторонних условных рефлексов, а выключение компонента с противоположной стороны приводило к сравнительно незначительному уменьшению их величин (табл. 1).

Количественные соотношения условной слюнной секреции при выключениях являлись показателями функциональной связи симметричных отделов звукового анализатора обеих полушарий головного мозга со-

баки. Полученный фактический материал указывал на частичное пере-
крещивание слуховых нервных путей.

Таблица 1

Выключение компонента подкрепляемой и противоположной сторон

Собака Дукс

Время	Количество сочетаний	Отставле-ние, сек.	Условный раздражитель		Безусловный раздражитель	Латентный период, сек.	Раздражение правого участка языка	
			левый	правый			левая околушная железа	правая околушная железа
13.30	634	10	зв	зв	Поваренная соль	7	0-663	0-1070
13.35	635	20	зв	зв	"	7	0-381	40-969
13.40	636	20	зв	зв	"	5	0-655	30-985
13.50	—	20	зв	—	Не подкреплялся	10	0-0	0-12
13.55	637	20	зв	зв	Поваренная соль	—	0-322	13-987
12.10	1	10	Бульканье		"	—	0-550	0-1013
12.15	2	20	"		"	1	0-380	20-915
12.20	669	20	зв	зв	"	3	0-326	79-975
12.30	670	20	—	зв	Не подкреплялся	2	0-0	50-10
12.35	671	20	зв	зв	Поваренная соль	4	0-344	45-1040

Выключение компонента подкрепляемой и противоположной сторон

Собака Быстрая

12.00	627	10	зв	зв	Поваренная соль	—	22-740	0-0
12.07	628	20	зв	зв	"	10	15-707	0-2
12.14	629	20	зв	зв	"	10	10-830	0-20
12.21	630	20	зв	зв	"	10	85-800	0-0
12.31	—	20	—	зв	Не подкреплялся	10	32-32	0-1
12.38	631	20	зв	зв	Поваренная соль	12	7-720	0-12
13.30	41	10	Бульканье		"	—	5-878	0-3
13.35	593	20	зв	зв	"	4	70-838	0-2
13.40	594	20	зв	зв	"	5	70-813	0-1
13.50	—	20	зв	—	Не подкреплялся	5	61-0	0-7
13.55	595	20	зв	зв	Поваренная соль	—	0-665	0-7

При выключении подкрепляемого компонента односторонний (правосторонний или левосторонний) условный рефлекс у обеих собак сильно уменьшается. Выключение сигнала противоположной стороны вызывает сравнительно незначительное уменьшение условного рефлекса.

Результаты опытов выявили участие обеих половин слуховой сферы мозга в условнорефлекторной деятельности одной околушной железы, но в различной степени каждой из них.

При определении скорости угасания односторонних условных рефлексов попеременным угашением компонентов подтвердилась преимущественная роль подкрепляемого сигнала. Абсолютное угасание условного рефлекса при угашении компонента противоположной стороны наступало быстрее, чем при угашении компонента подкрепляемой стороны (табл. 2).

Таблица 2

Угашение компонента подкрепляемой стороны

Время	Количество соедааний	Остаточное, сек.	Условный раздражитель		Безусловный раздражитель	Латентный период, сек.	Раздражение правого участка языка	
			левый	правый			левая околушная железа	правая околушная железа
12.10	827	10	3в	3в	Поваренная соль	—	0—203	5—1020
12.15	828	20	3в	3в	"	—	0—188	70—1095
12.25	829	20	—	3в	Не подкреплялся	—	0—27	8—5
12.27	—	20	—	3в	"	—	0—0	20—34
12.29	—	20	—	3в	"	—	0—0	26—15
12.31	—	20	—	3в	"	—	0—0	5—39
12.33	—	20	—	3в	"	—	0—0	0—0
12.38	830	20	3в	3в	Поваренная соль	—	0—84	0—860
12.43	831	20	3в	3в	"	—	0—24	12—1040
12.48	832	20	3в	3в	"	—	0—210	42—1135

Угашение компонента противоположной стороны

12.10	833	10	3в	3в	Поваренная соль	—	0—175	0—1070
12.15	834	20	3в	3в	"	7	0—0	73—1110
12.25	835	20	3в	—	Не подкреплялся	7	0—0	38—30
12.27	—	20	3в	—	"	13	0—0	2—14
12.29	—	20	3в	—	"	—	0—0	0—13
12.34	836	20	3в	3в	Поваренная соль	—	0—0	0—953
12.39	837	20	3в	3в	"	5	0—2	27—910
12.41	838	20	3в	3в	"	5	0—2	70—880

Условный рефлекс угасает в опытах на 7-м и 5-м месте.

Последовательное торможение комплекса после однократного угашения компонента подкрепляемой стороны

12.10	171	10	Бульканье	Поваренная соль	—	0—650	5—1077	
12.15	681	20	3в	3в	"	5	0—550	30—1080
12.20	682	20	3в	3в	"	2	0—427	40—1217
12.30	683	20	3в	—	Не подкреплялся	8	0—0	5—27
12.35	684	20	3в	3в	Поваренная соль	—	0—348	0—1139

Последовательное торможение комплекса после однократного угашения компонента подкрепляемой стороны

12.10	600	5	3в	3в	Поваренная соль	—	0—348	0—720
12.15	601	20	3в	3в	"	—	0—345	10—845
12.20	602	20	3в	3в	"	—	0—180	20—800
12.25	603	20	—	3в	Не подкреплялся	—	0—180	22—645
12.30	604	20	3в	3в	Поваренная соль	—	0—205	18—850

На 5-м месте наблюдается сильное последовательное торможение условного рефлекса на комплекс. Величина рефлекса равна 0 вместо 40. На 5-м месте наблюдается незначительное торможение рефлекса 18 делений вместо 20 на 3-м месте

Сходный результат был получен и в опытах с последовательным торможением условного рефлекса на комплекс. Было установлено, что однократное угашение компонента противоположной стороны вызывает последовательное торможение рефлекса на комплекс, более сильное, чем угашение компонента одноименной стороны. Это торможение не концентрируется в течение 5—15 минут (табл. 2). Данные явления зависели от слабой концентрации и сильной иррадиации торможения, наступавшего при однократном угашении компонента противоположной стороны.

Выводы

1. Полученные данные свидетельствуют о том, что слуховые нервные пути в обоих полушариях совершают частичный перекрест, так как при выработке одностороннего (правостороннего или левостороннего) условного рефлекса на комплексный раздражитель каждый из компонентов связывается со вкусовым и слюноотделительным центром в различной степени: а) при выключении правого компонента правосторонний условный рефлекс значительно уменьшается и составляет в среднем 16% от величины условного рефлекса, полученного при действии комплекса; б) при выключении левого компонента правосторонний условный рефлекс уменьшается незначительно и составляет в среднем 84% от величины условного рефлекса, полученного при действии звукового комплекса; в) при выключении левого компонента левосторонний условный рефлекс равен 13%, а при выключении противоположного, правого компонента получается в среднем 80,4% величины условного рефлекса, полученного применением комплекса.

2. При попеременном угашении каждого компонента условного комплексного раздражителя компонент, соответствующий стороне безусловного раздражения, угасает медленнее, чем противоположный.

3. После однократного угашения компонента, находящегося на стороне, противоположной безусловному раздражению участка языка, условный рефлекс заторможен на комплекс сильнее, чем при однократном угашении компонента подкрепляемой стороны.

Тбилисский медицинский институт

(Поступило в редакцию 2.12.1963)



0. ანდღულაძე

 სხვადასხვა მხრის პირობითი გამღივიანებლის ცალმხრივი
 უპირობო გამღივიანებელთან დაკავშირების შესახებ

რ ე ზ ი უ მ ე

ცდები ჩატარებულ იქნა ორ ძაღლზე. გამოყენებულ იქნა კ. აბულაძის მიერ მოწოდებული მეთოდიკა, რაც მდგომარეობს ენის უკანა მესამედის სიმეტრიული ნაწილების ოპერატიული გზით გარეთ, ქვედა ყბის ქვეშ გამოყვანაში და იქ კანთან მიხორცებაში. იგი ვგაძლევს ცალმხრივი პირობითი რეფლექსების გამომუშავების საშუალებას. ჩვენ ცდებში ცალმხრივი პირობითი რეფლექსების გამომუშავების შემდეგ ორივე ყურის ერთდროულად ცალცალკე ბგერით იზოლირებულ გაღივიანებაზე ვაწარმოებდით ბგერითი სიგნალისხან ერთი, ხან მეორე მხარეზე გამოთიშვას.

ცდებით დადგენილ იქნა, რომ ბგერითი სიგნალის იმ მხარეზე გამოთიშვა, რომელიც შეესაბამება უპირობო გაღივიანების მხარეს, იწვევს ცალ მხრივი პირობითი რეფლექსის უფრო ძლიერ შემცირებას, ვიდრე მოპირდაპირისას.

პირობითი რეფლექსის ჩაქრობის დროს, უფრო ძნელად ქრებოდა რეფლექსი იმ მხარის ბგერით გაღივიანებაზე, რომელიც მდებარეობდა უპირობო რეფლექსის მხარეზე, ვიდრე იმ მხარის გვერდით გაღივიანებაზე, რომელიც უპირობო გაღივიანების საწინააღმდეგო მხარიდან ეძლეოდა. რაც შეეხება თანმიმდევრობით შეკავებას, იგი უფრო ძლიერ იყო გამოხატული უპირობო გაღივიანების მოწინააღმდეგე მხრიდან მიცემულ ბგერით გაღივიანებაზე ჩაქრობის დროს.

დამოწმებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. К. С. Абуладзе. Изучение рефлекторной деятельности слюнных и слезных желез. Изд. АМН СССР, 1953.
2. К. С. Абуладзе. Журнал высшей нервной деятельности, IV, в. 6. 803, 1954.
3. И. А. Лапина. О взаимоотношении химического (ротового) и слухового анализатора на примере условного торможения. Автореферат. Л., 1954.
4. А. А. Травина. Некоторые данные о вкусовом анализаторе. Автореферат. Л. 1952.



ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

К. Р. КОРЧИЛАВА

КЛИНИКО-ЭЛЕКТРОКАРДИОГРАФИЧЕСКИЕ ИССЛЕДОВАНИЯ
 И НЕКОТОРЫЕ БИОХИМИЧЕСКИЕ ДАННЫЕ ПРИ
 ГИПЕРИММУНИЗАЦИИ ЛОШАДЕЙ СТОЛБНЯЧНЫМ
 И ДИФТЕРИЙНЫМ АНТИГЕНАМИ

(Представлено членом-корреспондентом Академии С. П. Нарикашвили 14.12.1963)

Лечебные и профилактические сыворотки находят все более широкое применение как в ветеринарии, так и в медицине.

Основными продуцентами в производстве сывороток, особенно п/столбнячной и п/дифтерийной, являются лошади, от которых выход сывороток значительно больше, чем от животных других видов. Процесс иммунизации связан с введением животному в большом количестве антигена, который является далеко не безвредным веществом. На местах введения антигена образуется воспалительная реакция с наличием болезненной отечности, которая является очагом болезного раздражения в течение определенного времени. Вследствие воздействия всасываемого антигена на ретикуло-эндотелиальную систему и на весь организм резко изменяется обмен веществ животного. Болезной фактор воспалительных очагов при резком изменении обменных процессов организма оказывает определенное воздействие на центральную нервную систему и в связи с этим обуславливает своеобразные сдвиги в функциональных отправлениях различных органов и систем, в частности, в сердечно-сосудистой системе. Последнее обстоятельство приводит к расстройству кровообращения.

პირველი გამოკვლევები ამ მიმართულებით შესრულებულია უიგერსის [1] მიერ. მან ცდები ჩაატარა ცხოველებზე, მწვავე ცდის პირობებში გულის ღრუს, აორტისა და ფილტვის არტერიის ზონდირებით და მიღებული წნევის მრუდების მიხედვით გულის ციკლი დაყო შემდეგ ფაზებად: იზომეტრული შეკუმშვა, მაქსიმალური და რედუცირებული განდევნა, პროტოდიასტოლა, მოდუნება, ჩქარი და ნელი ავსება და წინაგულების სისტოლა.

ჰოლდაკმა [2] გამოყო გულის ციკლის კიდევ ერთი ფაზა, რომელიც წინ უსწრებს იზომეტრულ შეკუმშვას. მან ამ ფაზას უწოდა პარკუჭების ფორმის შეცვლის ფაზა. ამ ფაზის დროს გულის შიგნითა წნევა არ იზრდება. დაძაბვის ფაზის მეორე ნაწილს, რომლის დროს პარკუჭში წნევა იზრდება მაგისტრალური სისხლის ძარღვის დიასტოლური წნევის დონემდე, ჰოლდაკმა უწოდა წნევის გაზრდის ფაზა.

ჩერლეთიმ და ვეისელმა [3] ძალღებზე ჩატარებული ცდებით დაადგინეს, რომ პრეიზომეტრული ფაზა შედგება ელექტრომექანიკური და ელექტროპრესორული ლატენტობის პერიოდებისაგან. ელექტროპრესორული პერიოდის დროს პლეთიზმოგრაფია გვიჩვენებს გულის ფორმის შეცვლას, იგი კვერცხისებურიდან ხდება სფერული. აღსანიშნავია, რომ ამ დროს გულის შიგნითა წნევა არ იცვლება.

ლასტმა და მიულერმა [4] ძალღებზე ჩატარებული ცდებით, მარტენა პარკუჭის შიგნითა წნევის მრუდის მიხედვით იზომეტრული შეკუმშვის ანუ წნევის გაზრდის ფაზა თავის მხრივ დაყვეს კიდევ ორ პერიოდად: წნევის ნელი და სწრაფი ზრდის პერიოდებად.

ამრიგად, სისტოლის ფაზებად დაყოფა და მისი ხანგრძლივობის განსაზღვრა, პირველად შესრულებული იყო გულისა და მაგისტრალური სისხლის ძარღვების ღრუების შიგნითა წნევის განსაზღვრის საფუძველზე კატეტერიზაციის მეთოდის გამოყენებით, ამ მეთოდით მიღებული მონაცემები მეტად ზუსტია და თვალსაჩინო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იგი რთულია და მისი ფართოდ გამოყენება განსაკუთრებით ადამიანების შემთხვევაში დაკავშირებულია დიდ მეთოდოლოგიურ სიძნელებებთან.

იმის გამო, რომ სისტოლის ფაზური სტრუქტურის შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოადგინა ვიქონიოთ მიოკარდიუმის ფუნქციურ მდგომარეობაზე,

კერძოდ მის შეკუმშვის ფუნქციაზე და გულის სარქველოვანი აპარატის ფუნქციურ მდგომარეობაზე, მთელი რიგი დაავადებების დროს სისტოლის ფაზების ფართოდ განსაზღვრის მიზნით კლინიკის მიერ დიდი ხანია დაყენებული იყო საკითხი მეთოდის გამარტივების შესახებ, მაგრამ იგი ჯერ კიდევ განუხორციელებელია სათანადო სრულყოფილი ელექტრონული აპარატურის უქონლობის გამო.

აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა დაკავშირებულია ბ ლ ი უ მ ბ ე რ გ ე რ ი ს [5] სახელთან. ბლიუმბერგერმა იმ მკვლევარებისაგან განსხვავებით, რომლებიც სისტოლის ფაზურ სტრუქტურას სწავლობდნენ პირდაპირი მეთოდებით (გულის შიგნითა ღრუების კატეტერიზაცია-ზონდირება, ცვლები ღია გულმკერდის ღრუთი და სხვა) ადამიანის პარკუტის სისტოლის ფაზები პირველმა შეისწავლა არაპირდაპირი გზით — ელექტროკარდიოგრამის, ფონოკარდიოგრამისა და კაროტიდული სფიგმოგრამის სინქრონული რეგისტრაციის საშუალებით.

პოლიკარდიოგრაფიული მეთოდის გამოყენებით ბლიუმბერგერმა შესძლო პარკუტის სისტოლის ორი ძირითადი კომპონენტის: წნევის გაზრდისა და განდევნის ფაზების ხანგრძლივობის განსაზღვრა.

სისტოლის ფაზების ხანგრძლივობა პოლიკარდიოგრაფიის მეთოდით მოზრდილებში (როგორც ჯანმრთელ ადამიანებში, ისე სხვადასხვა პათოლოგიის დროს) მრავალმა მკვლევარმა შეისწავლა.

ჯანმრთელ მოზრდილ ადამიანებში დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობა ბლიუმბერგერის [6] მონაცემებით, მერყეობს 0,05 — 0,1 წამის ფარგლებში, ხოლო განდევნის ფაზის ხანგრძლივობა — 0,195 — 0,310 წამის ფარგლებში.

პოლდაკის [2] მონაცემებით, ჯანმრთელ მოზრდილ ადამიანებში გარდაქმნის პერიოდი საშუალოდ უდრის 0,052 წამს, ხოლო წნევის გაზრდის დრო — 0,038 წამს. დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობა შეადგენს 0,090 წამს. განდევნის ფაზის ხანგრძლივობა კი — 0,284 წამს.

ს. ფ ე ლ დ მ ა ნ ი ს [7] აზრით, ჯანმრთელ მოზრდილ ადამიანებში გარდაქმნის პერიოდი მერყეობს 0,04 — 0,07 წამის ფარგლებში. საშუალოდ იგი 0,055 წამს შეადგენს. წნევის გაზრდის პერიოდი მერყეობს 0,01 — 0,04 წამის ფარგლებში; საშუალოდ კი იგი 0,025 წამს უდრის. დაძაბვის პერიოდი მერყეობს 0,06 — 0,011 წამის ფარგლებში (საშუალოდ 0,082 წამი). განდევნის ფაზის ხანგრძლივობა ჯანმრთელ მოზრდილ ადამიანებში ფელდმანის მონაცემებით მერყეობს 0,26 — 0,31 წამის ფარგლებში (საშუალოდ 0,24 წამი).

სისტოლის ფაზური სტრუქტურა ბავშვთა ასაკში, მოზრდილებთან შედარებით, სუსტადაა შესწავლილი.

გ რ ა ს ე რ მ ა და ბ ე რ გ ე რ მ ა [8] შეისწავლეს 50 ახალშობილის და ძუძუსწოვის პერიოდის 15 ბავშვის (8 — 12 კვირის ასაკში) სისტოლის ფაზების ხანგრძლივობა და აღნიშნეს, რომ ახალშობილებში დაძაბვის ფაზის საშუალო ხანგრძლივობა 0,058 წამს უდრის, ხოლო უფრო მოზრდილი ასაკის (ძუძუსწოვის პერიოდის) ბავშვებში კი — 0,063 წამს. გარდაქმნის ფაზა ორივე ჯგუფის ბავშვებში ერთნაირია და 0,042 წამს შეადგენს. მათი მონაცემებით,

წნევის გაზრდის პერიოდი ახალშობილებში რამდენადმე უფრო ხანგრძლივია (0,026 წამი), ვიდრე მეორე ჯგუფის ბავშვებში (0,021 წამი); განდევნის პერიოდი კი, პირიქით, ახალშობილებში უფრო ხანმოკლეა (0,0188 წამი), ვიდრე ძუძუსწორის ასაკის ბავშვებში (0,206 წამი).

პოკერსტმა [9] შეისწავლა ჯანმრთელი ბავშვების სისტოლის ფაზების ხანგრძლივობა და აღნიშნა, რომ გარდაქმნის ფაზის ხანგრძლივობა მერყეობს 0,035 — 0,048 წამის ფარგლებში; წნევის გაზრდის კი — 0,018 — 0,031 წამის ფარგლებში. მისი მონაცემებით, დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობა ბავშვებში 0,053 — 0,079 წამია, ხოლო განდევნის ფაზის ხანგრძლივობა 0,215 — 0,263 წამს შეადგენს.

ა. გალსტიანმა [10] პოლიკარდიოგრაფიის მეთოდით შეისწავლა 7-დან 15 წლამდე ასაკის 100 ჯანმრთელი ბავშვის სისტოლის ცალკეული ფაზების დროითი დამოკიდებულება. იგი სისტოლის ფაზების გამოთვლას აწარმოებდა მაასის მიერ სახეშეცვლილი ბლიუმბერგერის მეთოდით. ა. გალსტიანის მონაცემებით, ამ ბავშვებში გარდაქმნის პერიოდის დროს საშუალოდ მერყეობს 0,050 — 0,060 წამის ფარგლებში; წნევის გაზრდის დროს კი 0,022 — 0,031 წამს შეადგენს. დაძაბვის ფაზა უდრის 0,072 — 0,091 წამს, ხოლო განდევნის ფაზა შეადგენს 0,257—0,282 წამს. მისი მონაცემებით, დაძაბვის პერიოდისა და განდევნის პერიოდის ხანგრძლივობა ასაკის გაზრდასთან ერთად მატულობს. იგი იმავე ბავშვებზე გამოითვლიდა სისტოლის ფაზების შეფარდებით ხანგრძლივობას და სისტოლის შიგნითა მაჩვენებელს. ა. გალსტინის მონაცემებით, დაძაბვის პერიოდისაღმი განდევნის პერიოდის შეფარდების კოეფიციენტი მერყეობს 2,5 — 3,7 ფარგლებში, საშუალოდ კი იგი 3-ს უდრის. დაძაბვის პერიოდის შეფარდება მთელი სისტოლისაღმი საშუალოდ შეადგენს 23%-ს, ხოლო განდევნის პერიოდი — 77%-ს.

რ. ბურტმანმა [11] შეისწავლა 7-დან 17 წლამდე ასაკის 30 ჯანმრთელი ბავშვის სისტოლის სხვადასხვა ფაზის ხანგრძლივობა დინამიკარდიოგრაფიის მეთოდით. მან გამოკვლეული ბავშვები დაყო ორ ჯგუფად: 7-დან 11 წლამდე (17 ბავშვი) და 12-დან 15 წლამდე (13 ბავშვი). რ. ბურტმანის მონაცემებით, სისტოლის ელექტრომექანიკური პერიოდი ორივე ჯგუფის ბავშვებში მერყეობს 0,03 — 0,07 წამის ფარგლებში და საშუალოდ უდრის 0,050 წამს. იზომეტრული შეკუმშვის ფაზა 7-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებში მერყეობს 0,02 — 0,05 წამის ფარგლებში; საშუალოდ კი იგი შეადგენს 0,030 წამს. 11-დან 15 წლამდე ასაკის იზომეტრული ფაზის ხანგრძლივობა უდრის 0,02 — 0,04 წამს; საშუალოდ კი — 0,029 წამს.

მეთოდიკა

სისტოლის ფაზების ხანგრძლივობას ვსაზღვრავდით ფონოკარდიოგრაფიის, ელექტროკარდიოგრაფიისა და კაროტიდული პულსის სინქრონული რეგისტრაციის მეთოდით. ფონოკარდიოგრაფიის რეგისტრაცია წარმოებდა გულის მწვერვალის საპროექციო არედან პიეზოელექტრული მიკროფონის საშუალებით.

ელექტროკარდიოგრამის რეგისტრაცია ხდებოდა II განხრაში. კაროტიდულ სფიგმოგრამას ვწერდით ფოტოელექტრული მიმღების საშუალებით.

პოლიგრამის გრაფიკული რეგისტრაცია წარმოებდა ალვარის ფირმის კარდიოგრაფის „კარდიოვარი 6“-ის ჩამწერი მექანიზმით. პოლიგრამის რეგისტრაცია ხდებოდა ბავშვების მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნის პირობებში ზურგზე წოლის დროს. ქაღალდის მოძრაობის სიჩქარე უდრიდა 50 მმ/წამს. ჩაწერა ხდებოდა გულის არანაკლებ 8 — 10 ციკლისა.

სისტოლის ფაზების ხანგრძლივობის გამოთვლას ვაწარმოებდით მაასის მიერ რამდენადმე სახეშეცვლილი ბლიუმბერგერის მეთოდით. ბლიუმბერგერი თვლიდა, რომ გულის მექანიკური მოქმედების ხანგრძლივობას შეესაბამება პერიოდი ელექტროკარდიოგრამის Q კბილიდან ფონოკარდიოგრამის მეორე ტონის დასაწყისამდე (Q — მეორე ტონი). მისი მიხედვით განდევნის ფაზის დრო განისაზღვრება საძილე არტერიის სფიგმოგრამის ანაკროტული ფაზის ყველაზე დაბალი წერტილიდან დიკროტული ფაზის ინციზურამდე. დაძაბვის ფაზის დროს კი იგი გამოითვლიდა მექანიკური სისტოლის საერთო ხანგრძლივობიდან განდევნის ფაზის დროის გამოკლებით.

სისტოლის ხანგრძლივობას მაასიც ანგარიშობდა ელექტროკარდიოგრამის Q კბილიდან ფონოკარდიოგრამის მეორე ტონის დასაწყისამდე (Q — მეორე ტონი) და განდევნის ფაზის დროს განსაზღვრავდა ისე, როგორც ბლიუმბერგერი (საძილე არტერიის სფიგმოგრამის ანაკროტული ფაზის ყველაზე დაბალი წერტილიდან დიკროტული ფაზის ინციზურამდე).

მაასის მიერ შემოღებულ იქნა სისტოლის დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის განსაზღვრის ახალი წესი. ამ წესის მიხედვით, დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობა უდრის ელექტროკარდიოგრამის Q კბილიდან საძილე არტერიის სფიგმოგრამის აღმავალი ნაწილის დასაწყისამდე განვლილ პერიოდს. გამოკლებული მეორე ტონის დასაწყისიდან საძილე არტერიის პულსის ნაჭდევამდე განვლილი დრო.

როგორც ცნობილია, მეორე ტონის დასაწყისი შეესაბამება ნახევარმთვარისებრი სარქველების დახურვის მომენტს, გამომდინარე აქედან, მეორე ტონის დასაწყისიდან საძილე არტერიის ნაჭდევამდე განვლილი პერიოდი შეესაბამება იმ დროს, რომელიც ჰირდება პულსური ტალღის გავრცელებას აორტის დასაწყისიდან საძილე არტერიის მოცემულ წერტილამდე. დაძაბვის პერიოდის გარდაქმნის ფაზის ხანგრძლივობა, მაასის მიხედვით, შეესაბამება ელექტროკარდიოგრამის Q კბილიდან პირველი ტონის დასაწყისამდე განვლილ დროს, ხოლო დაძაბვის პერიოდის ხანგრძლივობას გამოკლებული გარდაქმნის პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს წნევის გაზრდის ფაზას.

თითოეული ბავშვის მრუდების დამუშავებისას სისტოლის ფაზების ხანგრძლივობის გამოთვლას ვაწარმოებდით გულის 3 — 5 ციკლიდან და იქიდან გამოვყავდა საშუალო. მრუდების გაზომვის დროს ვიყენებდით გამდიდრებულ ლუპსს, რაც საშუალებას იძლეოდა გაზომვები გვეწარმოებია 1/4 მმ-ის სიზუსტით, ე. ი. გაზომვის ცდომილება არ აღემატებოდა 0,005 წამს. მიღებულ



დაწმირიელ ბავშვთა სისტოლის ფაზების ხანგრძლივობისა და გულის ცემის სიწიხრის ასაკობრივი დინამიკა

სისტოლის ფაზების ხანგრძლივობა წამობით

ასაკობრივი ჯგუფი	ბავშვთა რაოდენობა	პარამეტრები	გულის ცემის სიწიხრი	სისტოლის ფაზების ხანგრძლივობა წამობით			
				პრეპრეპრის სტრუქტურა	წველის ვახტის სტრუქტურა	ფაზების ფაზა	განწყვეტის ფაზა
1-24 თვეები	8	Min - Max M ± m ± s t P	150.0 - 190.0 137.9 ± 1.9 5.4	0.021 - 0.028 0.024 ± 0.0004 0.001	0.026 - 0.031 0.029 ± 0.001 0.003	0.052 - 0.050 0.048 ± 0.001 0.003	0.168 - 0.194 0.184 ± 0.003 0.003
1-3 წლები	10	Min - Max M ± m ± s t P	118.0 - 141.0 129.9 ± 2.3 7.4 2.7392 P < 0.02	0.028 - 0.032 0.030 ± 0.001 0.006 4.5454 P < 0.01	0.026 - 0.033 0.028 ± 0.001 0.003 —	0.046 - 0.064 0.061 ± 0.001 0.003 3.3715 P < 0.01	0.192 - 0.215 0.201 ± 0.002 0.008 7.2727 P < 0.01
1-3 წლები	15	Min - Max M ± m ± s t P	100.0 - 122.0 115.5 ± 2.8 11.01 3.9770 P < 0.01	0.030 - 0.030 0.038 ± 0.001 0.001 5.7143 P < 0.01	0.019 - 0.047 0.029 ± 0.001 0.007 6.1166 P < 0.05	0.062 - 0.082 0.069 ± 0.001 0.005 5.7143 P < 0.01	0.202 - 0.264 0.231 ± 0.004 0.016 20.0000 P < 0.01
4-7 წლები	20	Min - Max M ± m ± s t P	72.0 - 110.0 91.4 ± 2.6 11.5 4.8209 P < 0.01	0.030 - 0.037 0.037 ± 0.001 0.003 6.4315 P < 0.01	0.030 - 0.038 0.037 ± 0.001 0.004 6.8944 P < 0.2	0.064 - 0.088 0.073 ± 0.001 0.007 3.8571 P < 0.01	0.237 - 0.270 0.257 ± 0.002 0.010 5.7778 P < 0.01
8-11 წლები	27	Min - Max M ± m ± s t P	68.0 - 120.0 87.2 ± 2.7 14.1 2.4345 P < 0.02	0.030 - 0.036 0.042 ± 0.001 0.005 3.5715 P < 0.01	0.036 - 0.038 0.032 ± 0.0006 0.003 4.3454 P < 0.01	0.064 - 0.082 0.074 ± 0.001 0.006 0.7141 P < 0.01	0.247 - 0.260 0.268 ± 0.003 0.016 3.9555 P < 0.01
12-16 წლები	32	Min - Max M ± m ± s t P	58.0 - 120.0 78.1 ± 2.4 12.6 3.6124 P < 0.01	0.034 - 0.066 0.053 ± 0.001 0.007 2.8571 P < 0.01	0.022 - 0.054 0.035 ± 0.001 0.007 2.7354 P < 0.01	0.075 - 0.098 0.088 ± 0.001 0.004 10.0000 P < 0.01	0.230 - 0.316 0.283 ± 0.003 0.018 11.5381 P < 0.01

სისტოლის ფაზების ხანგრძლივობის ასაკობრივი დინამიკის კვლევა

რიცხობრივ მონაცემებს ვამუშავებდით ვარიაციული სტატისტიკის გამოყენებით.

ჩვენ მიერ სულ გამოკვლეულია 112 ჯანმრთელი ბავშვის სისტოლის ფაზების ხანგრძლივობა, ასაკობრივი პერიოდების მიხედვით ეს ბავშვები ასეთ სურათს გვაძლევდნენ: ახალშობილობის პერიოდი (1—23 დღე) — 8 ბავშვი, ძუძუს წოვის პერიოდი (1 თვიდან 1 წლამდე) — 10 ბავშვი, ბავის ასაკის (1—3 წელი) — 15 ბავშვი, ბალის ასაკის (4—7 წელი) — 20 ბავშვი, სკოლის უმცროსი ასაკის (8—11 წელი) — 27 ბავშვი, სკოლის უფროსი ასაკის (12—16 წელი) — 32 ბავშვი.

გამოკვლევის შედეგები და მათი განხილვა

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ასაკის ჯანმრთელი ბავშვებისათვის დამახასიათებელია სისტოლის ფაზების თავისებური დინამიკა. ეს თავისებურება რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს, ერთ საერთო ცხრილში (იხ. ცხრილი) მოგვყავს სისტოლის ცალკეული ფაზებისა და გულის ცემის სიხშირის ასაკობრივი დინამიკის მონაცემები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, გარდაქმნის პერიოდის, დაძაბვის ფაზისა და განდევნის ფაზის ხანგრძლივობა ახალშობილობის პერიოდიდან (1—24 დღე) სკოლის უფროსი ასაკის პერიოდის ჩათვლით (12—16 წელი), ასაკის ზრდის პარალელურად მატულობს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გარდაქმნის პერიოდისა და დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის ზრდა ახალშობილობის პერიოდიდან ბალის ასაკის პერიოდის ჩათვლით თანმიმდევრულად თითქმის თანაბარი ინტენსივობით ხდება და სკოლის უმცროსი ასაკის ბავშვებში მისი შემდგომი ზრდა არ აღინიშნება, ე. ი. სკოლის უმცროსი ასაკის პერიოდში იქმნება ერთგვარი პლატო; მომდევნო ასაკობრივ პერიოდში კი გარდაქმნისა და დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის შემდგომ ზრდას კვლავ ვღებულობთ, გამოჩაყლის შეადგენს მხოლოდ წნევის გაზრდის პერიოდის ხანგრძლივობა. იგი ახალშობილობის პერიოდიდან სკოლის უმცროსი ასაკის პერიოდის ჩათვლით თითქმის არაერთარ ცვლილებებს არ განიცდის; მხოლოდ სკოლის უფროსი ასაკის ბავშვებში აღინიშნება წნევის გაზრდის პერიოდის ხანგრძლივობის რამდენადმე გაზრდა. გამოდის, რომ დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის ასაკის მატებასთან დაკავშირებით რამდენადმე გამოჩატული ზრდა ხდება გარდაქმნის პერიოდის ხანგრძლივობის ზრდის ხარჯზე.

როგორც ცნობილია, ჯანმრთელ მოზრდილ ადამიანებში გარდაქმნის პერიოდის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად აღემატება წნევის გაზრდის პერიოდის ხანგრძლივობას; ახალშობილებში კი, როგორც ეს ჩვენი გამოკვლევებიდან ჩანს, პირიქითაა: წნევის გაზრდის პერიოდის ხანგრძლივობა აღემატება გარდაქმნის პერიოდის ხანგრძლივობას.

იმ თავისებურების გამო, რომ გარდაქმნის პერიოდის ხანგრძლივობა ასაკის მატებასთან დაკავშირებით იზრდება, ხოლო წნევის გაზრდის პერიოდის ხანგრძლივობა თითქმის არ იცვლება, 1 წლის ასაკიდან უკვე გარდაქმნის პე-



როოდის ხანგრძლივობა აღემატება წნევის გაზრდის პერიოდის ხანგრძლივობას და მომდევნო ასაკობრივ პერიოდებში თანდათან უახლოვდება ჯანმრთელი მოზრდილი ადამიანისათვის დამახასიათებელ ამ ფაზების ხანგრძლივობის დამოკიდებულებას.

ცხრილიდან აგრეთვე ჩანს, რომ ასაკის ზრდის პარალელურად მნიშვნელოვნად იცვლება გულის რიტმი. კერძოდ, ადგილი აქვს მის გაიშვიათებას. ამ დროს აგრეთვე ადგილი აქვს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განდევნის ფაზის ხანგრძლივობის შესამჩნევად გაზრდას და დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის რამდენადმე მომატებას, გარდაქმნის პერიოდის ხანგრძლივობის ხარჯზე. ამ მონაცემებიდან შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურაში აღწერილ გულის რიტმსა და სისტოლის ფაზებს შორის არსებულ კორელაციას ბავშვებშიც აქვს ადგილი და იგი უფრო თვალსაჩინოდაა გამოხატული განდევნის ფაზის შემთხვევაში.

ამრიგად, ჩვენ მიერ დადგენილია, რომ ჯანმრთელ ბავშვებში ადგილი აქვს სისტოლის ფაზების ხანგრძლივობის გარკვეულ ასაკობრივ დინამიკას. აღსანიშნავია, რომ განდევნის ფაზისა და გარდაქმნის პერიოდის ხანგრძლივობის დინამიკა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში (გამონაკლისს შეადგენს სკოლის უმცროსი ასაკის ბავშვები), მნიშვნელოვნად არის გამოხატული. ამას აღსტურებს მონაცემები მაჩვენებელთა სხვაობის დამაჯერებლობისა (1), რომელიც მოცემულია ცხრილში. ცხრილიდან ჩანს, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში t მაჩვენებელი თითქმის ყოველთვის მაღალია.

ჩვენ გამოვითვლიდით აგრეთვე განდევნის ფაზის დაძაბვის ფაზასთან შეფარდების კოეფიციენტისა და შიდასისტოლური მაჩვენებლის ასაკობრივ დინამიკას. ამ გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ განდევნის ფაზის დაძაბვის ფაზასთან შეფარდების კოეფიციენტი არის 2,9 — 4,2-ის ფარგლებს შორის და მისი საშუალო სიდიდე ასაკთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. ასაკთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის აგრეთვე შიდასისტოლური მაჩვენებელიც. დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის შეფარდება მთელი სისტოლის ხანგრძლივობისადმი საშუალოდ მერყეობდა 22 — 25%-ს შორის.

ამრიგად, როგორც ლიტერატურაშია აღწერილი, როგორც ჯანმრთელი მოზრდილების შემთხვევაში, ისე ჩვენს მასალაზე ბავშვების შემთხვევაშიც მტკიცდება, რომ ეს ორივე სიდიდე: განდევნის ფაზის დაძაბვის ფაზასთან შეფარდების კოეფიციენტი და შიდასისტოლური მაჩვენებელი სისტოლის ცალკეული ფაზების აბსოლუტური ხანგრძლივობის მაჩვენებელთან შედარებით, მნიშვნელოვნად მდგრადია.

პედიატრის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 14.12.1963)

M. A. ИЛУРИДЗЕ-СТУРА

ПРОДОЛЖИТЕЛЬНОСТЬ ФАЗ СИСТОЛЫ У ЗДОРОВЫХ ДЕТЕЙ РАЗЛИЧНОГО ВОЗРАСТА

Резюме

У 112 здоровых детей в возрасте от одного дня жизни до 16 лет была определена продолжительность фаз систолы посредством синхронной записи фонокардиограммы, электрокардиограммы и каротидного пульса по методу Блумбергера, несколько видоизмененному Маасом.

Исследования показали, что здоровым детям различного возраста характерна своеобразная динамика фаз систолы.

Продолжительность периода преобразования, фазы напряжения и изгибания возрастает от периода новорожденности (1—24 дня) до старшего школьного возраста (12—16 лет) включительно параллельно с увеличением возраста.

Продолжительность периода преобразования и фазы напряжения возрастает от периода новорожденности до возраста детского сада включительно последовательно и с одинаковой интенсивностью с увеличением возраста. Ее дальнейшее возрастание у детей младшего возраста не отмечается. В последующем возрастном периоде вновь получаем увеличение продолжительности периода преобразования и фазы напряжения. Исключение составляет лишь продолжительность периода увеличения давления. Оно не претерпевает никаких изменений от периода новорожденности до младшего школьного возраста включительно. Только у детей старшего школьного возраста отмечается его некоторое увеличение.

Несколько выраженное увеличение продолжительности фазы напряжения, связанное с увеличением возраста, происходит за счет увеличения продолжительности периода преобразования.

შემაჯობებელი ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. C. Wiggers. Am. Journ. Physiol., 56, 1921, 415; Physiology in Health and Disease, 1944.
2. K. Holldeck. Dtsch. Arch. Klin. Med., 198, 1, 1951, 71.
3. A. Cerletti. W. Weissel. Zs. Kreislaufforsch., 41, 1952, 241.
4. L. Laszt und A. Müller. Z. Kreisl. Forsch., 38, 1949, 228.
5. K. Blumberger. Arch. Kreisl. Forsch., 6, 1940, 202.
6. K. Blumberger. Klin. Wschr., 33, 1940, 825.
7. С. Б. Фельдман. Продолжительность фаз систолы. Клини. мед., № 7, 1960.
8. Ф. Грасер, Г. Бергер. Медицинский реферативный журн., № 6 раздел „Детские болезни“, М., 1962.
9. T. Hockerts. Z. Kinderheilk. Bd. 71, 1952, 216.
10. А. А. Галстян. Определение временных соотношений фаз систолы у детей. Педиатрия, № 7, 1962, 49—55.
11. Р. И. Буртман. Нормативы динамокардиограммы у детей от 7 до 15 лет. Педиатрия, № 8, 1960, 62—67.



კლინიკური მდიცინა

პ. წაბთაძე

ჩიყვის ჰისტო-პათომორფოლოგიური შესწავლის საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ერისთავმა 14.11.1963)

200 ოპერაციული ჩიყვიდან 70 შემთხვევაში ჩვენ ჩავატარეთ ჰისტომორფოლოგიური შესწავლა.

პრეპარატი ინახებოდა ფორმალინის 10%-იან ხსნარში, თითოეული პრეპარატიდან გამოსაკვლეველ ვილებდით 3—4 ნაჭერს. ძირითად საღებავად ავიღეთ ჰემატოქსილინ-ეოზინის რევენარი და ვანგიზონი. თირეოტოქსიკოზის 10 შემთხვევაში პრეპარატები შეღებულ იქნა ვერცხლით (არგიროფილური ნივთიერების შესასწავლად).


ჰისტოლოგიურად შესწავლილი ჩიყვის 70 შემთხვევიდან დიფუზური ჩიყვი იყო 50, კვანძოვანი — 20; აქედან 10 შემთხვევაში თირეოტოქსიკოზს მიეკუთვნებოდა.

ჩვენს მასალაზე ვნახეთ დიფუზური მსხვილ ფოლიკულარი კოლოიდური ჩიყვი მისი სტაციონარული და პროლიფერაციული ქვესახეებით. მაკროსკოპულად ისინი მსხვილწილაკოვანია და დიდ ფოლიკულებს შეიცავენ. განაკვეთის ზედაპირზე ისინი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ფოლიკულები ამოვსებულია მწებავი კოლოიდით, რის გამო განაკვეთის ზედაპირი გამჭვირვალეა და მას თავლის ელფერი გადაჰკრავს. მიკროსკოპულად დიფუზური კოლოიდური ჩიყვის სტაციონარული ქვესახე ნახულია 21 შემთხვევაში. მიკროსკოპის ქვეშ აღინიშნება მაქსიმალურად გავანერგებული ფოლიკულები. ისინი ამოვსებულია სქელი კოლოიდით, რომელიც ეოზინით შეღებლია მუქწითელ ფერად. ფოლიკულის გამომდენი ეპითელიუმი კუბური, დაბალი, ზოგან კი გაბრტყელებულია. პროლიფერაციული მოვლენები ამ შემთხვევაში ვერ ვნახეთ (იხ. მიკროფოტოგრაფა 1).

დიფუზური კოლოიდური ჩიყვის პროლიფერაციული ფორმის დროს 29 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ფოლიკულების კედლის გასქელებას (პროლიფერაციის გამო). გასქელებული ფოლიკულის კედელში ვნახეთ ახალგაზრდა ფოლიკულები. კოლოიდი აქაც ქარბად იყო დაგროვილი ფოლიკულებში. ეპითელიუმი გაბრტყელებული იყო, მაგრამ ზოგჯერ ვნახეთ ცილინდრული ეპითელიუმიც. ფოლიკულების ოდენობა არათანაბარია (იხ. მიკროფოტოგრაფა 2).

ჩიყვის კვანძოვანი ფორმის დროს (20 შემთხვევა) მიკროსკოპული სურათი ძირითადად წარმოდგენილი იყო ტრამბეკულარული და ტუბულარული შენების მქონე ჭირკვლის ქსოვილით.

ტრაბეკულური შენებისას აღინიშნება სტრომის განვითარება, რომლის მარყუქებში ხარისხების სახით ვხვდებით პარენქიმის სოლიდურ ეპითელურ უჯრედებს. ხარისხები წარმოდგენილია მრგვალი ეპითელური უჯრედებით (მრგვალი ბუშტუკოვანი ბირთვით).




მიკროფოტოგრაფი 1

ტუბულარული შენების დროს ჯირკვლოვანი ქსოვილი წარმოდგენილია მილაკებით, რომლებიც დალაგებულია პარალელურ კონებად და შეიცავენ ნახ სტრომას. მილაკების შემცველი უჯრედები მეტწილად პოლიგონალური ფორმისაა (იხ. მიკროფოტოგრაფი 3).


კვანძოვანი ჩიყვის 20 შემთხვევიდან 11 შემთხვევაში ვნახეთ შერეული შენების აღნაგობა, როცა ზემოთ აღწერილ სურათთან ერთად (ტუბულები და ტრაბეკულები) ადგილი აქვს მომწიფებული ფოლიკულების განვითარებას.

ფოლიკულები შეიცავენ კოლოიდს. ფოლიკულის გამომდენი ეპითელიუმი კუბურია. ზოგ ადგილას კოლოიდური პარენქიმა თავისი შენებითა და კოლოიდის უხვი დაგროვებით უახლოვდება პროლიფერაციულ კოლოიდურ ჩიყვს (იხ. მიკროფოტოგრაფი 4).

ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ ვნახეთ კვანძოვანი ჩიყვის რეგრესიული მოვლენები; პირველ რიგში კი სისხლის ჩაქცევები და ფიბროზი. სისხლის ჩაქცევები მეტწილად საშუალო ოდენობისაა და იგი მკვეთრად შემოსაზღვრულ ღრუში თავსდება. სისხლის ჩაქცევების უბანი ზოგჯერ მაკროსკოპულად კარგად ჩანს (იხ. მიკროფოტოგრაფი 5).




მიკროფოტოგრაფა 2



მიკროფოტოგრაფა 3

ტოქსიკური ჩიყვის შემთხვევებში ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევებით რაიმე განსხვავებული სურათი, „მარტივ“ არატოქსიკურ ჩიყვთან შედარებით, არ დადასტურდა. აღსანიშნავია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევებში ძირითადად ნახულ იქნა ტუბულარული და ტრაბეკულარული შენების სურათი (მომწიფებული ფოლიკულების გარეშე ან შერეული შენების ჭირკვლოვანი პარენქიმა მკვეთრად გამოხატული პროლიფერაციით). ტოქსიკური ჩიყვის ამ შემთხვევებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაწარმოეთ პრეპარატების ვერცხლით შეღებვა (იმპრეგნაცია) ე. წ. არგიროფილური ბოჰკოების შესწავლის მიზნით.




მიკროფოტოგრაფია 4


სტრუქტურული ცვლილებების მიხედვით მასალა იყოფა სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფში ფოლიკულების ირგვლივ არსებული არგიროფილური ბოჰკოები გატლანქებული, გაჩქელებული და დაკლაკნილია. ფოლიკულებს შორის ნახული იქნა ნაზი, წვრილი, ზოგჯერ დაკლაკნილი არგიროფილური ბოჰკოები, რომლებიც ერთმანეთში იხლართებიან და ქმნიან საკმაოდ ვრცელ „ქეჩისებურ“ უბნებს. ზოგჯერ ძლიერ კარგად ჩანს არგიროფილური ბოჰკოების კოლაგენიზაცია (იხ. მიკროფოტოგრაფია 6).

მეორე ჯგუფში ფოლიკულების ირგვლივ არსებული არგიროფილური ბოჰკოები გატლანქებული და დაკლაკნილია (იხ. მიკროფოტოგრაფია 7). ადგილი აქვს ბოჰკოების კოალეგენიზაციას.



მიკროფოტოგრაფია 5




მიკროფოტოგრაფია 6



მესამე ჯგუფში სტრუქტურული ცვლილებები ისეთივეა, პირველ ჯგუფში, მხოლოდ ფოლიკულებს შორის ამ შემთხვევაში აღინიშნება უსტრუქტურო ან წვრილმარცვლოვანი მასა (იხ. მიკროფოტოგრაფია 8).

თუ შევაჯამებთ ჰისტოპათომორფოლოგიური გამოკვლევის შედეგებს, შეიძლება, დავასკვნათ, რომ ჩვენს მასალაზე უმეტეს შემთხვევაში გვხვდება „მომწიფებული“ ჩიყვის სურათი, სადაც ფოლიკულები შეიცავენ კოლოიდს ამასთან ერთად კარგადაა გამოვლინებული კოლოიდის სტაზის მოვლენები, რის გამო ფოლიკულები გადიდებულია და მისი გამომდენი ეპითელიუმი გაბრტყელებულია.




მიკროფოტოგრაფია 7

ფარისებური ჯირკვლის გაძლიერებული ჰიპერპლასტიკური პროცესი, რაც გაუჯღმარებელ ზრდაზე მიუთითებს, ჩვენს მასალაზე ძლიერ იშვიათია. იგი ნახული იქნა ტუბალურული და ტრაბეკულარული შენების მქონე ჯირკვლოვანი ქსოვილით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ გამოვლინებული ჩიყვი ჩვენ მიერ შესწავლილ რაიონში კეთილთვისებიანია და მისი კლინიკური მიმდინარეობაც არ მიუთითებს ჩიყვის ენდემიის სიძლიერეზე. ცნობილია, რომ, რაც უფრო ძლიერია ჩიყვის ენდემია, მით უფრო გაუჯღმარებელია

და გაძლიერებულია ფარისებრი ჭირკვლის ზრდის ექსცესები და ამის შესაბამისად ჩიუვის „უმწიფარი“ კოლოიდით ღარიბი ფორმები ძლიერ ხშირია.

ამ გავებით ჩვენი მასალა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, იმ ფაქტს, რომ საქართველოში ეფექტური სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარების შედეგად ჩიუვით დაავადებამ მკვეთრად დაიკლო და იგი იოლ ფორმებში მიმდინარეობს.



მიკროფოტოგრაფია 8

ტოქსიკური ჩიუვის ჰისტოპათომორფოლოგიურმა შესწავლამ რაიმე განსხვავებული დასურათება, „მარტივ“ არატოქსიკურ ჩიუვთან შედარებით, არ მოგვცა. ამ მიმართულებით ჩატარებულმა გამოკვლევებმა (არგიროფილური ბოჭკოების ცვლილებების შესწავლამ) დაგვანახა რომ შემაერთი ქსოვილი ძლიერ სკლეროზს განიცდის, რის გამო მისი სადრენაჟო ფუნქცია დარღვეულია, ხოლო ჭირკვლის ექსკრეცია — გაუქუღმართებული.

ფერჯოლის რაიონული
 საავადმყოფო

(რედაქციას მოუვიდა 14.11.1963)



П. В. ЦЕРЕТЕЛИ

К ВОПРОСУ ИЗУЧЕНИЯ ГИСТО-ПАТОМОРФОЛОГИИ
ЗОБА

Резюме

Гистологическое исследование проведено в 70 случаях оперированного зоба (диффузный зоб—500 случаев, узловой—20). В 10 случаях из 70 отмечен тиреотоксикоз.

Диффузный зоб гистологически выявлен в виде крупнофолликулярного коллоидного зоба и в основном относится к «зрелым» зобам.

Отмечается стаз коллоида, вследствие чего эпителий, выстилающий стенки фолликулов, уплощен.

Усиленный гиперпластический процесс щитовидной железы на нашем материале в редких случаях встречается в виде тубулярной и трабекулярной аденомы.

На основании вышеизложенного можно заключить, что гистологически изученные нами зобы относятся к «зрелым» зобам и клинически протекают доброкачественно. Гистологическое изучение «токсических» зобов также выявило сравнительную зрелость зоба (наличие коллоида в фолликулах). Изучение аргирофильных волокон показало наличие резкого склероза, ввиду которого дренажная функция соединительной ткани нарушена.



მეცნიერებათა

დ. ბარძინიძე

დმანელი ამირას უცნობი წარწერა ფინეზურის ხიმშიაძის

(წარმოდგინა აკადემიკოსმა ნ. ბერაქიანიშვილმა 25.9.1963)

1962 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წლიური გეგმით გათვალისწინებული ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს ფინეზურის ხეობაში მოგვიხდა ყოფნა, დმანისის მიდამოებში.

სოფ. პატარა დმანისი ფინეზურის მარჯვენა ნაპირზეა შეფენილი, ნაქალაქარის პირდაპირ. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიდის საურმე გზა. ეს გზა გადადის „საყდრიქელზე“ და მერე ეშვება უკანგორის ხეობაში. „საყდრიქელი“ სოფლიდან 5—6 კმ-ითაა დაშორებული. აქაა დაქცეული საყდარი, რომლის ირგვლივ სხვადასხვა ნაგებობათა ბუდეებია შერჩენილი.

ეკლესია (მისი სახელი არავინ იცის) მოზრდილი დაუმუშავებელი ლოდებით კირზეა ნაგები; შერჩენილა აფსიდა და ჩრდილო კედლის ნაწილი. ნაგებობას შინაშენი ჰქონია სამხრეთიდან. აღმოსავლეთ კედელზე გარედან, კედლის ზედა ნაწილში, ერთიანი მოწითალო ქვის პატარა ჯვარია ჩასმული; ჩრდილოეთის კედლის ზედა ნაწილში ნახევარსვეტი შერჩენილა. აფსიდის თალი დაუმუშავებელი ქვისაა და პროფილირებულ კაპიტელუმს ეყრდნობა. საყდარშია ჩამოქცეული მთელი სახურავი და დანარჩენი კედლები. ეკლესია შიგნიდან შეღესილი ყოფილა და მოხატულიც (თუმცა მოხატულობიდან თითქმის აღარაფერია დარჩენილი).

აფსიდაში ეყარა ქვის კანკელის ნაწილები, რომლის ორნამენტი ძლიერ წაგაავს დმანისის სიონის კარიბჭისას. ჩრდილოეთის კედელთან, აფსიდის წინ ჩამოქცეულ ნაყარში მოჩანდა ჯვრის ჩასასმელად ამოჭრილი მრგვალი ქვა. მის ირგვლივ ამოთხრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს იყო ოთხკუთხა გრანიტის სვეტის დაბოლოება, რომელშიც ჯვარი იქნებოდა ჩასმული. სვეტის სიმაღლე 1,45 მ-ია, სიგანე 0,25 მ. ოთხივე წახნაგი მომრგვალებულია და ორი მხრიდან ჩაღარული, რის გამოც ყველა გვერდზე თაღები ჩარჩო იქმნება. ერთი გვერდი თავიდან ბოლომდე ასომთავრულ წარწერას უჭირავს სიმაღლეზე 1,15 მ, სიგანეზე — 0,19 მ. იგი კარგად იკითხება და არსად დაზიანებული არაა (ქვა მაგარი ჯიშისაა და წარწერაც დიდხანს ყოფილა დამარჩული), გარდა უკანასკნელი სტრიქონისა, რომელიც სვეტის ბაზაში ჩასასმელად ჩატყრიათ: შესაძლოა ბოლო სიტყვები (ბევრი არ უნდა ყოფილიყო) ბაზაზედაც კი იყო ამოჭრილი (ასლა ეს ქვაც და კანკელის ნაწილებიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია ჩამოტანილი).



წარწერა ასე იკითხება: „ქ. სახელითა ღმრისათა და შეწვენითა ყდ წისა ღმრისმშობლისათა ადიდენ და ამყარენ ღმრის ძლერი და ოჯღველი მეფეთ მფობზ გისი მე მიწმნ მფებისა მთისმნ იობ ზიხრიკის ცნნ დმნის ჩმსა ამირბა შა აღვამრთე ჯი ესე სხლსა შა წისა მწმისა დიმიტრისა სლცკლდ მფებისა მთსა სწსნბლდ სლისა ჩნაა ვინცა მომველთა ჟმთა დაწერილი ესე აღმოიკითხთ ჩმთს“

ე. ი. „ქ(რისტე) სახელითა ღმრისათა და შეწვენითა ყოვლად წმიდისა ღმრისმშობლისათა, ადიდენ და ამყარენ ღმერთმან ძლიერი და ოჯღველი მეფეთ მეფობაა გიორგისი; მე მიწამან მეფობისა მათისამან იობ მიხრიკის ძემან დმანის ჩემსა ამირობა(სა) შინა აღვპმართე ჟუარი ესე სახელსა ზედა წმიდისა მოწამისა დიმიტრისა, სალოცველად მეფობისა მათისა, საჯსენებლად სულისა ჩემისა. ვინცა მომავალთა ჟამთა დაწერილი ესე აღმოიკითხთ ჩემთვის“... აქ დამამთავრებელი სიტყვები ალბათ იმ აზრსა გამოხატავდა — ჩემთვისაც ილოცეთო...

განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არაა. წარწერა იწყება დიდი ასოებით, რომლებიც თანდათან მცირდება. ადგილის უქმარისობის გამო რამდენსამე შემთხვევაში ასოები ჩარჩოს გარეთაც გამოდის. ქარაგმის ნიშანი მოკლე, სწორი ხაზია. წარწერას ახასიათებს ზშირად ნახმარი ლიგატურა. „ღ“-ის მუცელშია ჩაწერილი „ა“, „ი“; „ო“-ში ჩასმულია „ვ“; „ა“-ის თავი მოცილებულია მუცელს, იგი ხან სწორია, ხან არა. „ღ“ მალაყელიანია, მისი თავი ზოგჯერ სწორი — რამდენსამე შემთხვევაში კიდურწერტილოვანია; „ო“-ის ფეხი ოდნავ ქვევითაა დაწეული. უქარაგმოდ დატოვებულია ორი სიტყვა: „დაამყრენ“ და „აღვპმართე“. თითქოს ერთგან უნდა აკლდეს „ს“ სიტყვაში „ამირბა“; სხვა მხრივ წარწერა უნაკლოა.

შეიმჩნევა „პაემეტობაც“ — „აღვპმართე“. „აღვპმართე“ იკითხება წყისის წარწერაში 616—619 წ. [3], ხოლო ამ სიტყვის ხანმეტი ფორმა გვხვდება აქვე, უკანგორის წარწერაში VI ს-ში: „აღხოუმართე“. [2] მაგრამ, ჯერ ერთი, ორივე გაცილებით ძველია ჩვენს წარწერაზე, მეორეც — უკანგორსა და წყისში ჯერ „ხ“, ან „პ“ — მეტი ზის, შემდეგ — „ოვ“. აქ კი წინაუქმო — ჯერ „ვ“ და მერე „პ“, ე. ი. ეს ზედმეტი „პ“ უადგილოდაც ჩანს, ამიტომ ტერმინს „პაემეტი“ ჩვენ პირობითად ვხმარობთ.

პალეოგრაფიულად წარწერა ისეთი ხასიათისაა, რომ ადვილად შესაძლებელია შესრულებულიყო XIII ს-შიც და XIV-შიც, ე. ი. აქ მოხსენებული გიორგი მეფე ლაშადაც შესაძლოა მიგველო და გიორგი ბრწყინვალედაც...

დმანისის ხეობაშივე მყოფი, სათხის ეკლესიის კანკელზე არსებული წარწერის გარჩევისას, აკად. ექვთ. თაყაიშვილი შენიშნავდა: „რომელი მეფეთა-მეფე გიორგი იგულისხმება ჩვენს წარწერაში? ჩვენთვის უდავოა, რომ ეს იგივე გიორგი მეფეა, რომელიც იხსენიება ამ მხარის ცნობილ ტაძართა წარწერებში (დმანისის ბაზილიკის დასავლეთი ეკვდრისა, წულრულაშენის გადაკეთებული ეკლესიისა და ფიტარეთის მონასტრისა). ბროსე ყველა ამ ტაძართა წარწერებს გიორგი ბრწყინვალის ხანას აკუთვნებდა, მაგრამ დმანისის ბაზილიკის გარეშემოთხრა — შესწავლის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი, ლ. მუსხელი-

შვილიცა და სხვებიც (მათ შორის ხუროთმოძღვრების ისტორიკოსები) მათ ლაშა გიორგის აუთენტიკურობას... საფიქრებელია... რომ ასეც იყოს“ [4].

„საყდრიქედის“ სტელაზე არსებული წარწერის ხელი ძალიან წააგავს დმანისის კარიბჭის წარწერებს, ცალკეული ასოები განსაკუთრებით: „ა“, „დ“, „ო“; ერთგვარია „დ“-სა და „ო“-ის მუცელში „ა“-ისა და „უ“-ს შეწყობა; ზოგიერთი გამოთქმაც მსგავსია: სტელაზე ვგაქვს — „ადიდენ და ამყარენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველი მეფეთა მეფობაა გიორგისი“, დმანისის წარწერაში — „... (არ იკითხება) ... დაამყარენ ღმერთმან მეფეთა მეფობაა გიორგისი“; სტელაზეა — „მე მიწამან მეფობისა მათისამან იობ მიხრიკის ძემან“, დმანისის წარწერაში — „... მე მიწა მათი, ეპისკოპოსი თვედოსი მამა კალნაპეტის ძე“... წარწერები სტელაზედაც და დმანისის კარიბჭეზედაც „დაწერილი“-ადაა მოხსენებული. [1] ხოლო ამ ორი ძეგლის ორნამენტული მოტივების მსგავსებაც მათ თანადროულობას უნდა უჭერდეს მხარს.

ჯვრის მონასტრის აღაპებში ერთი მოსახსენებელია საინტერესო, სადაც გკოთხულობთ: „150/148. ამასვე დღესა აღაპი ელ-მიხრიკის ძისაა და ვინცა არ ვარდააჯადოს კრულ იყოს“... ამ სტრიქონებს ელ. მეტრეველი ხელის მიხედვით XII — XIII საუკუნეებით ათარიღებს [5].

ამ ორი მიხრიკის ძის იგივეობის დასამტკიცებლად სხვა საბუთები არ ვგაქვს, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებლად გვეჩვენა „საყდრიქედის“ სტელა დმანისის კარიბჭესავით XIII ს-ის I მეოთხედის ძეგლად მიგველო. ამასთან დაკავშირებით აკად. ნ. ბერძენიშვილმა ჩვენი ყურადღება აქ მოხსენებულ „დაწერილზე“ გაამახვილა („... ვინცა მომავალთა ყამთა დაწერილი ესე აღმოიკითხოთ...“) და შეგვნიშნა, რომ ასეთი აზრით მაგ სიტყვის ხმარება XIV ს-ში უფროა მოსალოდნელი.

ამ ტერმინის მნიშვნელობა-ხმარების სხვადასხვა შემთხვევები დაწვრილებით აქვს შესწავლილი აკად. ნ. ბერძენიშვილს შრომაში „მინისმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში“. აქ აღნიშნულია, რომ „XI — XIII საუკუნეთა მანძილზე ქართულ დიპლომატიკაში ყოველ იურიდიულ დოკუმენტს „დაწერილი“ ეწოდება, თუ ის მეფისაგან არ არის ვაცემული“. შემდეგ: „თავდაპირველად, როგორც ჩანს, „დაწერილზე“ სრულიად საკმაო იყო იმის გამოსახატავად, რომ ესა თუ ის ქონება, ან უფლება ამ ქონებაზე ამა თუ იმ პირმა გადასცა მეორე პირს. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ „დაწერა“ თავდაპირველად ისეთი მოქმედება იყო (დაწერა იმ დროს ისეთი სახით წარმოებდა), რომელიც უფლების გადაცემასთან ერთად ნივთის მატერიალურ გადაცემასაც გულისხმობდა... მხოლოდ გვიან და თანდათან, აქტის გართულებისა და შესაბამისად, შემუშავდება ამ ორი მომენტის — დაწერისა და გადაცემის ურთიერთისაგან გათიშვა“ [6].

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ჩვენი სტელის მონაცემს, ვნახავთ, რომ აქ „დაწერილი“, სწორედ „წარწერის“ მნიშვნელობით, გვიანი შინაარსითაა ნახმარი და გადაცემის მომენტს არ შეიცავს. ასეთივე აზრით უნდა იყოს ეს სიტყვა გამოყენებული დმანისის წარწერაშიც: „ვინცა ესე დაწერილი... აღ(მოტოც)ს“... აქაც გიორგი მეფეთა მეფეთა ნახსენები [1].

სხვაგვარად უნდა იყოს საქმე მეზობელ, ბოლნისის ხეობის თევდორწმიდაში, სადაც ორ წარწერაში ასევე ნახსენებია „დაწერილი“. 1. „სახელითა ღვთისათა ესე დაწერილი მე იოანე ქართვერბეღელმან შევსწირე წმიდაისა თევდორეს ვენაქი და ჭურნი და გავიკუეთე გ დღე ქრისტეშობისა“... 2. „სახელითა ღვთისათა... ესე დაწერილი ჩუენ თევდორწმიდელთა მღუდელთა და მწირთა მას ეამსა ოდეს ამას ეკლესიასა ვაშენებდით მოგუცა 3 დუკატი გაბრიელ ჩაბადსქემან, გაუკეთეთ ღვეკენბერსა თ“... [7] აქ კი, ეს „დაწერილი“ არ უნდა იყოს გამოყოფილი გადაცემის მომენტისაგან, თუმცა „შევსწირე ვენახი“... და „მოგუცა 3 დუკატი“ მას უკვე თან დართვია.

ამრიგად, აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ მოცემული განმარტების მიხედვით, თევდორწმიდის წარწერა XII ს-ის დასასრულს, ხოლო „საყდრიქედის“ სტელა XIV ს-ის I ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. (ვარაუდს, რომ აქ მოხსენებული მეფე გიორგი ბრწყინვალეა, მისივე აზრით, აძლიერებს ჯვრის აღმართვა წმ. მოწამის დიმიტრის სახელზე).

დმანელი ამირა იობ მიხრიკის ძე სხვა წყაროებით უცნობი პირია. ყურადღებას იპყრობს მისი მამის სახელი აღმოსავლური იერით. მიხრიკი ისეთივე ფუძიდან ნაწარმოები საკუთარი სახელი უნდა იყოს, როგორცაა მიპრი-მირი, რაც ძველ წარმართულ ღვთაება მითრას უკავშირდება.

მათე ურპაელის, ვარდან დიდისა და კირაკოზ განძაკელის თხზულებებით XII ს-ში ცნობილია ლორელი მოძღვარი გ ე ო რ გ მ ე ღ რ ი კ ი [8]; მაგრამ ეს სრულიად სხვა ფუძიდან (*მსყ*-თაფლი, ტბილი) წარმოებული ზედწოდებაა მოძღვრის სიკეთის დასახასიათებლად¹.

როგორც უნდა იყოს, ირანული წარმოშობის ეს სახელი, ქართველი ამირას მამას რომ პრქმევია, მოულოდნელს არაფერს შეიცავს, რადგან დმანისში მუსლიმანური მოსახლეობა აღრიდანვე არსებობდა, ხოლო ამ ხანაში მათ სიქარბეზე ნათლად მეტყველებს აქაური სასაფლაო: „მუსლიმანური სასაფლაოს ტერიტორია გაცილებით უფრო ვრცელია, ვიდრე ქრისტიანულისა, და არაბული ეპიგრაფიკული ძეგლებიც უფრო მეტი დაიძებნა, ვიდრე ქართული ან სომხური, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ XIII — XIV ს. ს. მუსლიმანური მოსახლეობა სჭარბობდა ქრისტიანულს“ [9].

დმანელი ამირას შესახებ, ისევე, როგორც სხვა ქალაქების ამირათა შესახებ, ძლიერ ცოტა ცნობები მოგვეპოვება. ეს არაბული ტერმინი ქართლში აღრიდანვე დამკვიდრდა როგორც არაბი დიდი მოხელის აღმნიშვნელი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს განაგებდა. თანდათან იგი ქალაქ თბილისისა და მისი მეზობელი რაიონების (თბილისის საამირო) ფეოდალური მფლობელის სახელად იქცა. ამიერიდან იგი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ენაში.

თბილისს გარდა არაბი ამირა იჭდა რუსთავეშიც, დმანისშიც. მიუხედავად იმისა, რომ სათილარაბი, რომელიც ბაგრატ IV-მ დმანისიდან „თბილისად მემამულედ“ მოიყვანა, ჯაფარიდების დინასტიის დმანისის შტოს ჩამომავალი ერთ-ერთი უკანასკნელი ამირა იყო [10], ჩვენ მაინც არ ვიცით, რა მიმართე-

¹ მშხ ს. ნიკაქსონინ ქარქაოქსონ ჴიარქ, ვიქ რათ რაქვირქსან რაროვ ჯაროვ მსყქს კიქსქს.

ბაში იყვნენ სხვა ამირები თბილელ ამირასთან; მაგალითად, ის არაბი დმანელი ამირა, რომელიც სარანგ ალხაზის ეხმარებოდა 1073 — 4 წლებში გიორგი II-ის წინააღმდეგ [11].

დავით აღმაშენებლის შემდეგ გაერთიანებული საქართველოს ქალაქებში უკვე ქართველთა მეფე ნიშნავდა თავის მოხელეს, რომელსაც ძველებურად ამირა ერქვა. ამრიგად, ეს არაბული ტერმინი, ქალაქის მმართველი, ქართველი მოხელის აღმნიშვნელიც გახდა. მეფე ამირას ნიშნავდა იმ ქალაქებშიაც. სადაც არაბები საერთოდ არ ყოფილან.

1123 წ., „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, დავით აღმაშენებელმა აიღო დმანისი; სტეფანოზ ორბელიანისა და ვარდან დიდის მიხედვით დავითის ძე დემეტრეს უპყრია იგი ამის შემდეგაც [12]. ჩანს, ამიერიდან დმანისი სამეფო ქალაქად ქცეულა და, რაღა თქმა უნდა, აქაურ ამირასაც უკვე მეფე დანიშნავდა დიდებულთა თუ ადგილობრივ მოქალაქეთა წრიდან.

თამარიან მეფობაში ცნობილია თბილისის ამირთამირა აბულასანი, რომელიც ქართლის ერისთავთ-ერისთავიცაა. საქართველოს მეფის მიერ დანიშნულა მოხელე ამირები XIII ს-ში სხვაგანაც იხსენიებიან, მაგ., ქუთაისში [13], ყარსში [14], ჟინვალში [15], გოშში [13].

ქალაქის მმართველის ეს არაბული ტერმინი დროთა განმავლობაში ქართულმა „მოურავმა“ შეცვალა. მხოლოდ თბილისს შემორჩა იგი XVII ს-მდე, სხვაგან კი XIV ს-ის შემდეგ ამირა აღარ იხსენიება [16].

ქალაქის ამირთამირას ებარა ეკონომიური ცხოვრების ზედამხედველობა და კონტროლი ქალაქში; ის ზრუნავდა მოქალაქეთა კეთილდღეობასა და ქალაქში წესიერების დაცვაზეც. [17]; აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მისივე ფუნქცია უნდა ყოფილიყო მოქალაქეთა გასამართლებაც [18].

რაც შეეხება ქალაქის მოხელე ამირების უფლება-მოვალეობათ, უნდა ვიფიქროთ, რომ დაახლოებით ისეთივე იქნებოდა, როგორაც ამირთამირასი. მართლაც, მას რომ ქალაქის გაშენება-დაცვაზე უნდა ეზრუნა, ეს ჩანს ყარსის ციხეზე არსებული ერთი წარწერიდან: „ქკსა ვწხ (-1237 წ.) მე ამირამან რაზარაზამ აღუშენე... მეფობასა... რსდნ, წელსა მეფ...“; [14], ხოლო „ქელმწიფის კარის გარიგებაში“ მოცემულ ჩვენებებზე დაკვირვებით შესაძლებელი ხდება დასკვნა, რომ ქალაქის ამირებს ქალაქის მეურნეობაზედაც მიუწვდებოდათ ხელი [18].

რა ურთიერთობაში იყვნენ ქალაქის ამირთამირა და ამირა? დ. მუსხელიშვილის აზრით, „ამირთამირობის დაწესება მოდის XII ს-ის 80-იანი წლების მიწურულზე. თვით ტერმინი ამირთამირა რეალური შინაარსისაა და ამ წოდების მატარებელ მოხელეს თავის მხრით ჰყავდა „ქვეშე დაწესებული“ მოხელეები — „ქალაქის ამირანი“. ამგვარი „ქალაქის ამირა“ დამოწმებულია ქუთაისსა და ჟინვანში (XIII ს.), ხოლო მათი არსებობა სავარაუდოა დმანისსა და რუსთავში მაინც“ [18].

გაერთიანებული საქართველოს მეფის მიერ დანიშნულმა ქალაქის მოხელე ამირამ არა მარტო სახელი მიიღო მემკვიდრეობად თბილისის არაბი ამი-

რასაგან, არამედ ნაწილობრივ ის შინაარსიც, მას რომ ადრე ჰქონდა — გამგებლობა ქალაქის ირგვლივ მდებარე რაიონისა, მისი „ავარაებისა“.

გიორგი ბრწყინვალის მიერ თორელ ივანე ჯავახიშვილისადმი მიცემულ სიგელზე დაყრდნობით აკად. ნ. ბერძენიშვილი დაასკვნის: „...კოჭრის მიდამოებზე თბილისის ამირთამირას აღმინისტრაციულად ხელი მიუწვდებოდა. და ეს, რა თქმა უნდა, 1338 წ. შექმნილი მოვლენა კი არ იყო (ამ წელს არის ეს საბუთი დაწერილი), არამედ ძველი დროიდანვე არსებული ვითარება.“

ისე გვეხატება, რომ თბილისის გარშემო სოფლები — ზოგი წარმოშობითვე, ზოგი შემდეგ დაქვემდებარებით — მისი (ქალაქის) ავარები იყო (გვიან ხანაში ამათ „ქალაქის პირის სოფლები“ ეწოდებოდა). ასეთი „ავარები“, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რა ეწოდებოდა მათ, საგულეებელია ყოველი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი პუნქტის გარშემო“ [19].

მონგოლთა ბატონობის პერიოდში ათაბაგმა საღუნ მანკაბერდელმა ქალაქ დმანისის დაპატრონება გადაწყვიტა, მაშინ დიდი ეკონომიური მნიშვნელობის პუნქტისა (ქალაქს საკუთარი ზარაფხანა ჰქონდა; აკუთის (1179 — 1229) ცნობით. აქიდან ვაჭრონდათ აბრეშუმი) [20], ამიტომ 1271 — 72 წლებში საღუნმა მონგოლთაგან მოთხოვნილი დიდი ხარკის გადახდა იკისრა, თუკი მეფე მას დმანისს დაუთმობდა. „ისმინა მეფემან და უნებლიად მისცა დმანისი და მიმდგამი მისი, და უმეტეს განდიდნა საღუნი“ [14]. აქ ნახსენები ეს „მიმდგამი“ ქვეყანა სწორედ ის მეზობელი რაიონებია, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო მაშინდელი ქალაქი. XIII ს-ის კიდევ ერთ საბუთში მოჩანს, რომ ქალაქ ეინვანის ამირას მეზობელი სოფლებიც ემორჩილებოდნენ [15].

მას შემდეგ კი, რაც ამირა ქალაქის მოურავმა შეცვალა, გვიანი ხანის საბუთებზე დაყრდნობით არ ჩანს, რომ მას ქალაქის გარდა სხვა რაიონებზედაც მიუწვდებოდეს ხელი.

დმანისის ამირა იობ მიხრიკის ძე, ქალაქიდან დაახლოებით 6 — 7 კმ-ით მოცილებულ „საყდრიქედის“ ეკლესიაში (თუ მის გარეთ) აღმართავს ჯვარს წმინდა მოწამის დიმიტრის სახელზე. იგი იღვა დმანისიდან უკანგორს მიმავალი გზის უღელტეხილზე. დმანელი ამირას მიერ აქ აღმართული ჯვარი მიუთითებს ქალაქ დმანისის აგარათა გავრცელებაზე (იქნებ საზღვარზედაც) ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ ტერიტორიაზე იყო სოფელი პატარა დმანისი და ყაფარა სოფელი თავისი სახნავ-სათესით.

ამრიგად, დმანელი იობ მიხრიკის ძის ამირობა საქართველოს ქალაქის გამგებელთა ინსტიტუტის განვითარების ისტორიაში შუალედი, გარდამავალი საფეხურია: ძველ არაბ, დამოუკიდებელ ამირასა და გვიანი ხანის ქალაქის მოურავს შორის; იგი აღარ იყო ქალაქისა და მის ირგვლივ მდებარე რაიონის ფეოდალური მფლობელი, მაგრამ გავრთიანებული საქართველოს მეფის მოხელეს აღმინისტრაციულად ქალაქის გარდა მის მეზობელ სოფლებზედაც მიუწვდებოდა ხელი, რაც გვიანფეოდალური ქალაქის მოურავს აღარ ახასიათებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი



Д. К. БЕРДЗЕНИШВИЛИ

 НЕИЗВЕСТНАЯ НАДПИСЬ ДМАНИССКОГО ЭМИРА ИЗ
 УЩЕЛЬЯ ШИНЕЗАУРИ

Резюме

В надписи упоминается царь царей Георгий и эмир Дманиси Иоб, сын Михрика, который воздвиг крест во имя святого мученика Димитрия.

Имя эмира по другим источникам неизвестно. Царь царей Георгий же упоминается в надписи притвора дманисского сиона, которая датируется специалистами первой четвертью XIII в. Тут же указаны и другие моменты, по которым можно предположить синхронность стелы и вышеупомянутого притвора.

Надпись дманисского эмира, обнаруженная в с. Патара Дманиси, подтверждает факт административного подчинения пригородных сел городскому эмиру.

დამოწმებული ლიტერატურა — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ლ. მუსხელიშვილი. დმანისი. კრებულში: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1938.
2. ლ. მუსხელიშვილი. არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941.
3. აკ. შანიძე. ძველი ქართული კრესტომათია, I, 1935.
4. ეჭუთ. თაყაიშვილი. სომხეთ-საორბელის ძეგლების წარწერები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 43, 1941.
5. ელ. მეტრეველი. მსალები იეგუსალიშის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1963.
6. ნ. ბერძენიშვილი. მიწისმფლობელების ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 1956.
7. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებულები, I, 1960.
8. შათაიძის ჯიჯი არაქსაჲ სერაქიასი ქარაიასის ჴანმასყვიჲ. შიქქიჲ, 1910.
9. ც. კახიანი. დმანისის უთარილო არაბული წარწერები. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შრომები, № 3, 1962.
10. მ. ლორთქიფანიძე. თბილისის საამიროს ისტორიიდან. მიწმონილველი, II, 1951; შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. 1962.
11. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვაუზნიშვილის მიერ. ტომი I, 1955.
12. შათაიძის ნანანჯის შიასიან. არაქსაჲ შახიანისი ბრქესან არხესისიოიჲ შიქქიჲ, 1901.
13. თ. ქორდანი. ქრონიკები..., II ტფილისი, 1897.
14. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959.
15. ს. კაკაბაძე. ეფესიტკაოსნის პრობლემის გარშემო. საისტორიო შრომები, I, 1924.
16. შ. მესხია. Города и городской строй феодальной Грузии, 1959.
17. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკვ. II; მისივე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, 1907.
18. დ. მუსხელიშვილი. თბილისის ამირთამირთობის ინსტიტუტისათვის, 1955 (ხელნაწერი).
19. ნ. ბერძენიშვილი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. მიწმონილველი, II, 1951.
20. გ. წერეთელი. დმანისის მონეტის გამო. ლიტერატურული ძიებანი, II, 1944.

სტამბოლის სამხრეთ-აღმოსავლეთი უნივერსიტეტი
СОДЕРЖАНИЕ ТРИДЦАТЬ ТРЕТЬЕГО ТОМА
CONTENTS OF THE THIRTY THIRD VOLUME
ათმეცნიერება—МАТЕМАТИКА—МАТЕМАТИКА

Г. Л. Харатишвили. Оптимальные в смысле быстродействия процессы в линейных управляемых системах с запаздыванием	3
*გ. ხარატიშვილი. სწრაფად მოქმედების ახრით ოპტიმალური პროცესები წრფივ სისტემებში დაგვიანებული არგუმენტით	7
С. Б. Топурия. О двойных лакунарных рядах Фурье	9
*ს. თოფურია. ფურიეს ორმაგი ლაკუნარული მწკრივის შესახებ	14
С. Л. Певзнер. Квадрики в n -мерном гиперболическом пространстве	15
*ს. პევზნერი. კვადრიკები n -განზომილებიან ჰიპერბოლურ სივრცეში	17
Г. А. Джанашия. О суперпозиции двух функций из класса функции Жеврея	257
*გ. ჯანაშია. ევერეს კლასის ფუნქციათა სუპერპოზიციის შესახებ	262
Х. Н. Инасаридзе. Расширения полугруппы	263
*ხ. ინასარიძე. ნახევარჯგუფთა გაფართოებები	269
О. И. Нанетваридзе. Об основной контактной граничной задаче теории теплопроводности	271
*ო. ნანეტვარიძე. სითბოგამტარობის თეორიის ძირითადი კონტაქტური სასაზღვრო ამოცანების შესახებ	278
Ш. С. Кемхадзе. К определению нильгруппы Бэра	279
*შ. კემხაძე. ბერის ნილჯგუფის განმარტებისათვის	284
А. И. Буадзе. Приближение функции с помощью сумм Бернштейна—Рогозинского	285
*ა. ბუაძე. ფუნქციის მიახლოება ბერნშტეინ—როგოზინსკის ჯამის საშუალებით	292
Г. И. Сулхანიшвили. О численном решении уравнений параболического типа	513
*გ. სულხანიშვილი. პარაბოლური ტიპის განტოლებების რიცხვითი ამოხსნის შესახებ	520
Д. Манжерон. Оптимальные функциональные уравнения динамического программирования, относящиеся к новому классу граничных задач в „полных производных“	521
*დ. მანჯერონი. ახალი კლასის სასაზღვრო ამოცანების „სრულ წარმოებულებში“ დინამიკური პროგრამირების ოპტიმალური ფუნქციონალური განტოლებები	527
Т. Л. Чантладзе. О стохастическом дифференциальном уравнении в гильбертовом пространстве	529
*თ. ჩანტლაძე. სტოხასტიკური დიფერენციალური განტოლების შესახებ ჰილბერტის სივრცეში	534

* ვარსკვლავით აღნიშნული სათაური გვეთვის წინა წერილის რეზიუმეს ან თარგმანს.

* Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме или к переводу предшествующей статьи.

* A title marked with an asterisk applies to a summary or translation of the preceding article.

მექანიკა—МЕХАНИКА—MECHANICS

- В. С. Баакашвили, А. А. Поздеев, В. И. Тарновский. Физические уравнения состояния металла в теории наследственности 19
- *ვ. ბააკაშვილი, ა. პოზდევევი, ვ. ტარნოვსკი. ლითონის მდგომარეობის ფიზიკური განტოლებანი მემკვიდრეობის თეორიაში 24

დამატებული თეორია—ТЕОРИЯ УПРУГОСТИ—

THEORY OF ELASTICITY

- Г. П. Квиникадзе. Теоремы существования для внешней третьей и четвертой динамических задач теории упругости 293
- *გ. კვინიკაძე. დრეკადობის თეორიის გარე მესამე და მეოთხე დინამიური ამოცანების არსებობის თეორემები 300

ჰიდრომექანიკა—ГИДРОМЕХАНИКА—HYDROMECHANICS

- В. З. Осинов. Плоское нестационарное течение вязкой жидкости в пористой круговой кольцевой трубе 535
- *ვ. ოსინოვი. ბლანტი სითხის ბრტყელი არასტაციონარული დინება ფორთვან წრიულ რგოლში 541

კიბერნეტიკა—КИБЕРНЕТИКА—CYBERNETICS

- В. В. Чавчанидзе. Основные соотношения аналитической теории алгебры высказываний 27
- *ვ. ჭავჭავაძე. გამათქმნათა ალგებრის ანალიტიკური თეორიის ძირითადი თანადარობები 34

ფიზიკა—ФИЗИКА—PHYSICS

- Г. А. Чилашвили. Задача трех нетождественных частиц, взаимодействующих с нелокальным факторизующимся потенциалом 35
- *გ. ჭილაშვილი. სამი არაიგივე ნაწილაკის ამოცანა არალოკალური ფაქტორიზებადი პოტენციალის შემთხვევაში 41
- О. И. Мгебриян. Зависимость плотности дислокаций от температуры закали 43
- *ო. მღებრიანი. დისლოკაციათა სიმკვრივის დამოკიდებულება წრთობის ტემპერატურაზე 47
- Г. Е. Чиковани, В. Н. Ройнишвили, В. А. Михайлов. Исследование механизма работы трековой искровой камеры 49
- *გ. ჩიქვანი, ვ. როინიშვილი, ვ. მიხაილოვი. ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერის მუშაობის მექანიზმი 54
- Р. Н. Салия. Формализм калибровочной инвариантности и масса векторных частиц 57
- *რ. სალია. ყალიბური ინვარიანტობის ფორმალიზმი და ვექტორულ ნაწილაკთა მასა 60
- А. Н. Шаанова. Отражение „нулевого звука“ от твердой стенки 301
- *ა. შაანოვა. „ნულოვანი ბგერის“ არეკლა მყარი კედლიდან 307
- П. Н. Джапаридзе и И. Н. Ландау. Динамографическое исследование силы трения 309
- *პლ. ჯაფარიძე, ი. ლანდაუ. ხახუნის ძალის დინამოგრაფიული გამოკვლევა 316
- М. М. Мирианшвили (член-корреспондент Акад. наук Грузинской ССР) и М. С. Гобеджигишвили. Решение уравнений гравитационного поля методом „падающего ящика“ 543
- *მ. მირიანაშვილი (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და მ. გობეჯიგიშვილი. გრავიტაციული ველის განტოლებების ამოხსნა „ვარდნილი ყუთის“ მეთოდით 547
- Г. Д. Туманишвили, В. П. Манджгаладзе и Х. Н. Джanelidze. Действие ионизирующей радиации на стимулирующие свойства тканевых экстрактов 549

*გ. თუშანიშვილი, ბ. მანჯგალაძე, ხ. ჯანელიძე. მაიონიზირებელი რადიაციის გავლენა ქსოვილის ექსტრაქტების მასტიმულირებელ თვისებებზე 556

ზეოფიზიკა—ГЕОФИЗИКА—GEOPHYSICS

В. И. Стыро, Э. И. Вебра, К. К. Шопанускас, Т. Г. Хунджа. О коагуляции радиоактивных аэрозолей с каплями облака 61

*ბ. სტირო, ე. ვებრა, კ. შოპანუსკასი და თ. ხუნჯუა. ღრუბლის წვეთებთან რადიოაქტიური აეროზოლების კოაგულაციის შესახებ 67

Л. С. Чантуришвили. Поправки за рельеф при измерении градиента электрического потенциала в пойме долины 69

*ლ. ჭანტურიშვილი. ხეობის კალაპოტში გაზომილი ელექტრული პოტენციალის გრადიენტი რელიეფზე შესწორებები 72

Г. П. Хвития. Приближенное определение угла наклона плоскости раздела двух сред хребта методом сопротивления 73

*გ. ხვითია. ორ გარემოთი წარმოდგენილ ქედში კონტაქტის სიბრტყის დახრის კუთხის მიახლოებითი განსაზღვრა 77

ქიმია—ХИМИЯ—CHEMISTRY

В. А. Власенко, И. Г. Гвердцители, Ю. В. Николаев, Е. Д. Озиа-швили. Получение изотопа В¹⁰ методом обменной дистилляции комплекса (CH₃)₂O·BF₃ 79

*ვ. ვლასენკო, ი. გვერდწითელი, ი. ნიკოლაევი, ე. ოზიაშვილი, ბორის მსუბუქი იზოტოპის В¹⁰-ის მიღება კომპლექსის—(CH₃)₂O·BF₃—მიმოცვლითი დისტილაციის მეთოდით 83

Е. М. Наюбашвили и Е. С. Вачнадзе. Исследование системы InCl₃—Li₂S—H₂O методами физико-химического анализа 85

*ე. ნაიობაშვილი და ე. ვაჩნაძე. InCl₃—Li₂S—H₂O სისტემის შესწავლა ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის მეთოდებით გამოყენებით 92

Г. В. Цицишвили (академик АН ГССР), Т. Г. Андроникашвили. Проявление межмолекулярных сил при хроматографическом разделении 317

*გ. ციციშვილი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) და თ. ანდრონიკაშვილი. მოლეკულათშორისი ძალების გამოვლინება ქრომატოგრაფიული დაყოფის დროს 323

